ჟურნალი პატრიარქისა

2

საქართველოს საპატრიარქო
თბილისი — 1983



ჯვარი ვაზისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. IV ს.

ძლიერებაო ჯვარო ვაზისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ

ძველი

აღთქმა

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II ლოცვა-კურთხევით

დამარხულ არს ენად ქართული
დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებელად,
რათა ყოველსა ენასა ღმერთმან
ამხილოს ამით ენითა.



ԱՎԱՓԵՐԵԱ

ՀԱՐԵՅԻ

ՊԱՀԻՆԵՐ

ԻՄԻՊԱՀԻՆԵՐ

ՅԱՌՊԱՐ

ᲩᲕᲔᲜ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲡ ᲐᲦᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს—ილია II

დაბადების 50 წლისთავის გამო



თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, საქართველოს ეკლესია და მთელი მორწმუნე ერი სიხარულით აღნიშნავს თქვენი დაბადების 50 და საქართველოს საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრების ექვსი წლისთავს.

ექვსი წლის წინათ სვეტიცხოვლის საუკუნოვან საპატრიარქო ტაძარში აკურთხეს თქვენი გვირგვინი მღვდელმთავართა საქართველოსა. განუზომელი იყო მაშინ სიხარული ტაძარსა შინა მყოფთა და გარეშეთა.

მრავალთა გული უკვე მაშინ კარგად გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის წმიდა საჭე ხელთ იპყრა ისეთმა მესვეურმა, რომელსაც შეეძლო პირდაპირი გეზის აღება აღთქმული ნავთსაყუდელისაკენ. ექვსი წელი არც ისე დიდი დროა, მაგრამ ნამოქმედარი, უკეთუ კეთილად გულისხმავყოფთ, მეტად დიდია. გაცოცხლდნენ კარგა ხნით მივიწყებული ეპარქიები, თქვენ მიუჩინეთ მათ პატრონები; აღსდგა მრავალი ტაძარი, ახლად მოიხატა, ან იხატება ეკლესიები. მშვენიერდება და კვლავ ქართულ სახეს უბრუნდება სიონის საპატრიარქო ტაძარი. მოღონიერდა მცხეთის სასულიერო სემინარია, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი თქვენ ბრძანდებით.

თქვენი უშუალო მონაწილეობითა და მრავალი ზრუნვით საპატრიარქოსთან შეიქმნა საგამომცემლო, საგარეო, სარესტავრაციო და სხვა განყოფილებანი, რომლებიც დიდ სასარგებლო მუშაობას ეწევიან როგორც ქართული ეკლესიის, ისე ჩვენი ერის სულიერ-კულტურული წინსვლისათვის. გამოდის საპატრიარქო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, „საღვთისმეტყველო კრებული“, საეკლესიო კალენდრები და სხვა. დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა საქართველოს ეკლესიის ცნობარი ე. წ. „საინფორმაციო ბიულეტენი“, რომელიც იბეჭდება ინგლისურ ენაზე და ეგზავნება უცხოეთის ქრისტიანული სამყაროს ყველა დიდ დაწესებულებასა და რელიგიურ ცენტრს.

დიდი ძვრები მოხდა საერთაშორისო ეკუმენურ მოძრაობაში. საქართველოდან ამ დიდ საქმეშიც პირველი გზის გამკვალავი თქვენ ბრძანდებით. ეკუმენური მოძრაობის სფეროში თქვენ ერთ-ერთი ღირსეული და გამოჩენილი მოღვაწე ბრძანდებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამიტომ გერგოთ მსოფლიო საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტობის პატივი. ბევრი რამ გააკეთეთ ეკლესიების დაახლოებისა და ერთა დამეგობრების საქმეში.

თქვენი მეთაურობით საქართველოს საპატრიარქომ მრავალმხრივი ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა რუსეთის, სომხეთისა და საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ქრისტიანულ, აგრეთვე, დემოკრატიული ქვეყნების ეკლესიებთან, განსაკუთრებით ბულგარეთის ეკლესიასთან, რუმინეთის, უნგრეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის ეკლესიებთან და მათ მეთაურებ-

თან, ცალკეულ საეკლესიო და სასულიერო მოღვაწეებთან. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია თქვენი კონტაქტები კონსტანტინეპოლის უძველეს მართლმადიდებელ ეკლესიასთან. იქ კონსტანტინეპოლში (ახლანდელ სტამბოლში) თქვენ პირველად შეხვდით მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო პატრიარქს დიმიტრიოს I. იქვე გაეცანით ქართულ კათოლიკურ ეკლესიას და იქაურ კათოლიკე და მუსულმან ქართველთა მდგომარეობას. დღეს ქართველ კათოლიკეთა ტაძარი სტამბოლში თქვენგან ელოდება ხსნას, რომ იქაურ სამწყსოს გაუგზავნოთ ქართველი მღვდელი და წინამძღვარი.

თქვენ მოინახულეთ და მოილოცეთ იერუსალიმის უდიდესი სიწმიდენი და საკვირველებანი, წამოჭერით საკითხი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის კვლავ დაბრუნებისა და მისი საქართველოს დედა ეკლესიასთან შემოერთებისა. ისტორიული იყო რომში და ვატიკანში თქვენი ვიზიტი. ქრისტიანულ ერაში აქ პირველად მოხდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა რომის პაპთან, სადაც ბევრი რამ გაირკვა ორი ქრისტიანული ეკლესიის მომავალი ურთიერთობისათვის. თქვენი მრავალგზისი შეხვედრები ქრისტიანული მსოფლიოს ცნობილ მოღვაწეებთან, თქვენი მოღვაწეობა ჟენევაში ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში—როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტისა, თქვენი ვიზიტები ბულგარეთში, გერმანიაში, ინდოეთში, ვანკუვერში (კანადა) და სხვა მრავალ ქვეყანასა და რელიგიურ ცენტრში ბევრის მეტყველია და ბევრის მომცველი. დაიწყეწა, აღდგა, ან ახლად დამყარდა კავშირი მრავალ რელიგიურ და კულტურულ დაწესებულებასთან, ეკუმენური მოძრაობის გზებზე მთელი ამ მოღვაწეობის ფონზე განსაკუთრებით გამოიკვეთა თქვენი სახე, როგორც მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლისა. მაცხოვარი ბრძანებს: „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ“... „ამას გამცნებ, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას“. „მშვიდობას დაგიტევებ თქვენ“... „მშვიდობა თქვენთანა“ და სხვა. მშვიდობა იყო და არის ქრისტიანობის ერთ-ერთი უპირველესი მცნება. სადაც კი თქვენ გიხდებათ ყოფნა, მსოფლიო რელიგიური საბჭოს ფორუმებზე თუ საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებზე, ყველგან ქადაგებთ მშვიდობას. ამ ბრძოლის გზაზე მოუღლელად მიუძღვებით საქართველოს ეკლესიას მშვიდობისათვის. დიდება მშვიდობის ძალებს. მათ ღმერთი იფარავს!

თქვენო უწმიდესობავ, მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით, სამღვდელოთა და მორწმუნე ერის სახელით; მოგესალმებით და გისურვებთ ბევრსა და კეთილს, დღეგრძელობასა და მშვიდობას. გფარავდეთ ძალი ღვთისა. კვლავაც მრავალ წელს გემოღვაწეოთ ხალხთა შორის მეგობრობის, მშვიდობის, რჯულის სიწმიდისა და სიყვარულისათვის.

კურთხეულ იყოს თქვენი ნათელი გონება, კურთხეულ იყოს თქვენი მთავარი სალოცავი და სავედრებელი ღვთის წინაშე — ჩვენი სამშობლო საქართველო და ქართველი ერი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

იყავნ!

იყავნ!*

---

* სიონის საკათედრო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო წირვის შემდეგ 12 (25) დეკემბერს, ეს სიტყვა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით წარმოსთქვა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ მიტროპოლიტმა კონსტანტინემ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მშვიდობის დასაცავად პატრიოტული მოღვაწეობისა და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე — **ი. ანდროპოვი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი — **თ. მენთეშაშვილი**

მოსკოვი, კრემლი, 1983 წლის 23 დეკემბერი

მილოცვები, დეკეშები, ეპისტოლენი

მის უწმიდესობას ილია II — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ, უფლის მიერ საყვარელო ძმაო,

სიხარული და ბედნიერება, რომელიც თქვენმა უწმიდესობამ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ღრმად პატივცემული დელეგაციის წევრებმა მოგვგვარეს ჩვენთან ყოფნის დროს, კვლავაც არს ჩვენთან. გვსურს მადლობა გადაგიხადოთ, რომ მიიღეთ ჩვენი მოპატიჟება, ჩამობრძანდით ჩვენთან და გაუძელით გრძელი მოგზაურობის სიძნელეებსა და არასტუმართმოყვარე ჰავას.

თქვენმა პირადმა ჩამობრძანებამ, თქვენმა სიწმიდემ და გამჭრიახობამ, უღრმესი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენს ხალხსა და პირადად ჩვენზე. ღმრთისადმი მადლიერნი ვიყავით ჩვენ, რომ თქვენი უწმიდესობა, ერთ-ერთი მამამთავარი მსოფლიოს სამი უძველესი საკათოლიკოსოსი, იმყოფებოდა ჩვენს ზეიმზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ თქვენი უწმიდესობის დასწრებამ უდიდესი წვლილი შეიტანა არა მარტო 70 წლის იუბილეს ზეიმში, არამედ საერთოდ, ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში.

ვიმედოვნებთ და მოუთმენლად ველით ოფიციალურ დიალოგს, რომელიც ჩვენს ეკლესიათა შორის უნდა დაიწყოს. გვაქვს თქვენი მხარდაჭერისა და დახმარების იმედი.

ნება მიბოძეთ, აგრეთვე, გადავუხადო თქვენს უწმიდესობას მადლობა არა მარტო იმ პატივისათვის, რომელიც თქვენი ჩამოსვლით დაგვდეთ, არამედ ჩვენთვის წმ. გიორგის პირველი ხარისხის ორდენის ბოძებისა და ძვირფასი საჩუქრებისათვის.

დაე, გარდამოევლინოს ღმრთის კურთხევა თქვენს ეკლესიას და ერს. უფალმა ჩვენმა უბოძოს თქვენს უწმიდესობას მრავალნი ჟამნი ჯანმრთელი, მშვიდობიანი და სიხარულით აღსავსე ცხოვრებისა.

უფლისმიერი თქვენი ძმა **ბასილიოს მართოვა მათე I**
აღმოსავლეთის კათოლიკოს-პატრიარქი
16(29) 09

მათ მაღალღირსებას, ათონის მთის ივერიის მონასტრის წმიდა მამებს

ქრისტეს მიერ საყვარელნო წმიდა მამანო, გლოცავთ, გეხვევით და გეამბორებით.

ქრისტე — ნათელი ჭეშმარიტი მარად ყოფილიყოს მფარველი ივერიის მონასტრისა და მკვიდრთა მას შინა.

მაცხოვრის დიდი წყალობით კვლავ დაგვიდგა მშვიდობიანი აღდგომა. უფალმა კვლავ აღავსო ჩვენი გულები მშვიდობით, სიყვარულითა და, აქედან გამომდინარე, სიხარულით. მადლმოსილნი ამ სათნოებით, რომელიც ჩვენი ეკლესიის ისტორიული წიაღიდანაა გამოსული, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდისა და ჩვენი სახელით, მამობრივი სიყვარულით გილოცავთ ბრწყინვალე პასექის დიად დღესასწაულს:

ქრისტე აღსდგა!

ვიმედოვნებთ, რომ მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი თავისი წყალობითა და ძალით კვლავ აღადგენს იმ მტკიცე ურთიერთობას, რომელიც საუკუნეების მანძილზე არსებობდა საქართველოსა და ათონის ივერიის მონასტერს შორის.

წმიდა მამანო! გახსოვდეთ, რომ ქართველი ერი და ეკლესია მუდამ იქნება თქვენი მფარველი და არასდროს არ მოგაკლებთ მზრუნველობას.

თქვენდამი ჩვენი დიდი სიყვარულის ნიშნად ივერიის მონასტერს საჩუქრად ვუგზავნით ავტომანქანა „ნივას“, რომელიც, ვფიქრობთ, გარკვეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენს სამეურნეო საქმიანობაში. ავტომანქანა „ნივა“ განსაკუთრებით კარგია მთაგორიან ადგილებში. მისი გემით წამოღება და თქვენთვის გადმოცემა დავავალეთ ბატონ ავთანდილ მიქაბერიძეს, რომელიც სწავლობდა ათენის უნივერსიტეტში და რომელსაც თქვენ კარგად იცნობთ.

გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს სულიერ მოღვაწეობაში. ვრჩებით მარად თქვენი ერთგული და თქვენთვის მლოცველი.

ილია II
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი
22.04 (8.05)

იერუსალიმი. მაცხოვრის საფლავთან. საქართველოსათვის ლოცულობს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე

მამაი ჩვენი ი ლ ი ა

მაჯიანეღანი



მდინარე იორდანეს ნაპირთან





ხევში. სამებობა — სიყვარულის დღესასწაული

ივერიის მონასტრის საბჭოს წევრთა წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II

უნეტარესო,

ჩვენთვის ფრიად საყვარელო და სასურველო მეუფეო,

გაცნობებთ, რომ თქვენთან სტუმრად მყოფი წმიდა ივერიის მონასტრის დელეგაცია ჩვენი ძმების, — მაქსიმეს, კალინიკესა და უხუცესი ანთიმოზის შემადგენლობით, მშვიდობით დაბრუნდა წმიდა მონასტერში; დაბრუნდა კმაყოფილებითა და სიხარულით აღვსილი.

ვფიქრობთ, ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი წმიდა ივერიის მონასტრის ურთიერთობისა და კავშირისათვის. ამდენი ხნის შემდეგ გაიცვალა ძმური დელეგაციები, რისი საბაბიც იყო გასული წლის ისტორიული ფაქტი — ივერიის მონასტრის 1000 წლისთავი; საქართველოდან დაბრუნებული ძმები განუწყვეტლივ საუბრობენ, გამოთქვამენ თავიანთ შთაბეჭდილებებსა და გაოცებას; ჰყვებიან თქვენს მამობრივ და აბრამისეულ მასპინძლობაზე. ყველგან, სადაც კი ჩვენს ძმებს მოუხდათ ყოფნა საქართველოში, ისინი გრძნობდნენ ნამდვილ, ქრისტესმიერი სულით გამსჭვალულ შეხვედრებსა და მასპინძლობას.

შევთხოვთ კარის ღვთისმშობელსა და ჩვენს წმიდა ქტიტორებს, მოგმადლონ ჯანმრთელობა და ყოველგვარი სიკეთე.

...როგორც ჩვენი წმიდა ძმობის წევრნი გვიყვებიან, თქვენ აქტიურად იღვწით თქვენს ქვეყანაში არსებული ტაძრების დაცვისა და ამოქმედებისათვის, ტაძრებისა, რომლებიც უძველესი დროიდანვე იქცნენ სულიერ ცენტრებად და სავანეებად. უფალმა მოგანიჭოთ დღეგრძელობა და ჯანმრთელობა, რათა ის საქმე, რომელიც გაკისრიათ, წარმატებით დააბოლოოთ. ჩვენი ნატვრაა აღდგენილ და გაბრწყინებულ იქნას ქართულ მიწაზე არსებული ყველა ტაძარი თუ მონასტერი საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის სადიდებლად.

გვსურს, მომავალშიც გაგრძელდეს ორმხრივი ძმური ვიზიტები ჩვენს წმიდა მონასტერსა და საქართველოს ეკლესიას შორის.

ჩვენი დიდი ნატვრაა თქვენმა უწმიდესობამ მოინახულოს ჩვენი სავანე და სწიროს წმიდა ტაძარში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს წმიდა ივერიელმა ქტიტორებმა—იოანემ, ექვთიმემ, გიორგიმ.

მონასტრის ძმობა, უნეტარესო, მადლობას გიძღვნით მამობრივი სიყვარულისა და საჩუქრებისათვის, რომელიც გამოგვიგზავნეთ და ითხოვს ლოცვა-კურთხევას, რათა განაგრძონ თავიანთი მონოზნური ცხოვრება კარის ღვთისმშობლის ამ სამყოფელში.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ამ დიდ ზეიმზე გთხოვთ, მიიღოთ ჩვენი ლოცვები და სურვილები. დაე, იუდეის ბეთლემში განკაცებულმა მეუფემ და მაცხოვარმა ჩვენმა, მოგანიჭოთ თქვენ, თქვენს წმიდა სინოდს, სამღვდელოებასა და საქართველოს ეკლესიის მორწმუნეებს ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ძალა, რათა აღასრულოთ დიდი სამოციქულო და სამწყემსმთავრო საქმე ვენახში ღვთისა.

გამოვითხოვთ თქვენს ლოცვებსა და კურთხევას, ვეამბორებით თქვენი უნეტარესობის მარჯვენას და ვრჩებით პატივისცემითა და უფლისმიერი დიდი სიყვარულით.

ივერიის წმიდა მონასტრის საბჭო

ეკლესიის ფურცელი

სამშვიდობო კონფერენცია ინგლისში

„მშვიდობა ღვთისა მშვიდობა ადამიანისა“ — ასეთი იყო ჩანაფიქრი თემისა, რისთვისაც მიწვეული იყო ჩვენი ქვეყნის რელიგიური დელეგაცია ინგლისში, თანამედროვეობის ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხების საერთო განსჯისათვის.

მასში მონაწილეობას იღებდნენ: რუსეთის მართლმადიდებელი (რამდენიმე წარმომადგენლით), საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი, სომხეთის სამოციქულო, ესტონეთისა და ლატვიის ლუთერანული, ლიტვის კათოლიკური ეკლესიები და ბაპტისტთა გაერთიანება — თითო წარმომადგენლით (სულ 11 კაცი, აქედან 3 მოქალაქე მოსკოვის საეკლესიო საბჭოს წევრთაგან; მათ შორის — 2 თარჯიმანი).

27 დეკემბერს (10 იანვარს) ჩვენი დელეგაცია პირდაპირი მარშრუტით ძირს დაუშვებლად საბჭოთა „ლაინერით“ გაემგზავრა ლონდონს, თითქმის 4 საათი ფრენის შემდეგ ინგლისის ციდან დავხედეთ მის დედაქალაქს, რომელიც გვიან ღამით ელექტრო ნათურათა სიმრავლის გამო თვალუწვდენელ ცეცხლოვან მინდორს მიაგავდა.

აეროპორტში დაგვხვდნენ ეპისკოპოსები, სამღვდელოება და ბრიტანეთის რელიგიური საბჭოს წევრები (ყველანი სამოქალაქო ტანსაცმელში). ცოტა ხნის საუბრის შემდეგ ავტობუსით გავემგზავრეთ ედინგტონში — ინგლისის მთავარეპისკოპოსის ერთ-ერთ რეზიდენციაში. დიდხანს მივდიოდით ნელა, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით.

მეორე დღეს, 28 დეკემბერს (11 იანვარს) დილით საუზმის შემდეგ გავემგზავრეთ კენტერბერიის ტაძრის მოსახილველად. ლონდონიდან კენტერბერიამდე 100 კმ. მეტი იქნება; ასე რომ, იქ მისვლას 2 საათზე მეტ ხანს მოვუნდით. მივდიოდით ავტობუსით ზომიერად, თან გარემოსა და ბუნებას ვათვალიერებდით. შუა იანვარში მიდამო მწვანით სუნთქავდა. პირუტყვი მინდორში თავისუფლად გაშვებული ძოვდა... თბილოდა, მზე ანათებდა... „ინგლისური ბურუსი“ ჩვენი იქ ყოფნის მანძილზე არ გვინახავს.

კენტერბერიის ტაძრის გალავნის შესასვლელთან დაგვხვდნენ ტაძრის წინამძღვარი ვიქტორ დე ვალე და ერთი სხვა მოძღვარი (ორივეს ჩემდა გასაკვირველად, წვერი ჰქონდა მოშვებული). ტაძრის მთავარ შესასვლელთან უკვე გველოდებოდა კენტერბერიის მთავარეპისკოპოსი რობერტ რანსი. აქვე იყვნენ საბჭოს წევრები, პრესის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები და ფოტოკორესპონდენტები. ტაძრის დათვალიერების შემდეგ კენტერბერიის მთავარეპისკოპოსმა მიგვიპატიჟა სადილზე. საუბარი ბევრ რამეს შეეხო. მთავარეპისკოპოსი კმაყოფილი იყო ჩვენი დელეგაციის ინგლისში ყოფნით. სხვათა შორის, მან საუბარში მითხრა, რომ ეკუმენური მიზნით ძალიან სურს თბილისში ჩამოსვლა.

საღამოს დავბრუნდით ისევ „ედინგტონ პელესში“. სასახლის დიდ დარბაზში (I სართულზე) გაიმართა კონცერტი (რელიგიური). დიდხანს გალობდნენ ახალგაზრდები — ანგლიკანური სარწმუნოების აღმსარებელნი. შემდეგ მოვიდნენ შავკანიანები (გოგონები და ბიჭები). ჩვენ აქ ვნახეთ ზანგი ახალგაზრდების მშვენიერი მუსიკალური კონცერტი. ისინი გალობდნენ, რაც საერო სიმღერასაც მოგვაგონებდა, — მთელი ტანით მოძრაობდნენ, რაც ცეკვასაც მოგვაგონებდა. ყოველივე ეს დიდხანს გაგრძელდა და დიდად კმაყოფილნი დავრჩით.

29 დეკემბერს (12 იანვარს) დილით (იგივე სასახლეში) დაიწყო კონფერენცია. უზარმაზარ მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ დიდი ბრიტანეთის ეკლესიათა საბჭოს წევრები, სასულიერო პირნი, პრესისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჩვენი ეკუმენური დელეგაციის წევრები.

კონფერენციის საერთო თემა იყო: „მშვიდობა ღვთისა და მშვიდობა ადამიანისა“, ქვეთემა: „ეკლესიათა წვლილი დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირში შემრიგებლობის, სამართლიანობისა და სიწმიდის საქმეში“.

კონფერენციის საერთო ხელმძღვანელი იყო დოქტორი ჯონ რასელი. ხსენებულ თემაზე მოხსენება წაიკითხა სოლბერსკის ეპისკოპოსმა ჯონ ბეკერმა. მოხსენებამ ცხოველი ინტერესი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. კონფერენციის წევრთა უმრავლესობამ მიიღო კამათში მონაწილეობა.

შესვენების შემდეგ ჩვენი დელეგაციის სახელით მოხსენება წაიკითხა (იგივე თემაზე) ლენინგრადის სასულიერო აკადემიის პროფესორმა, დეკანოზმა ვლადიმერ სოროკინმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მოხსენებას

დიდი რეზონანსი ჰქონდა და დიდი კამათი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მოხსენება ძირითადად შეეხო დღევანდელ პირობებში მშვიდობის გადარჩენის საკითხს. გამალებული შეიარაღების დაგმობის, ატომური შეიარაღების გაყინვისა და შემდეგ მისი თანდათანობითი შემცირების საკითხს... მორწმუნე მრევლისა და საერთოდ, ხალხის დარაზმვას მშვიდობის დასაცავად...

მე ყველაზე ბოლოს მომიხდა გამოსვლა. ჩემი სიტყვა დაახლოებით ასეთი იყო:

„ჩვენთან არს ღმერთი". ღმერთს (დაე, იდიდოს მარად სახელი მისი) ჩვენი ბევრი, ვითომ საქმიანი ფაციფუცი კი არ უნდა, არც ბევრი სიმდიდრე ჭირდება, რადგან სიმდიდრე ძლიერ აბრკოლებს სულის ზე აღსვლას... მას უნდა გული სიყვარულით გამთბარი ღვთისადმი, მოყვასისადმი და საერთოდ ადამიანისადმი, — ვინც არ უნდა იყოს ის, რა ტომისა და რჯულის. აქედან გამომდინარე— მშვიდობა, როგორც წმიდა აიაზმა, უყვარს შემოქმედს. ხშირად ეუბნებოდა მაცხოვარი თავის მოწაფეებს: „მშვიდობა თქვენთანა"... „მშვიდობას დაგიტევებ თქვენ"... „მოიძიე მშვიდობა და მისდევდე მას"... „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ"... მშვიდობის გარეშე არ არსებობს არც რწმენა და არც კეთილი საქმე. მშვიდობის მტერია არა მარტო ის, ვინც არღვევს მშვიდობას, არამედ ისიც, ვინც არ აღიმაღლებს ხმას მშვიდობის დასაცავად. და დღეს სწორედ, როგორც არასდროს, მთელ კაცობრიობას ევალება ხმის ამაღლება მშვიდობის დასაცავად. მას შემდეგ, რაც გამოგონებული იქნა „ჯოჯოხეთური მანქანა", კაცობრიობას გაუტყდა ძილი ყველა ქვეყანაში. მილიონები შიშით თრთიან ატომური ომის წარმოდგენითაც კი. ახირებული ბოროტი ძალა ჩასჩიჩინებს ადამიანებს და გარკვევით ჩასძახის ყურში: „მოსპე სხვა და იბატონე შენ"... საშინელია ცდუნება, მაგრამ ძალა ღვთიური აურაცხელია... მშვიდობის სიყვარული ძვლებამდე აქვს გამჯდარი უმრავლესობას. ქრისტეს სიყვარულმა და ქრისტიანობამ, მშვიდობისათვის მებრძოლმა ძალებმა, მათმა სიმტკიცემ და ერთიანობამ უნდა იხსნას კაცობრიობა ატომური ომის საფრთხისაგან. ჩვენთან არს ღმერთი!

ერთს მშვენიერ ჩვენებაში ვიხილე მამა ღმერთი, ძე ღმერთი და დედა ღვთისა, თვალშეუდგამნი თავიანთი სიდიადით და სიძლიერით, ცასა და ქვეყანას შორის ჩამომდგარნი, უსპეტაკესი თეთრი ღრუბლით მოსილნი... და წარმოსთქვა მამა ღმერთმა (უტკბილესი ხმით „ჩვენ გვსურს დედამიწა ცას შევუერთოთ"... მაგრამ იქვე დასძინა: „დაე, დედამიწამ შეიგნოს და თვითონ მიუახლოვდეს ცას... ჩვენ კი გვინდა უფრო მეტად დავუახლოვდეთ დედამიწას"...

რა თქმა უნდა, ღმერთის დაახლოება ქვეყანასთან არის პირველ რიგში მშვიდობა და სიკეთე, რადგან ღმერთი თვითონ გვიახლოვდება, ჩვენც შევიგნოთ და ვისწრაფოთ მისკენ. ის დიდ მშვიდობას გვპირდება, ხანგრძლივს... მისი დიდებულების სპეტაკი თეთრით შემოსვა, ამის ჭეშმარიტი უწყებაა. და მე იმედი მაქვს, დიდხანს და დიდხანს გაგრძელდება კვლავაც მშვიდობა, რადგან ეს არის დაპირება ღვთისა და „სიტყვა მისი არა წარხდეს". აურაცხელია ძალები მშვიდობის მომხრეთა. მშვიდობის მომხრეთა ქვეყნებს საბჭოთა კავშირი უდგას სათავეში. დაე, დიდხანს და დიდხანს ჰყვაოდეს მშვიდობის ვარდები მთელ პლანეტაზე. რელიგიურმა გაერთიანებებმა უფრო მეტად უნდა აღიმაღლონ ხმა მშვიდობის დასაცავად. მე წარმომადგენელი ვარ იმ ეკლესიისა, რომლის მეთაურიც არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი, **ილია II**, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ეკლესიებისა და ერების ურთიერთ დამეგობრების, მშვიდობისა და ურთიერთგაგების საქმეში. მშვიდობის საერთო საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს სასულიერო პირებს, საქართველოს ეკლესიის საბჭოს საერთო წარმომადგენლებს და სხვა... მე ჩემი სიტყვა დავამთავრე (იმით, რომ დასავლეთმა შექმნა ატომური ბომბი და ახლა იგივე ემუქრება სხვა ქვეყნებსაც. ამის გამო, თავდაცვის მიზნით, საბჭოთა კავშირი იძულებულია შეიარაღდეს.

ჩემი აზრით ატომური შეიარაღების შემცირებაზე კი არ უნდა ვლაპარაკობდეთ საერთოდ, არამედ მის სრულ მოსპობასა და აკრძალვაზე, ვინაიდან ამ იარაღის თუნდაც მცირე რაოდენობა კაცობრიობისათვის ძალზე საშიშია. იგი საერთოდ არ უნდა არსებობდეს; ქვეყნები უნდა განაძლიეროს მშვიდობამ.

ვევედროთ ღმერთს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისათვის, ადამიანის თესლ-ტომთა გადარჩენისათვის".

ყველას მოეწონა ეს სიტყვები და ფეხზე წამოდგნენ. იყო შეძახილები და ტაში.

ეს კონფერენცია დიდი ნიშანსვეტი იყო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა ერთობლივი ბრძოლისა და მშვიდობისათვის სხვადასხვა წყობის, აღმსარებლობის ხალხთა დამეგობრების გზაზე.

30 დეკემბერს (12 იანვარს) ჩვენი დელეგაცია გაიყო 3 ჯგუფად (თითოეულში — 4 წევრი) ირლანდიაში, შოტლანდიასა და უელსში გასამგზავრებლად. ირლანდიაში წამსვლელ ჯგუფს მეთაურობდა დელეგაციის საერთო ხელმძღვანელი, უკრაინის ეგზარქოსი, მიტროპოლიტი ფილარეტი, შოტლანდიაში წამსვლელ ჩვენს ჯგუფს — ესტონეთის ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენელი მთავარეპისკოპოსი ედვარდ ხარკი. წევრები: დეკანოზი ვლადიმერ სოროკინი (ლენინგრადის სასულიერო აკადემიის პროფესორი), თარჯიმანი ნინა ბობროვა (მოსკოვის საეკლ. საბჭო) და მე.

ჩვენ გავემგზავრეთ თვითმფრინავით. მოღრუბლული ციდან მზემ გამოანათა. ნახევარ საათზე ცოტა მეტი დაგვჭირდა შოტლანდიის დედაქალაქ ედინბურგამდე. აეროპორტში დაგვხვდნენ ადგილობრივი საეკლესიო საბჭოს წარმომადგენლები — სასულიერო პირნი. არა, ეს არ არის ედინბურგი, მითხრა ერთმა—ამას შოტლანდიურად ედინბავრა ჰქვია. „ედინ ბავრა"... დაბოლოებამ გამაოცა, გამახსენდა ჩვენი „ხიზა ბავრა" (რაიმე საერთო ხომ არ არის ძველ შოტლანდიელებსა და იბერიულ ტომებს შორის?)...

შოტლანდიაში ყოფნის დროს ბევრი შეხვედრა გვქონდა სასულიერო პირებთან, პრესის, რადიოსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, ჩვენი შეხვედრა უმუშევართა კომი-

ტეტის წევრებთან. დღეს შოტლანდიაში ბევრი უმუშევარია.

მომეწონა უმუშევართა კომიტეტის მუშაობა. ისინი შეძლებისდაგვარად ბევრს ზრუნავენ უმუშევრებზე, მათს საბინაო პირობებზე. თანხებს გამოსთხოვენ ხელისუფლებას და დახმარებას უწევენ მათ ოჯახებს.

5 (17) იანვარს დავბრუნდით ლონდონში. ამჯერად დავბინავდით „უინფრიდ ხაუსში".

მეორე დღეს ძლიერ საინტერესო შეხვედრები გვქონდა ქრისტიანული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, ასევე, „კვაკერის" სარწმუნოების მიმდევართა უფროსებთან. კვაკერის წარმომადგენლები ამაყობენ თავიანთი ქველმოქმედებით. მის შემადგენლობაში შედის 200-ათასზე მეტი მორწმუნე. ფილიალები აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. თანხებს აგროვებენ და აგზავნიან დაზარალებულთა დასახმარებლად სხვადასხვა ქვეყნებში. ჩემდა გასაკვირველად აღნიშნეს, რომ 1918—20 წლებში სამხრეთ საქართველოს ნაწილს, რომელიც თურქებისაგან დარბეული იყო, ეს საზოგადოება თურმე, გარკვეულ დახმარებას უწევდა სურსათითა და ტანსაცმლით.

ერთ-ერთ შეხვედრაზე კენტერბერიის მთავარეპისკოპოსთან, სადაც სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ, მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ მიღებისთანავე ყველას გააცნო ჩვენი დელეგაციის შემადგენლობა. ჩემს შესახებ თქვა, რომ აი, წარმომადგენელი იმ ქვეყნისა და იმ ეკლესიისა, რომლის შესახებაც პროფესორი დევიდ ლანგი ხშირად მოგვაგონებს ხოლმეო. სწორედ აქ შევხვდი დევიდ ლანგს. მან სუფთა ქართულით დამიწყო ლაპარაკი. დევიდ ლანგმა დიდი სურვილი გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლისა. მაგრამ დაასახელა ზოგიერთი ხელშემშლელი პირობა, რომელიც აბრკოლებს მას (უმეტესად ოჯახური და ეკონომიური). დევიდ ლანგი ჭეშმარიტი მეცნიერი და გულწრფელი მეგობარია ქართველი ერისა. ვფიქრობთ, მას შეუძლია თავისი კალმით ბევრი რამ გააკეთოს ანგლიკანური და ჩვენი ეკლესიების დაახლოებისა და დამეგობრების საქმეში.

იმავე დღეს ვიყავით ლონდონის საბჭოთა კავშირის საელჩოში, სადაც გაიმართა საუბარი ლონდონში ჩვენი დელეგაციის ყოფნასთან დაკავშირებით. საელჩომ თავის მხრივ ბევრი იზრუნა ჩვენთვის ზოგიერთი საკითხის მოგვარებისათვის.

საღამოს მიგვიღეს თემთა პალატაში. თემთა პალატის თავმჯდომარე სკიპერმა ჭეშმარიტი ჯენტლმენის თავაზიანობით მიიღო ჩვენი დელეგაცია. ტრადიციულ ბუხართან ახლოს დადგმულ სავარძლებზე ჩამომსხდართ გაგვიმართა საუბარი. რამდენჯერმე ღიმილით ახსენა ქართველები და საქართველო. თქვა: მზისა და ყველაზე კარგი ღვინის ქვეყანააო. შემდეგ ვახშმად მიგვიწვიეს ლორდთა პალატაში.

6 (19) იანვარს წმ. ნათლისღების დღესასწაულზე მიტროპოლიტ ანტონის მიწვევით, წირვა აღვასრულეთ რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში. მართლმადიდებელ მრევლთა შორის აღმოჩნდა ლონდონში მცხოვრები ორი ქართველი ქალი.

ამავე დღეს დავათვალიერეთ მე-17 საუკ. შესანიშნავი ქმნილება წმ. პავლეს ტაძარი. აქ საღამოს ლოცვაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. მორიგეობით გალობდნენ ანგლიკანები, შავკანიანები და ჩვენი დელეგაციის წევრები.

მეორე დღეს სადილზე კვლავ შეიკრიბნენ ბრიტანეთის ეკლესიის საბჭოს წევრები. მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება. ჩვენი დელეგაციის ინგლისში ყოფნასთან დაკავშირებით განხილულ იქნა შეხვედრების შედეგები, აღინიშნა ინგლისური პრესის დადებითი გამოხმაურება.

7(20) იანვარს გამოვემგზავრეთ ლონდონიდან.

მიტროპოლიტი კონსტანტინე
(მელიქიძე)



ეკლესიის ფურცელი

პრაღის მსოფლიო ასამბლეის ექო

კაცობრიობა თავისი ისტორიის საბედისწერო გზაჯვარედინს მიუახლოვდა. ერთი არაზუსტი ნაბიჯი და მთელი დედამიწა შეიძლება ბირთვული კატასტროფის მსხვერპლი შეიქნეს.

ამ საფრთხემ განსაკუთრებული საშიში ხასიათი დღეს მიიღო. მსოფლიოში მიმდინარეობს მოლაპარაკებები, გამოსვლები, დემონსტრაციები. საქვეყნოდ გაისმის ხმები, რომლებიც მოითხოვენ ბირთვული შეიარაღების შეჩერებას. მაგრამ ჯერჯერობით სიმშვიდე არ სუფევს ქვეყნად... ჯერჯერობით მხოლოდ შეშფოთებაა...

მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ხმებს თავიანთ გულისტკივილს უერთებენ რელიგიის მოღვაწენი, რომელთა უპირველესი დევიზი ყოველთვის იყო მშვიდობა. საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებზე, შეკრებებზე, რომლებიც ჩვენი კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებში ეწყობა, რელიგიის მოღვაწენი ხმამაღლა მოითხოვენ მშვიდობას, მოითხოვენ ბირთვული კატასტროფის შეჩერებას.

„მშვიდობა და სიცოცხლე ბირთვული ომის წინააღმდეგ“ — ეს სათაური აერთიანებდა 8—13 (21—26) ივლისს პრაღის მსოფლიო ასამბლეას, სადაც დედამიწის სხვადასხვა ქვეყნისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად მშვიდობის დასაცავად ხმა აიმაღლეს რელიგიის მოღვაწეებმა.

ბირთვული ომისათვის მზადება — ეს უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე; ომი გარდაუვალი არაა. ჯერ გვიანი არაა კატასტროფის თავიდან აცილება. ხსნა ისევ ადამიანების ხელშია...

მშვიდობისათვის მასობრივი მოძრაობა უმნიშვნელოვანესი ძალაა საერთაშორისო მდგომარეობის მოწესრიგებისათვის.

როგორი განსხვავებული თვალსაზრისისაც არ უნდა იყვნენ ადამიანები ერთმანეთისაგან, ამ საკითხში მათ უნდა მოძებნონ საერთო ენა, რადგან მხოლოდ ამ ერთიანობაშია ხსნა.

მხარი დავუჭიროთ მოლაპარაკებებს, რომელთა მიზანია შეწყდეს ბირთვული შეიარაღება!

მშვიდობიანი მოლაპარაკება და არა სამხედრო კონფლიქტები!

დედამიწის სიმდიდრეა მშვიდობა და სიცოცხლე. გავუფრთხილდეთ მას!

აი, ამ ძირითადი დევიზით ჩატარდა პრაღის ასამბლეა. მისი მთავარი მიზანი იყო საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება და გაერთიანება. მასში მონაწილეობა მიიღო 132 ქვეყნის 3226 დელეგატმა.

ასამბლეას უაღრესად ფართო, მასშტაბური ხასიათი ჰქონდა. სწორედ ამის გამო მიმდინარე წლის 6 (19) ივლისს, მოსკოვში საბჭოთა კავშირის ეკლესიათა მეთაურთა და რელიგიურ გაერთიანებათა წარმომადგენლების შეკრებაზე კვლავ მთელი სიმწვავით გაგრძელდა ამ ასამბლეაზე დასმული საკითხების გარშემო მსჯელობა. შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. მან თქვა:

„ღღეს იმდენად გამწვავდა საერთაშორისო მდგომარეობა, რომ თითქმის ყველაფერს, რასაც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე მიაღწია, აღარ ეწევა ანგარიში. შესაძლებელია ყველაფერი უეცრად გაქრეს, დაიღუპოს. კაცობრიობა მშვიდობისა და ომის საკითხებში ჯერ ისევ ძველი კატეგორიებით აზროვნებს, როცა ხმარობდნენ ჩვეულებრივ იარაღებს, იყენენ გამარჯვებულნი და დამარცხებულნი. ამჯერად კი ბირთვული იარაღის ხანაში სულ სხვა თვალითა და გონებით უნდა შევხედოთ სინამდვილეს. ეს აუცილებელია, ამისათვის ბევრი შრომა დაჭირდება კაცობრიობას. ასევე საჭიროა ლოცვაც, რათა წინასწარმეტყველ ისაიას სიტყვებით გამოხატული ღვთის კურთხევა გარდამოვიდეს მთელს მსოფლიოზე:

„და მივსცნე მთავარნი შენნი მშვიდობით და ზედამხედველნი შენნი სიმართლის და ისმეს ქუეყანასა შინა შენსა, უსამართლოება, არცა შემუსრვა, არცა სასოება, საზღვართა შორის შენთა, არამედ ეწოდოს მცხოვრებ ზღუდეთა შენთა“ (ისაია. 60.17).

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი დოქტორი ფილიპ პოტერი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტუმარი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II მოწვევით 1983 წლის 1–2 (14–15) მაისს თბილისში სტუმრად იმყოფებოდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ფილიპ პოტერი.

ვიზიტის პირველ დღეს სტუმარმა დაათვალიერა საქართველოს ძველი დედაქალაქი მცხეთა. იყო ჯვრის მონასტერში და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

იმავე დღეს, დოქტორი ფილიპ პოტერი მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვიქტორია სირაძემ. დღის მეორე ნახევარში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტს ილია II.

საღამოს ფილიპ პოტერი და მისი თანმხლები პირნი დაესწრნენ ანსამბლ „ივერიის" კონცერტს.

მეორე დღეს, საპატიო სტუმარი ეწვია თბილისის ტაძრებს და მრევლის წინაშე იქადაგა. მან ხაზი გაუსვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მნიშვნელობას მშვიდობისა და ხალხთა დაახლოების საქმეში.

„ეკლესიების დაახლოება — განაცხადა ფილიპ პოტერმა, — განაპირობებს სახელმწიფოებისა და ხალხების შეკავშირებას, რაც თავის მხრივ დედამიწაზე მშვიდობისა და ძმობის წმიდათაწმიდა საქმის საწინდარია".

იმავე დღეს, იგი დაესწრო თბილისის სიონის ტაძარში ჩატარებულ საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგიას, რომლის დროსაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II და ფილიპ პოტერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მისასალმებელი სიტყვა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივნის ფილიპ პოტერისადმი

წარმოთქმული უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის, ილია II მიერ

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო!

დღეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და ბედნიერი დღეა. ამ წმიდა ტაძარში იმყოფება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი ბატონი ფილიპ პოტერი, რომელიც პირველადაა საქართველოში და რომელიც უკვე მრავალი წლის მანძილზე დიდ მუშაობას, დიდ მოღვაწეობას ეწევა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში.

ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ვიზიტი. იგი წინ უძღვის ვანკუვერის ასამბლეას, რომელიც შედგება კანადაში ამ ზაფხულს. რა თქმა უნდა, მთელი ქრისტიანული სამყარო ემზადება ამ მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის.

მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი მზადება, როგორც არის დღეს მთელ მსოფლიოში ვანკუვერის ასამბლეისათვის, ჯერ არ ყოფილა. ვანკუვერში მიიღებს მონაწილეობას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ყველა დელეგატი. ყველა ეკლესია, რომელიც არის წევრი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი. მიუხედავად იმისა, რომ ამ საბჭოში არ არის წევრად რომის კათოლიკური ეკლესია, მისი წარმომადგენლებიც მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ამ ასამბლეაზე.

ასამბლეაზე დელეგატები მივლენ თავიანთი პრობლემებით, იმ პრობლემებით, რომლებიც შეეხება ეკლესიურ ცხოვრებას, სოციალურ თუ პოლიტიკურ სფეროებს, ამიტომ არის, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ასე ენერგიულად ემზადება ამ მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრისათვის. ამ დიდ მზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობთ თქვენ, ბატონო ფილიპ პოტერ. თქვენ გაგაჩნიათ მრავალი წლის გამოცდილე-

ბა. თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ ეკლესიათა და საერთოდ ქრისტიანთა დაახლოებისათვის. თქვენი დიდი ცოდნა ეკუმენურ საქმიანობაში, თქვენი სიბრძნე მუდამ იჩენს თავს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაძაბულია ურთიერთობა სხვადასხვა ეკლესიათა და სახელმწიფოთა შორის.

არავისათვის საიდუმლო არაა, რომ დღეს მეტად გამწვავდა პოლიტიკური ურთიერთობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. მსოფლიო მივიდა იმ წერტილამდე, როდესაც უკვე საშიშროება ემუქრება მთელ კაცობრიობას. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მუშაობაზეც მოქმედებს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დიდი გამოცდილება, საერთოდ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დიდი გამოცდილება დაძლევს იმ მრავალ პრობლემას, რომლის წინაშე დგას იგი.

მეტად მოხარულნი ვართ ბატონო ფილიპ პოტერ, რომ ამ დროს, ამ ასამბლეისათვის მზადების დროს, თქვენ გამონახეთ საშუალება და ჩამობრძანდით საქართველოში. თქვენ გქონდათ საშუალება გასცნობოდით ჩვენი ერის კულტურას, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენი ვიზიტი მეტად მოკლეა და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, მომავალში უფრო ხანგრძლივი დროით გვეწვევით; ჩვენი ეკლესია, ჩვენი უძველესი, სამოციქულო ეკლესია, ჩვენი მღვდელმთავრები, სამღვდელოება, ჩვენი მრევლი, მორწმუნენი დიდი სიყვარულით გხვდებიან თქვენ, გისურვებთ დიდ წარმატებებს თქვენს დიდ საპასუხისმგებლო მოღვაწეობაში.

მადლი ღვთისა, ძალა ღვთისა, ძალა ყოვლადწმიდისა სამებისა, რომელსაც აღიარებს და რომელსაც თაყვანს სცემს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ყველა წევრი, იყოს თქვენი მფარველი.

მე მინდა აღვნიშნო თქვენი ვიზიტი ამ წმიდა ტაძარში, რომელიც არის საქართველოს დედა-ეკლესია... აქ საუკუნეების მანძილზე ულოცავთ ჩვენს დიდ წინაპრებს. მინდა სამახსოვროდ გადმოგცეთ წმ. გიორგის ხატი. როგორც ვიცი, თქვენ დაიბადეთ იმ კუთხეულ ადგილზე, რომლის მფარველია წმ. გიორგი. საქართველოსაც იფარავს ძლევამოსილი წმიდა გიორგი. ყოფილიყოს იგი მფარველი, თქვენი სამშობლოსი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი და საქართველოსი.



ფილიპ პოტერის მიერ წარმოთქმული საპასუხო სიტყვა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II მიმართ

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმებო და დებო!

ქრისტე აღსდგა! (ჭეშმარიტად აღსდგა! — მრევლი).

ამ სიხარულით აღსავსე სიტყვებით, მსოფლიოს ყველა ქრისტიანის სახელით მოგესალმებით თქვენ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ეკლესიები, რომლებიც არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში. ეს ეკლესიები მსოფლიოს ყველა კუთხეშია — ჩრდილოეთში, სამხრეთში, აღმოსავლეთში და დასავლეთში. მე მაქვს დიდი პატივი, რომ დღეს ჩემი პრეზიდენტის გვერდით ვიმყოფები: ჩვენ დიდი სიყვარულით შევცქერით მას, ისეთივე დიდი სიყვარულით, როგორითაც თქვენ. შევცქერი, როგორც მშვენიერ მოწაფეს, რომელიც მისდევს ჩვენი უფლის—იესო ქრისტეს სწავლებას... კარგ მოწაფეს. „კარგი“ ბერძნულად ნიშნავს არა მარტო კარგს, არამედ ლამაზს და მშვენიერს. თქვენი კათოლიკოსი არის ის მწყემსმთავარი, რომელიც დაჯილდოებულია აი ამ სილამაზის ნიჭით. მას თვითონ ძალიან უყვარს სილამაზე და იღვწის იმისათვის, რომ ყოველი ჩვენთაგანი იყოს ლამაზი. ეს ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან მსოფლიოში დღესდღეობით ბევრი უბედურება და სიმახინჯე არსებობს.

მსურს, თქვენო უწმიდესობავ, მადლობა გადაგიხადოთ ყოველივე იმის გამო, რასაც თქვენ აკეთებთ ჩვენთვის; იმ სიყვარულისათვის, რომელსაც თქვენ გამოხატავთ ჩვენდამი, იმ მეგობრული გრძნობისა და ლოცვებისათვის, რომელსაც აღავლენთ ჩვენთვის.

მე მახსოვს, როდესაც თქვენ პირველად დაესწარით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ასამბლეას 1968 წელს, უფსალაში — შვეციაში. მთავარი თემა უფსალის ასამბლეისა იყო: „რათა ღმერთმა განაახლოს ყოველივე, რაც არსებობს ქვეყანაზე“... თქვენ საუბრობდით ახალი იერუსალიმის, ახალი სიონის შესახებ. ამ საკათედრო ტაძრის სახელიც სიონია.

იოანე ღვთისმეტყველის სიტყვებით, ახალი იერუსალიმი არის ისეთი ქალაქი, რომელიც გაუღებს თავის კარიბჭეს ყველას. მსოფლიოს ყველა ხალხები შევლენ მასში და გამოვლენ თავისუფლად და თითოეული მათგანი მიიტანს ყოველივე იმ ძვირფასეულს, რაც მას გააჩნია და შეაერთებენ მათ ერთად. ამ სიონის ქალაქში იქნება სიცოცხლის მდინარე, მის ნაპირას გაიზრდება ხე ცხოვრებისა და ამ ხის ფოთლები განკურნავენ ადამიანთა სენს.

ძვირფასო ქრისტესმიერო ძმებო და დებო, ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, რომელიც დაყოფილია პატარ-პატარა ნაწილებად. ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ ვისწავლეთ, როგორ გავუზიაროთ ერთმანეთს ჩვენი წუხილი, ჩვენი სიხარული და ყოველივე ის, რაც უფალმა გვიბოძა. ჩვენ ვეომებით და ვანადგურებთ ერთმანეთს, იმის მაგივრად, რომ ავაშენოთ ერთმანეთი. მაგრამ ღმერთმა აკურთხა ეკუმენური მოძრაობა. ამ მოძრაობის საშუალებით ეკლესიები უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს. ეს არის დასაწყისი მათი გაცნობისა და ყოველივე იმ განძისა, რაც ნაბოძები იყო უფლის მიერ. უნდა შევიცნოთ, რომ ეს კეთდება არა მხოლოდ ჩვენთვის, ეკლესიებისათვის, არამედ, მსოფლიოსათვის, იმისათვის, რომ მთელი მსოფლიო იყოს სიონის ქალაქი.

ამ სულისკვეთებით გამსჭვალულნი, ჩვენ ვუახლოვდებით ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს მეექვსე ასამბლეას, რომლის მთავარი თემა იქნება: „იესო ქრისტე — მსოფლიოს სიცოცხლე“.

თქვენს, საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ცნობილია ფაქტი ცხოველმყოფელი ხისა, რომლის ადგილზე შემდეგ აშენებულ იქნა სვეტიცხოველი. მე მოგესალმებით, როგორც ერს, განახლებულ ერს, რომელმაც თავისი ახალი სიცოცხლე ღვთისადმი სიყვარულში მოიპოვა. შევთხოვ უფალს, გარდამოავლინოს თავისი კურთხევა თქვენზე სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა.



ვანკუვერის ასამბლეაზე

11—28 ივლისს (24 ივლისიდან 10 აგვისტომდე), კანადაში, ბრიტანეთის კოლუმბიის შტატის ქალაქ ვანკუვერში, მიმდინარეობდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს VI გენერალური ასამბლეა. ასამბლეა, ეს ყველაზე დიდი და, ამავე დროს, მთავარი ფორუმია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კანონმდებლობაში.

ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტის ქალაქში, რომელიც ვანკუვერის შემოგარენში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს, თავი მოიყარეს ასამბლეის მონაწილეებმა, რათა განეხილათ ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც 1975 წლის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს V ასამბლეის ჩატარების შემდეგ აწუხებდა საბჭოს 300 წევრ-ეკლესიას.

ასამბლეის ორგანიზაციაში უდიდესი მუშაობა ჩაატარა კანადის ეკლესიათა საბჭომ. მან მუშაობის ყოველგვარი პირობები შეუქმნა ასამბლეის მონაწილეებს, რაც არც ისე იოლი იყო. სხდომებზე ყოველდღიურად 6 ათასზე მეტი ადამიანი იყრიდა თავს, თუ არ ჩავთვლით ყველა იმათ, ვინც მომსახურე პერსონალს შეადგენდა.

ასამბლეაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, როგორც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრმა. დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტი ილია II, შედიოდნენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, აგარაკ-წალკის ეპისკოპოსი ვახტანგი, პროტოპრესვიტერი გურამ შალაძბერიძე, დეკანოზი ზურაბ სირაძე, სასულიერო აკადემიის სტუდენტი ვლადიმერ საბიაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თარჯიმანი გულნარა ველიაშვილი და ამ განყოფილების მდივანი ბორის გაგუა.

11 (24) ივლისს, კვირას, ქ. ვანკუვერის სპორტის სასახლეში — კოლიზეუმში, შესდგა საზეიმო ცერემონიალი, რომელიც გაიხსნა კანადის ეროვნული ჰიმნით და ინგლისის დედოფლის ელიზაბედ II წარმომადგენლის, კანადის გენერალ-გუბერნატორის სიტყვით. მისალმებით გამოვიდნენ კანადის მთავრობის, კანადის ეკლესიათა საბჭოსა და მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ოფიციალური წარმომადგენლები. სხდომის ოფიციალური ნაწილის შემდეგ შედგა კონცერტი.

12 (25) ივლისს, პირველი პლენარული სესიით, რომელიც შეეხებოდა ასამბლეის მთავარ თემას — „იესო ქრისტე — მსოფლიოს სიცოცხლე“ — ასამბლეამ დაიწყო თავისი მუშაობა.

სესიების სხდომები ყოველდღე ადგილობრივი ტელევიზიით გადაიცემოდა. ამასთან ერთად, კანადის ტელევიზია, რადიომაუწყებლობა და პრესა, დაწვრილებით აშუქებდა ასამბლეის თითქმის ყოველდღიურ მუშაობას.

ერთ-ერთ პლენარულ სხდომას, რომელიც 17 (30) ივლისს ჩატარდა, თავმჯდომარეობდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II. სესია მიეძღვნა წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებისა და მათი ეკლესიების მდგომარეობას. იგი მეტად საინტერესოდ ჩატარდა, რადგან ასამბლეის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა ამ ქვეყნების ეკლესიების მდგომარეობისა და ისტორიის გარდა, გასცნობოდნენ მათ კულტურულ და ეროვნულ ტრადიციებს. სხდომის დასასრულს, ასამბლეის ყველა დელეგატმა მიიღო სამახსოვრო საჩუქარი — ნიჟარებისაგან აკინძული ყელსაბამი და ყვავილები, — საგანგებოდ მოტანილი წყნარი ოკეანის შორეული კუნძულებიდან.

საერთოდ, ასამბლეის ყველა დელეგაციას, თავისი ქვეყნის ეროვნული და კულტურული ტრადიციების მცირეოდენი ნაწილი შეჰქონდა ამ დიდ, „ერთიან და მრავალეროვან ოჯახში“, როგორც მას კანადის პრესამ უწოდა.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ ასამბლეას საქართველოს საპატრიარქოს მონოზვნების მიერ მოქსოვილი ხალიჩა გადასცა, რომელზედაც გამოსახული იყო იესო ქრისტე და ქართულ-ინგლისურ ენაზე ჰქონდა წარწერა: „იესო ქრისტე — მსოფლიოს სიცოცხლე“. ხალიჩა, სხდომათა დარბაზში გამოფინეს. ასამბლეის დამთავრების შემდეგ კი მან ჟენევაში, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შენობაში ჰპოვა თავისი ახალი სამყოფელი.

პლენარული სხდომების გარდა, ასამბლეის მუშაობა, და საერთოდ, მუშაობის მთავარი ასპექტი, წარიმართებოდა ქვე-კომიტეტებსა და პატარა სამუშაო ჯგუფებში. ასამბლეის მუშაობას ძირითადად ასამბლეის სამუშაო კომიტეტი წარმართავდა და ხელმძღვანელობდა. იგი ყოველდღე იკრიბებოდა. სხდომაზე მხოლოდ მის წევრებს ჰქონდათ დასწრების უფლება — მათ, ვინც ასამბლეის ძირითად და ხელმძღვანელ აპარატს შეადგენდა. სხდომის მუდმივი მონაწილე გახლდათ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II. ეგრეთწოდებული „დახურული სხდომები“ მიმდინარეობდა ქვე-კომიტეტებსა და პატარა სამუშაო ჯგუფებში, სადაც, აგრეთვე, მხოლოდ ასამბლეის დელეგატებს ჰქონდათ დასწრების უფლება, და სადაც არც მიმომხილველები და არც ჟურნალისტები არ დაიშვებოდნენ.

ვანკუვერის VI ასამბლეაზე სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება დაეთმო ქალებისა და ახალგაზრდობის როლს ეკლესიის ცხოვრებაში. ერთ-ერთი მთავარი ყურადღება, აგრეთვე, ეკუმენურ ლოცვებს ეთმობოდა, რომლებიც ყოველ დილა-საღამოს სპეციალურად მომზადებული კარვის ქვეშ, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იმართებოდა. ეს ცენტრი, არა მარტო წირვა-ლოცვის, არამედ შეხვედრების, კონცერტებისა და ერთობლივი ღონისძიებების ადგილი იყო.

შაბათს, 17 (30) ივლისს, აქ ჩატარდა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი საღამო, რომელიც კანადის მკვიდრი მოსახლეობის — ინდიელების მიერ იყო მოწყობილი და მათი კულტურული ტრადიციების ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდა. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 20 მეტრის სიმაღლის ინდიელთა ტოტემი აღიმართა. ტოტემი, ეს ერთი მთლიანი ხისგან გამოჭრილი, გაფერადებული ბოძია, რომელზედაც ამა თუ იმ ტომის ცხოვრებაა ასახული. ტოტემი კერპი არ არის, იგი ინდიელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სიმბოლოა.

კვირას 18 (31) ივლისს ვანკუვერის წმიდა აღდგომის სახელობის რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიაში შესდგა ერთობლივი საღმრთო ლიტურგია, რომელიც მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ჩაატარა. წირვას საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებიც ესწრებოდნენ.

საქართველოს ეკლესიის დელეგატები, ვანკუვერში ყოფნის დროს, მიპატიჟებულნი იყვნენ სხვადასხვა წვეულებებზე, რომლებიც გაიმართა ბრიტანეთის კოლუმბიის წმ. ვართანის სახელობის სომხეთის სამოციქულო ეკლესიის, ვანკუვერის ელინისტური საზოგადოებისა და კანადის ანგლიკანური ეკლესიის მიერ. ვანკუვერის VI ასამბლეა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მსოფლიოს ხალხთა დაახლოებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. ამ დიდ ფორუმში საქართველოს ეკლესიის დელეგაციის მონაწილეობა და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ახალი ცენტრალური კომიტეტის წევრად მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დავითის არჩევა კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი ავტორიტეტითა და პატივით სარგებლობს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დიდ და მრავალეროვან ოჯახში.

საგარეო საქმეთა [illegible] ბიბლიოთეკა

ქრისტიან ქალთა სამშვიდობო კონფერენცია კიევში

მიმდინარე წლის 7—12 (20—25) აპრილს მე წარგზავნილი ვიყავი ქრისტიან ქალთა სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა კიევში.

კონფერენციას მსოფლიოს ეკლესიათა მრავალი წარმომადგენელი ესწრებოდა.

დღის წესრიგში სამი საკითხი იდგა:

1. ცხოვრება იესო ქრისტესმიერი და შიში თანამედროვე კაცობრიობის გადარჩენისათვის;
2. ცხოვრება იესო ქრისტესმიერი და ჩვენი მოვალეობა ეკლესიის, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე;
3. ვართ თუ არა მზად ვანკუვერის VI ასამბლეისათვის.

ევროპის ქალთა თითქმის ყველა წარმომადგენელი დაინტერესებულია საკითხით — ქრისტიანი ქალის როლი და მისი მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის ეკლესიებში; როგორია მათი განათლების დონე და სხვა. რატომღაც მათი წარმოდგენით, ჩვენში ქალის ქრისტიანული მოღვაწეობა მხოლოდ ეკლესიის დალაგება-დასუფთავებითა და მრეცხაობით შემოიფარგლება, რადგან არ გაგვაჩნია ღვთისმეტყველების კურსები.

მე ავუხსენი, რომ ქრისტიანი ქალები არიან მედავითნენი, მგალობელნი, ლოტბარნი, სემინარიის მასწავლებელნი ისეთი სხვადასხვა დისციპლინებისა, როგორიცაა: ეკლესიის ისტორია, ფილოსოფია, ბერძნული და სლავური ენები, გალობა; ასევე ავალიათ აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარეობა და სხვა მრავალი; რომ პირადად მე თითქმის 30 წლის მანძილზე სამ თანამდებობას ვემსახურები და ასე შემდეგ... ამაზე შვეიცარიელი ქალის დიდი კმაყოფილება და სიმპატია გამოითქვა. მის შეკითხვაზე, მიმიღია თუ არა მონაწილეობა ამგვარ ფორუმებზე — ვუპასუხე, რომ 1969 წელს ვესწრებოდი მსოფლიო რელიგიების სამშვიდობო კონფერენციას, სადაც მქონდა ბედნიერება, მშვიდობის დაცვისათვის წარმოთქვა სიტყვა.

კონფერენციაზე თითქმის ყველა დელეგატი მოხსენებით გამოვიდა. ამ მოხსენებების მთავარი აზრი ერთი იყო: გვიყვარდეს ერთმანეთი, დავივიწყოთ წარსული მტრობა, აღვზარდოთ შვილები სიყვარულით, და, რაც მთავარია, როგორმე გამოიძებნოს საშუალება მშვიდობის დაცვისათვის. ითქვა, რომ საჭიროა ერთმანეთის საეკლესიო ცხოვრების კარგად გაცნობა, რომ ქრისტე არს ჩვენს შორის და ჩვენ ერთმანეთის რწმენა უნდა გვქონდეს; რომ საჭიროა ღვთისმეტყველების ცოდნის შეტანა ოჯახებში, ახალგაზრდობის ქრისტიანული სწავლებით აღზრდა; ეს ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა. სურვილი გამოითქვა, ხშირად ჩატარდეს ასეთი კონფერენციები, რათა უკეთ შევიცნოთ და შევიყვაროთ ერთმანეთი. ყველა ღონე ვიხმაროთ, ბირთვული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად, რომ შევუნარჩუნოთ სიცოცხლე ჩვენს პლანეტას.

თ. ტორონჯაძე



კიევი. კონფერენციის ერთ-ერთი სხდომა. მონაწილეთა შორის არის თ. ტორონჯაძე

სამეგობრო გზები



ქართული ეკლესიის დელეგაცია ბულგარეთში

ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს აღდგენის 30 და პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის დაარსების 900 წლისთავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, 14—21 მაისს (27 მაისიდან 3 ივნისამდე) ბულგარეთში სტუმრად იმყოფებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II მეთაურობით. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს მოგზაურობაში თან ახლდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), აგარაკ-წალკელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი) და თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის დეკანოზი ზურაბ სირაძე.

ზეიმის პირველ დღეს სრულიად ბულგარეთის პატრიარქმა, უწმიდესმა მაქსიმემ სინოდალურ პალატაში მიიღო საქართველოს ეკლესიის დელეგაცია.

მეორე დღეს, ქ. სოფიის წმ. ალ. ნეველის სახელობის საპატრიარქო ტაძარში შედგა ერთობლივი საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურღია, რომლის დასასრულს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა.

17 (30) მაისს, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ბულგარეთის საპატრიარქოს აღდგენის 30 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

დღის მეორე ნახევარში, ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა პატივსაცემად გაიმართა ღიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ბულგარეთის სამღვდელოებისა და ალ. ნეველის სახელობის საპატრიარქო ტაძრის გუნდები.

. იმავე საღამოს, მისმა უწმიდესობამ პატრიარქმა მაქსიმემ და ბულგარეთის ეკლესიის წმ. სინოდმა ზეიმის მონაწილეთათვის გამართა ოფიციალური ვახშამი.

18 (31) მაისს, ზეიმის მონაწილენი გაემგზავრნენ რილის მონასტერში, სადაც შედგა ერთობლივი ლოცვა. ლოცვის შემდგომ სტუმრებმა დაათვალიერეს ადგილობრივი ღირსშესანიშნაობანი და იმავე საღამოს დაბრუნდნენ სოფიაში.

19 მაისს (1 ივლისს), დელეგაციათა მეთაურები მიიღო ბულგარეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ პატ. ტოდორ ჟივკოვმა და ესაუბრა მათ მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის აქტუალურ საკითხებზე. საბჭოთა კავშირიდან მიღებაზე სიტყვა წარმოთქვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა პიმენმა.

იმავე საღამოს, სტუმრები გაემგზავრნენ ქალაქ პლოვდივში, სადაც მოინახულეს წმ. მარინეს სახელობის ტაძარი.

ხუთშაბათს, 20 მაისს (2 ივნისს), საქართველოს ეკლესიის დელეგაცია და ზეიმზე ჩამოსული სხვა დელეგაციები ჩავიდნენ პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტერში, მისი დაარსების 900 წლისთავის ზეიმზე. აღსრულებულ იქნა სამღვდელმთავრო წირვა და პარაკლისი, რომლის დროს ეკლესიათა დელეგაციების მეთაურებმა გვირგვინებით შეამკეს პატრიარქ კირილე II და ეგზარქოს სტეფანეს საფლავები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა წარმოთქმული ბულგარეთის საპატრიარქოს აღდგენის 30 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით

თქვენო უწმიდესობავ, ძვირფასო ძმაო ჩვენო, პატრიარქო ბულგარეთისა მაქსიმე! ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მწყემსმთავარნო, ქრისტესმიერ ძმანო და დანო!

მოხარულნი ვართ, რომ ვესწრებით ბულგარეთის საპატრიარქოს აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებულ ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ზეიმს. დღეს ასევე ზეიმია მთელი ბულგარელი ხალხისაც, რადგან თქვენი ეკლესია მისი სულია.

30 წლის წინ, როდესაც აღდგა ტირნოვის საპატრიარქოს მემკვიდრე ბულგარეთის საპატრიარქო, საქართველოს ეკლესიამ სიხარულით

მიიღო ეს მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი. საპატრიარქოს ღირსების აღდგენა მხოლოდ ისტორიული ფაქტი არაა. ეს არც მხოლოდ ერთი ხალხისა და ეკლესიის დაფასებაა. იგი გაცილებით დიდი და საგულისხმო რამაა. ბულგარელი ხალხის მოწინავე წარმომადგენლებს, რომლებმაც დიდი ბრძოლა გადაიტანეს საპატრიარქოს აღდგენისათვის, კარგად ესმოდათ ეს და მისგან გამომდინარე სასარგებლო შედეგების მნიშვნელობასაც გრძნობდნენ. მათ იცოდნენ, რომ მხოლოდ საპატრიარქოს მეთაურობით შესძლებდა ბულგარელი ხალხი მსოფლიოსათვის გადაეშალა თავის წიაღში დაფარული ერის სულიერი და კულტურული მემკვიდრეობა.

დღეს არა მარტო ბულგარეთის ეკლესიის ზეიმია. ესაა საერთოდ ქრისტეს ეკლესიის, მის წმიდა მოწამეთა და მოციქულთა ზეიმი. საქართველოს ეკლესია თქვენთან ერთად იზიარებს ამ სიხარულს.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ეკლესიებსა და ხალხებს შორის მეგობრულ ურთიერთობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. 1083 წელს ქართველი ძმების — გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის-ძეების მიერ დაარსებული პეტრიწონის, ანუ ბაჩკოვოს მონასტერი, რომლის 900 წლის იუბილესაც ახლა აღვნიშნავთ, საუკეთესო მაგალითია ჩვენი ძმური ურთიერთდამოკიდებულებისა. ამ მონასტერში რამდენიმე წლის მანძილზე მოღვაწე იოანე პეტრიწის ორიგინალურმა ფილოსოფიამ ღრმა კვალი დატოვა ჩვენი ერის ისტორიაში. ბაჩკოვოს მონასტერში იოანე პეტრიწი სათავეში ჩაუდგა ძველბერძნული ფილოსოფიისა და ანტიკური აზროვნების შესწავლას, რასაც შემდგომში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული რენესანსის განვითარებისათვის.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით, გულითადად ვულოცავ ჩვენს მოძმე ბულგარელ ხალხს ღირსშესანიშნავ თარიღს — ბულგარეთის საპატრიარქოს აღდგენის 30 და ბაჩკოვოს მონასტრის დაარსებიდან 900 წლისთავს.

დაე, მადლი ღვთისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იცავდა თქვენს ეკლესიასა და თქვენს ღვთისმოშიშ ხალხს, მომავალშიც გფარავდეთ!

ჩემი მისალმება მსურს დავამთავრო XV საუკუნის ერთ-ერთი სერბიული ხელნაწერის სიტყვებით: „ყოველნი ხედავთ, ძმანო, მსგავსად ზეციერი წმიდა სამებისა, მიწაზეც სამი მეუფებაა: მეუფება ბერძენთა, ბულგართა და ივერთა.

ბერძნულში — მამაა
ივერთაში — ძე
ბულგარულში — სულიწმიდა“.
წმიდა სამება შეგვეწიოს ჩვენ ყველას!

სხვადასხვა ეკლესიების წარმომადგენელთა შეხვედრა თეოდორ ეიკოვთან.
მონაწილეთა შორისაა უწმიდესი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II სიტყვა წარმოთქმული ბულგარეთში პეტრიწონ-ბაჩკოვოს მონასტერში 900 წლის საიუბილეო ზეიმზე

თქვენო უწმიდესობავ, ქრისტესმიერ ფრიად საყვარელო ძმაო, ბულგარეთის პატრიარქო მაქსიმე.

მაღალყოვლადუსამღვდელოესნო ეპისკოპოსნო ბულგარეთისა, მაღალყოვლადუსამღვდელოესო ნესტორ,—ეპისკოპოსო სმოლენსკისა. პეტრიწონ-ბაჩკოვოს მონასტრის პატიოსანო მამანო და ძმანო!

ეკლესიებისა და ხალხების ისტორიაში არსებობს ისეთი თარიღები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით, როგორც საეკლესიო პირთა, ასევე მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობისა და მეტადრე მეცნიერთა ყურადღებას იქცევენ.

სწორედ ასეთი თარიღია პეტრიწონ-ბაჩკოვოს მონასტრის 900 წლის იუბილე; მონასტრისა, რომლის ისტორია ნათელს ჰფენს ჩვენი ორი ერთმორწმუნე ქვეყნის — ბულგარეთისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვან მეგობრობასა და ურთიერთკავშირს.

პეტრიწონის მონასტრის ისტორიის გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს შუასაუკუნეების საქართველოს კულტურის უკეთ შეგრძნობისათვის.

1083 წელს ბიზანტიაში აღზრდილმა ქართველმა მოღვაწემ, ქართველი ფეოდალის, ბაკურიანის შვილმა, დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლმა აღაშენა პეტრიწონის მონასტერი და წინამძღვრად დაუნიშნა კეთილმორწმუნე მონოზონი გრიგოლ ვანელი. მანვე შეადგინა მონასტრის შინაგანაწესი, ანუ ტიპიკონი, ააგო დამხმარე შენობები, შეიძინა და შესწირა მრავალი ადგილ-მამული თავისი ციხე-სიმაგრეებით... ააგო სკოლა მომავალ მღვდელმსახურთა განსწავლისათვის.

გრიგოლ ბაკურიანის ძე ძალზე ახლოს მდგომი პირი გახლდათ იმპერატორ ალექსი კომნენისა; სახელმწიფო სამსახურში მაღალი მდგომარეობა ეკავა ამ მონასტრის მშენებლობის საქმეში ამაგდარ მის ძმასაც — აბაზს.

ძალზე დიდი მნიშვნელობის ძეგლია მონასტრის ტიპიკონი. საბედნიეროდ, როგორც თავადაც მოგეხსენებათ, ამ ტიპიკონმა ჩვენამდე მოაღწია ქართულ და ბერძნულ ენებზე.

ტიპიკონის დასაწყისში ნეტარხსენებული გრიგოლი გარკვევით წერს. ვინ არის იგი და რა მონასტერს ჩაუყარა საფუძველი: „აწ უკუე ვიწყოთ ჩუენ აღწერად ღმრთისა მიერ განსაზღვრებაჲ ესე საკრებულოჲ და მცნებაჲ კანონისაჲ ერთ-სულ ქმნულთა მათთვის მონოზონთა, რომელნი მყოფ არიან სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისასა აღშენებულსა ქართველთა მონასტერს პეტრიწონისასა, რომელი-ესე აღიწერა და დაემტკიცა ბრძანებითა ჩემ გრიგოლისითა, ნებითა ღმრთისაჲთა სევასტოსისა და დიდისა დომესტიკოსისა ყოვლისა დასავლეთისაჲთა, აღმოსავლეთისა და ქართველისაჲთა, რომელი-ესე მებრ მშენებელი ვარ პირველ ხსენებულისა მის ახალ-შენებულისა მონასტრისა“ (ტიპიკ. 0,2). სხვა ადგილას გრიგოლი ასე წერს: „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩუეულნი (ტიპიკ. 0,4).

როდესაც იგი ლაპარაკობს იმ მრავალ ადგილ-მამულზე, რომელიც მონასტერს შესწირა, ამბობს: „ესე უკუე ყოველნი მამულები, რომელნი სახელ-დებით ზემოით სწერიან, მიმიცემიან ზემო ხსენებულისა მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღმრთისმშობელისა პეტრიწონისადა“ (ტიპიკ. 2,8).

ტექსტში ვკითხულობთ, რომ ტიპიკონი შედგა ორ ენაზე: ბერძნულად—ხელმოწერილი იერუსალიმის პატრიარქის ეფთვიმეს მიერ, რომელიც მეფის ბრძანებით გაგზავნილი იყო თესალონიკაში მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად და უკან დაბრუნებისას ეწვია გრიგოლის სამფლობელოს, სადაც მოაწერა კიდეც ხელი წესდებაზე. მეორე ტექსტი დაიწერა ქართულად. გრიგოლი განმარტავს: ქართულად (დაიწერა ტიპიკონი), რამეთუ მონოზონი მონასტრისა ჩემისანი გუარად ქართველნი არიან და არა იციან ბერძნული წარკითხვაჲ, და ჯერ-არს, რაჲთა ქართულად წერილსა აღმოიკითხვიდნენ და გულისხმაჰყოფდნენ აღწერილსა განსაზღვრებულსა ამას შინა ტიპიკონსა (ტიპიკ. 35,3).

ტიპიკონი ითვალისწინებს მონასტრული ცხოვრების ყველა მხარეს. ამიტომაც მისი შესწავლა მეტად საინტერესოა, როგორც სასულიერო პირთათვის, ასევე მეცნიერთათვის.

პეტრიწონის მონასტრის წმიდათაწმიდათაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1311 წლით დათარიღებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ქართული წარწერით. ჩვენი ერი დიდად აფასებს ამ ხატს და მიაჩნია იგი არა მარტო ამ სავანის მწედ და მცველად, არამედ საქართველოს მფარველადაც. მონასტრის უძველესი სიწმიდეა ასევე ჯვარი, რომელიც მთავარი ტაძრის ერთ-ერთ გუმბათს აგვირგვინებს. მასზე ძველქართული წარწერაა: „ძლევაჲ იესო ქრისტესი“.

სხვა ქართული მონასტრების მსგავსად, ბაჩკოვოს მონასტერიც წარმოადგენდა, როგორც ლოცვისა და სულიერი მოღვაწეობის, ისე კულ-

ტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ცენტრს. აქ იწერებოდა და ითარგმნებოდა საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური ლიტერატურა. იგი იქცა იმ ბრწყინვალე ადგილად, რომელმაც დააკავშირა და გაამდიდრა ქართული და ბულგარული კულტურა. აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ქართველი დიდი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც გარკვეული პერიოდი იმოღვაწა პეტრიწონის მონასტერში და ღრმა კვალი დატოვა ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში. მას ეკუთვნის შესანიშნავი გამოთქმა: „თვინიერ მიზეზთა ცნობისა, უქმ არს შემეცნება და ცოდნა“.

ვითვალისწინებდით რა ყველა ამ ისტორიულ მემკვიდრეობას, იმ დიდ გავლენას, რაც ამ სავანემ მოახდინა ჩვენი ერის ისტორიასა და სულიერ სახეზე, სიხარულით მივიღეთ მისი უწმიდესობის, ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს შეტყობინება, რომ ბულგარეთის ეკლესია იზეიმებდა ბაჩკოვოს მონასტრის სახელოვან 900 წლისთავს. საქართველოს ეკლესია, ქართველი მეცნიერები, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ერი საქართველოში, ფართოდ აღნიშნავს ამ დიად თარიღს.

თქვენო უწმიდესობავ, მონასტრის მკვიდრნო, ჩვენი ხალხისა და ეკლესიის სახელით გულითადად გილოცავთ ამ ღირსსახსოვარ დღეს და გამოვთქვამთ იმედს, რომ ეს მონასტერი კვლავაც იქნება მტკიცედ დამაკავშირებელი რგოლი ჩვენს ხალხებსა, მათ კულტურასა და ეკლესიებს შორის. 900 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით და ამ სავანისადმი განსაკუთრებული სიყვარულის ნიშნად საჩუქრად გადმოგცემთ ქართველი ოსტატების მიერ ხეზე შესრულებულ მაცხოვრის სახეს.

აღვავლენ ლოცვებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი, რომ მან დაიფაროს ეს წმიდა ადგილი, რომ მშვიდობითა და კეთილდღეობით დაიცვას ჩვენი ღვთისმოსავი ხალხები, ჩვენი წმიდა ეკლესიები.



პეტრიწონის ქართველთა მონასტერი ბულგარეთში

ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI საქართველოში



2—25 აგვისტოს (15 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე) საქართველოს ეკლესიაში, მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა მისი უნეტარესობა — ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI.

მის უნეტარესობას აეროპორტში შეხვდნენ და დიდი სიყვარულით მიესალმნენ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტი კონსტანტინე, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ეპისკოპოსები: ქრისტეფორე, ვახტანგი, სამღვდელოება, მთავრობის წარმომადგენლები და მორწმუნეები.

როგორც სამღვდელოებამ, ისე მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა კომიტეტის მუშაკებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა მის უნეტარესობას ნიკოლოზ VI-ს არ ეგრძნო მთავარი მასპინძლის, საქართველოს ეკლესიის მეთაურის თბილისში არყოფნა.

მეორე დღეს, 3 (16) აგვისტოს, ვანკუვერიდან, სადაც მიმდინარეობდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს VI ასამბლეა, დაბრუნდა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. უნეტარესი პატრიარქი ნიკოლოზი თავად შეეგება საქართველოს პატრიარქს აეროდრომზე. უაღრესად ლამაზი და სასიამოვნო იყო მათი შეხვედრა. ეს იყო იმ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის, დიდი მეგობრობისა და სითბოს გამოვლინება, რაც მათ შორის დამყარდა ალექსანდრიის პატრიარქის წინარე ვიზიტის დროს; ეს იყო გამოვლინება იმ დიდი დაფასებისა და ავტორიტეტისა, რითაც სარგებლობს მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II საზღვარგარეთის ეკლესიებში. მათი მღელვარება ყველა იქ მყოფთ გადაეცა. მისმა უნეტარესობამ ალექსანდრიის პატრიარქმა ნიკოლოზ VI ასე მიმართა საქართველოს პატრიარქს: „მაპატიეთ, რომ არ დაველოდე თქვენს დაბრუნებას და დაგასწარით თბილისში ჩამოსვლა, მაგრამ თბილისი, საქართველო და ქართველი ერი ისეთივე ნოსტალგიას იწვევს ჩემში, როგორც ბავშვობის უსაყვარლესი ადგილები და მეგობრები. მიხმობენ საქართველოს სიწმიდენი და მეც მოუთმენლად მოვილტვი მათ მოსანახულებლად და თაყვანსაცემად. ვნატრობ ყველა თავისუფალი დრო საქართველოში, თქვენს გვერდით გავატარო“.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II ყველაფერი გააკეთა, რათა სტუმარს კვლავინდებურად კარგად ეგრძნო თავი საქართველოში. ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპმა და პატრიარქმა მოინახულა მისთვის ნაცნობი ადგილები: დიდუბის, ქვაშვეთის, მამა დავითის, წმიდა ბარბარეს, წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესიები. კვლავ ეწვია მცხეთას, კვლავ მოიყარა მუხლი სვეტიცხოველსა და ჯვრის მონასტერში.

5 (18) აგვისტო, ფერისცვალების წინა დღე.

საღამოს — ლოცვა სიონის ტაძარში...

მწუხრი და ცისკარი შესრულდა ორი პატრიარქის — უწმიდესისა და უნეტარესის ილია II და უნეტარეს ნიკოლოზ VI ურთიერთთანამწირველობით.

6 (19) აგვისტო — ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

სიონის ტაძარში სწირავენ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და უნეტარესი ნიკოლოზ VI — პაპი და პატრიარქი დიდისა ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა, მღვდელმთავრები და სამღვდელონი.

ქართული და ალექსანდრიის ეკლესიების მწყემსმთავრებმა წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები, ქადაგებანი. შეავედრეს ადამის მოდგმა ღმერთს, ილოცეს მათი სულიერი ფერისცვალებისათვის.

მისმა უწმიდესობამ მრევლს წარუდგინა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი. აღნიშნა ის დიდი ღვაწლი და მეცადინეობა, რაც მას მიუძღვის საქართველოსა და ალექსანდრიის ეკლესიების დაახლოების, ქვეყნად რწმენისა და სიყვარულის განმტკიცების საქმეში.

მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI მოწვევისათვის დიდი მადლობა გადაუხადა მის უნეტარესობას ილია II, ხალხს კი დიდი სითბოსათვის. მან აღნიშნა ის ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი, რაც პატრიარქ ილიას მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეაქვს. მოიგონა მისი არაერთი გამოსვლა საზღვარგარეთის ცენტრებში. პატრიარქმა ნიკოლოზმა არა მარტო სასურველად, არამედ აუცილებელ სა-

ჭიროებად მიიჩნია ილია II ვიზიტი ალექსანდრიაში. „ამით კიდევ უფრო დაახლოვდება ეს ძმური ეკლესიები, კიდევ უფრო შეიყვარებენ ალექსანდრიის ეკლესიის მორწმუნენი საქართველოს და ქართველ ერს“.

ის, რაც უფლის ფერისცვალების დღესასწაულზე სიონის ტაძარში უძველესი ეკლესიების მეთაურების მიერ ითქვა, განსაკუთრებული მადლისა და სულიერი ძალის მომცველია. და ეს სულიერი ძალა ამ დიდ დღესასწაულზე, ქართულ მიწაზე გარდამოიფრქვა, როგორც განახლების და ნუგეშინისმომნიჭებელი სიტყვა უფლისა.

ნიკოლოზ VI სიტყვებმა უფრო ის დიდი უნუგეშობა გვამცნო, რაც დღეს დაუფლებია მსოფლიოს, რაც დღევანდელ ადამიანს დასდებია მოუთმენელ ტვირთად — ტვირთად მარტოობისა, „მიგდებულობისა“, რამეთუ ვერანაირი საქმიანობა და კეთილდღეობა ვერ ანიჭებს დღეს ადამიანს ბედნიერებას, სასოებას.

ილია II-ის სიტყვებმა უფრო ის ნუგეში გვაუწყა, რაც შეუძლია ისევ მოიღოს დღევანდელმა ადამიანმა, ფერი იცვალოს უფლის მსგავსად და უფლის შეწევნით დაიბრუნოს რწმენა, სიყვარული, სასოება...

7 (20) აგვისტოს მისი უნეტარესობა ნიკოლოზ VI მიტროპოლიტ დავითის მიწვევით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში გაემგზავრა. მისმა უნეტარესობამ მოილოცა აფხაზეთის წმიდა ადგილები, დაათვალიერა ღირსშესანიშნაობანი. ჩაატარა წირვა სოხუმის საკათედრო ტაძარში. ამაღელვებელი იყო მისი შეხვედრა აფხაზეთში მცხოვრებ ბერძნებთან. სოხუმი ისევ დიდი სიყვარულითა და სითბოთი მიეგება პატრიარქს. (იგი ამ ათიოდე წლის წინ ბრძანდებოდა პირველად სოხუმში, როცა აწინდელი საქართველოს პატრიარქი ილია II ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი გახლდათ). ერთი კვირის შემდეგ კვლავ დაბრუნდა პატრიარქი ნიკოლოზი თბილისში.

15 (28) აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე პატრიარქებმა ისევ ჩაატარეს საზეიმო წირვა სიონის საკათედრო ტაძარში. ღვთისმშობელ დედას შეავედრეს მისი წილხვედრი ქვეყანა და ქართველი ერი.

„თქვენ უბედნიერესი და უძლეველი ხართ, — თქვა თავის ქადაგებაში პატრიარქმა ნიკოლოზმა, — თქვენ გმფარველობთ და გიცავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. თქვენზე განსაკუთრებული მადლია გადმოსული და გაუფრთხილდით ამ მადლს. ილოცეთ არა მხოლოდ სიტყვით და ბაგით, არამედ მხურვალე გულით, მთელი სულით და შეავედრეთ ღვთისმშობელ დედას არა მარტო თქვენი ერი და სამშობლო, არამედ მთელი კაცობრიობა. არ ნახონ თქვენმა შვილებმა ისეთი საზარელი რამ, რასაც ჰქვია ომი და შიმშილი. თქვენს ლოცვებს შეისმენს დედა ღვთისმშობელი. ერისა და ეკლესიის შემდეგ, უპირველესად შეავედრეთ მას თქვენი პატრიარქი, რათა მისი წინამძღოლობით იაროთ სიმართლისა და მშვიდობის გზით, რათა მშვიდობა ნახონ თქვენმა სულებმა იმ ქვეყნადაც. პატრიარქი ღვთის რჩეულია, მაგრამ მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ღვთის წინაშე. გვირგვინი მისი ეკლესიაა. მის ომოფორს ათასობით სულების სიმძიმე აწევს მხრებზე. თუ ყოველ თქვენგანს მხოლოდ თქვენი ცოდვა-მადლი მოგეკითხებათ ერთ დღეს, პატრიარქი პასუხს აგებს ყოველი თქვენგანის მაგივრადაც; ილოცეთ მისთვის, მხარში ამოუდექით მას, აამაღლეთ იგი, ემხნევეთ მარჯვენას მისას და სამოსს მისას, რათა გადმოვიდეს თქვენზე თქვენს შვილებზე და ოჯახებზე მადლი ღვთისა და ღვთისმშობლისა; მადლს პატრიარქისას შეუძლია არა მხოლოდ თქვენი ხსნა, არამედ მრავალთა. გაუფრთხილდით მას! ეს არის ჩემი ანდერძი და სათხოვარი ქართველი მორწმუნე ერისადმი“.

20 აგვისტო (2 სექტემბერი). მოლოცვა კახეთისა — ასე შეიძლება დაერქვას ამ განსაკუთრებული მადლისა და სიწმიდის შემცველი მხარის საპატიო სტუმართან ერთად მოხილვას. ბოდბის ეპარქიაში გამგზავრებულნი მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და პაპი და პატრიარქი დიდისა ქალაქისა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა ნიკოლოზ VI გზად პატარძეულთან შეჩერდნენ. აქ მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI შინმოუსვლელ ქართველთა სულების საოხად ბერძნულ ენაზე წაიკითხა მცირე პანაშვიდი.

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე წმ. ნინოს ტაძართან დახვდა საპატიო სტუმრებს. მისმა უწმიდესობამ ძვირფასი ალექსანდრიელი სტუმრის ჯანმრთელობისათვის წმ. ნინოს ეკლესიაში შეასრულა პარაკლისი.

24 აგვისტოს (6 სექტემბერს), მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II დიდი ვახშამი გამართა სტუმრის პატივსაცემად. სიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად პატრიარქმა ნიკოლოზმა მისი უწმიდესობა ილია II ოქროს ჯვრით დააჯილდოვა.

25 აგვისტოს (7 სექტემბერს), დილით, მისი უნეტარესობა ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ VI მოსკოვს გაემგზავრა. „მე მესმის, რაოდენ საყვარელი და სასურველიც არ უნდა იყოს სტუმარი, მაინც ძნელია, დამღლელია სამი კვირის განმავლობაში მისი მასპინძლობა; მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, ახლავე გადაწყვეტილი მაქვს, კიდევ შეგაწუხოთ და კვლავ ჩამოვიდე საქართველოში. ამას სიყვარული მალაპარაკებს. ჩვენი ურთიერთმიმოსვლა განამტკიცებს ძეგობრობას და ურთიერთპატივისცემას ჩვენს ხალხებს შორის. კიდევ უფრო დააახლოებს ჩვენს ეკლესიებს, — ეს აუცილებელია — თქვა გამგზავრების დღეს მისმა უნეტარესობამ ნიკოლოზ VI.

თ. ვეესი

მისი ღვთაებრივი უნეტარესობის ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის გატონ ნიკოლოზის ვიზიტი საქართველოში*

ალექსანდრიის პატრიარქი პირველად გრძანდებოდა ოფიციალური ვიზიტით იბერიის მართლმადიდებელ ეკლესიაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი უძველესი ეკლესიის ურთიერთობა მუდამ ძმური იყო.

მისმა ღვთაებრივმა უნეტარესობამ ალექსანდრიის პატრიარქმა მოისურვა თავისი ვიზიტით განეახლებინა და უფრო გაემყარებინა მომავალში ორი მოძმე ეკლესიის ურთიერთობა.

პატრიარქ ნიკოლოზის ეს ვიზიტი არ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც ეტიკეტის დაცვა. ეს იყო ქრისტესმიერ ძმათა მისწრაფება ურთიერთ შესახვედრად; ეს იყო მეგობრული გრძნობისა და სიყვარულის გამომჟღავნება იბერიის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ; ეს იყო მართლმადიდებლობის ცოცხალი თანაზიარება. სწორედ ასე უნდა შეფასდეს მისი უნეტარესობის მიერ წარმოთქმული სიტყვები თბილისში ჩამოსვლისას:

„ძალზე აღელვებული ვარ. პირველად ვადგამ ფეხს საქართველოს მშვენიერ მიწაზე საყვარელი ძმის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ბატონ ილიას მოსანახულებლად. ჩვენ ქრისტესმიერი ძმები ვართ და მართლმადიდებელი სარწმუნოების დამცველნი, რომელიც გვიანდერძეს მამებმა. ეს სარწმუნოება და ტრადიცია უნდა დავიცვათ ხელშეუხებლად და შეუბღალავად. ვისურვებ, რომ ჩემმა ამ ვიზიტმა წვლილი შეიტანოს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში ჩვენს ორ სამოციქულო ეკლესიას შორის, მთელი მართლმადიდებლობისა და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ“.

დღეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური არის კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად იბერიისა ბატონი ილია. პატრიარქი ილია არის ახალგაზრდა ასაკის, სულ რაღაც 49 წლისა. ადამიანი უსიმპატიურესი და უთავმდაბლესი. მუშაობს თავდაუზოგავად თავისი ეკლესიის ასაღორძინებლად. ეს დიდად ბრწყინვალე პიროვნება კარგადაა ცნობილი საზღვარგარეთ. იგი აქტიურად მონაწილეობს კონფერენციებში და არის წევრი მრავალი საბჭოსი. საზღვარგარეთ, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, დიდ პატივს ცემენ მას ეკლესიის მორწმუნენი და ამ ეკლესიათა მეთაურები. დიდია მისი საეკლესიო და საზოგადოებრივი საქმიანობა.

დღეს საქართველოს ეკლესიას აქვს 15 ეპარქია და თითქმის ყველა ეპისკოპოსი ახალგაზრდაა. ისინი ნაყოფიერად იღვწიან მშობლიური ეკლესიის საკეთილდღეოდ და ღვთის სადიდებლად.

თბილისში გამგზავრება და შეხვედრა

მისი ღვთაებრივი უნეტარესობა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქი ბატონი ნიკოლოზი მოსკოვიდან, სადაც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა რუსეთის ეკლესიაში, 1981 წლის 20 ივლისს, ორშაბათს, თავის თანმხლებ პირებთან ერთად გაემგზავრა თბილისში. თბილისის აეროდრომზე, წმიდა სინოდის წევრებთან ერთად, მას დიდი სიყვარულითა და სითბოთი შეხვდა მისი უნეტარესობა, კათოლიკოს-პატრიარქი, სრულიად იბერიისა ბატონი ილია. უფლის ორი მოციქულის შეხვედრას მოაგონებდა მწახველს ეს შეხვედრა.

მის უნეტარესობას შეხვდა, აგრეთვე, მთავრობის წარმომადგენელი, სამღვდელოება, მორწმუნენი, რომლებიც სიყვარულითა და პატივისცემით მიესალმნენ მას, ეამბორნენ ხელზე.

მეგობრული მისალმების შემდეგ ორი პატრიარქი და მათი თანმხლები პირები გაემგზავრნენ სასტუმრო „ივერიისაკენ“.

ვიზიტები ტაძრებში და ექსკურსიები პატრიარქის პატივსაცემად

პატრიარქის თბილისში ყოფნის განმავლობაში არ დამშრალან სულიერი მღელვარებანი. დიდი იყო პატრიარქ ილიას სიყვარული და მღვდელმთავართა ყურადღება. რწმენამ და პატივისცემამ ღვთის ხალხისა ღრმად აგვაღელვა. ცოცხლობს უფალი ღმერთი საქართველოში და ეკლესია მისი ხალხს სიწმიდისა და სიმართლისაკენ მიუძღვის.

---

* ალექსანდრიის საპატრიარქოს ოფიციალური ბიულეტენი „პანტენოს“, 1982 წ. № 1—3; 4—6. ალექსანდრია.

მისმა უნეტარესობამ და მისმა თანმხლებმა პირებმა პატრიარქ ილიას, მიტროპოლიტ ნიკოლოზისა და მთავარეპისკოპოს დავითის, კიდევ სხვა მღვდელმთავართა და მღვდელთა თანხლებით მოინახულეს ქალაქის უძველესი ტაძრები, ჭარხნები, მუზეუმები, ჯვრის წმიდა მონასტერი მცხეთაში და შიომღვიმეში წმიდა შიოს მონასტერი (V საუკუნის დასასრულისა და VI საუკუნის დასაწყისის) და კიდევ სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები თბილისში და თბილისს გარეთ.

მისი უნეტარესობა ყველგან მიღებული იყო მორწმუნეთა მიერ უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით. უნეტარესი ნიკოლოზი ნამდვილი მამობრივი მღელვარებით მიმართავდა მორწმუნეებს, რომლებიც დიდი პატივისცემით მოისწრაფოდნენ მისი ხელის ხაამბორებლად და მისგან ლოცვაკურთხევის მისაღებად.

შემდეგ უნეტარესი ნიკოლოზი და მისი ამალა დაესწრნენ მხატვრულ წარმოდგენას, რომელიც მათ პატივსაცემად გამართა ანსამბლმა „რუსთავმა“.

ვიზიტი მთავრობის რწმუნებულთან

ხუთშაბათს, 23 ივლისს, პაპი და პატრიარქი ჩვენი — ბატონი ნიკოლოზი და მისი თანმხლები პირნი, მისი უნეტარესობის, ბატონ ილიასა და სხვა მღვდელმთავართა თანხლებით ვიზიტად იყვნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებულთან, რომელიც მის უნეტარესობას დიდი პატივით შეხვდა. პატრიარქმა გამოთქვა მადლიერება და მღელვარება გულუხვი მასპინძლობის გამო და უსურვა მათ მშვიდობა და წარმატებები ქვეყნისა და ხალხის სამსახურში.

შემდეგ მისი უნეტარესობა შეხვდა მეცნიერებს, მშვიდობის დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებსა და საქართველოს რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეებს. განწყობილება იყო ძალზე თბილი, საკითხები საჭირბოროტო.

საპატრიარქოში

შაბათს, 25 ივლისს, შუადღის 12 საათისათვის მისი უნეტარესობა თავისი თანმხლები პირებით, მიტროპოლიტ ნიკოლოზისა და მთავარეპისკოპოს დავითის თანხლებით, ეახლა საპატრიარქო რეზიდენციაში მის უნეტარესობას სრულიად იბერიის კათოლიკოს-პატრიარქს. საპატრიარქოს შესასვლელში, მღვდელმთავართა და მღვდელთა თანხლებით უნეტარესი ილია დიდი სიყვარულით შეხვდა პატრიარქს.

მისი ღვთაებრივი უნეტარესობის საპატრიარქოში ყოფნის განმავლობაში წარმოითქვა გულითადი მისალმებანი. პატრიარქმა გამოთქვეს სიხარული ამ შეხვედრის გამო და განაცხადეს, რომ იზრუნებენ შემდგომი თანამშრომლობისათვის ორ ძმურ ეკლესიას შორის მართლმადიდებლობის საიდიდებლად და ღვთის ხალხის საცხოვნებლად.

შემდეგ უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა ბატონმა ილიამ მისი უნეტარესობის, პატრიარქ ნიკოლოზის თანხმობით დააჯილდოვა აქსომის მიტროპოლიტი პეტრე წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენით, ხოლო მისი ყოვლადუსამღვდელოესობა დოდონის ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი და ბაბილონის ეპისკოპოსი იოაკიმე წმ. გიორგის II ხარისხის ორდენებით.

უნეტარესმა პატრიარქმა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკისა, ბატონმა ნიკოლოზმა, დააჯილდოვა მიტროპოლიტები: ბატონი ნიკოლოზი, ბატონი გრიგოლი, ბატონი ზენობი და მთავარეპისკოპოსი ბატონი დავითი წმიდა და დიდებული მოციქულისა და მახარებლის მარკოზის I ხარისხის ორდენით, ხოლო დანარჩენი ეპისკოპოსები — II ხარისხის ორდენით, სამღვდელოების წარმომადგენლები კი — III ხარისხის ორდენით. ბოლოს ნიშნად სიყვარულისა, პატრიარქებმა საჩუქრები მიართვეს ერთმანეთს.

ამავე საღამოს, 6 საათზე, უნეტარესმა პაპმა და პატრიარქმა მონაწილეობა მიიღო მწუხრისა და ცისკრის ლოცვაში, ადგილობრივი ეკლესიის ტიპიკონის მიხედვით. ლოცვა ჩატარდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში (სიონი). ტაძარი გაიჭედა მორწმუნეებით, რომლებიც დიდი რწმენითა და სიყვარულით მოვიდნენ ალექსანდრიის პატრიარქის სანახავად და მისგან ლოცვაკურთხევის მისაღებად.

საპატრიარქო საღმრთო ლიტურგია

მეორე დღეს, 26 ივლისს, კვირას, ორი მამამთავარი დიდი ამალით მცხეთას გაემგზავრა. საქართველოს ძველ დედაქალაქში, საკათედრო ტაძარში, სვეტიცხოველში (წმიდა მოციქულთა ტაძარია) ჩატარდა სადღესასწაულო—საპატრიარქო საღვთო წირვა ალექსანდრიის უნეტარესი პატრიარქის ბატონ ნიკოლოზისა და საქართველოს უნეტარესი პატრიარქის ბატონ ილიას თანამწირველობით. მათ გვერდით უდგნენ მიტროპოლიტები: აქსომისა — ბატონი პეტრე, სოხუმისა — ბატონი ნიკოლოზი, თეთრი წყაროსი — ბატონი ზენობი, ალავერდისა— ბატონი გრიგოლი. ყოვლადუსამღვდელოესნი მთავარეპისკოპოსნი: ბათუმისა — ბატონი დავითი, ჭყონდიდისა — ბატონი იოანე; ეპისკოპოსნი: დოდონისა — ბატონი ქრიზოსტომოსი, ნიკოპოლისა — ბატონი ქრიზოსტომოსი, ბაბილონისა — ბატონი იოაკიმე, ბოდბისა — ბატონი ათანასე, მანგლისისა — ბატონი თადეოზი და მრავალი მღვდელი და დიაკონი.

საღვთო წირვა ჩატარდა დიდებულად. მორწმუნე ხალხის სიმრავლემ, განურჩევლად მათი ასაკისა, აავსო უბრწყინვალესი ტაძარი სვეტიცხოველი.

საღვთო წირვის დასასრულს საქართველოს უნეტარესმა კათოლიკოს-პატრიარქმა ბატონმა ილიამ, გრძნობებით აღვსილმა მიმართა პატრიარქ ნიკოლოზს და ნიშნად სიყვარულისა, პატივისცემისა და საეკლესიო ღვაწლის დაფასებისა, დააჯილდოვა მისი უნეტარესობა მოციქულთასწორ წმიდა ნინოს I ხარისხის ორდენით.

პასუხად მისმა უნეტარესობამ პაპმა და პატრიარქმა, ბატონმა ნიკოლოზმა თქვა:

„უწმიდესო და უნეტარესო კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოსა, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო და თანამწირველო, ბატონო ილია!

ამ კურთხეულ წუთებში, როდესაც თანახმად თქვენი ძმური მოწვევისა, საქართველოს წმიდა ეკლესიაში ვიმყოფებით, მაგონდება ლოცვა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ზეციური მამის მიმართ! „მამაო მოჰხედე ამათ სახელისა შენისათვის, რათა იყუნენ ერთ, ვითარცა ჩვენ ერთ ვართ“ (იოანე 17, 11).

მორწმუნე ადამიანთა ერთობა სურს უფალს. მწამს, რომ ამ წუთებში ვასრულებთ სურვილს მაცხოვრისა ჩვენისა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი, ორი უძველესი და სამოციქულო ეკლესიის მამამთავრების შეხვედრის წუთები; ეს არის წუთები, რომელიც ხაზს უსვამს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობას, მის ეკუმენურობასა და ერთობას ღმერთთან. მოციქულ პავლეს მიხედვით ღმერთმა, მონის სახის მიღებით, თავი გაწირა, რათა ეხსნა ცოდვით დაცემული ადამიანი, დაებრუნებინა იგი თავდაპირველ მდგომარეობასა და ურთიერთობაში ზეციურ მამასთან.

თუ ეს „თავგანწირვა“ მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სიყვარულის გამო მოხდა, რამეთუ „ესრეთ შეიყვარა უფალმან კაცნი, ვითარმედ ძეი თვისი მხოლოდშობილი მოსცა მას“ (იოანე, 3, 16), რამდენად უფრო მეტად უნდა ვაფასებდეთ ღვთისა და ადამიანის ამ ერთობას ჩვენ, ადამიანები.

ერთიანობა ეკლესიებისა და ადამიანებისა იქმნება ქრისტესთან დაახლოებისა და მისდამი სიყვარულში. იგი ცილდება ეროვნულ და ენობრივ საზღვრებს და გამოიხატება შეხვედრებითა და ხალხების ურთიერთგაგებით. ეს ძმური შეთანხმება ადამიანს უბიძგებს, იბრძოლოს მშვიდობისათვის, სამართლიანობისათვის, ჭეშმარიტებისათვის, რაც თავად ღმერთია.

მოციქულმა პავლემ გამოსთქვა ეს ჭეშმარიტება სიტყვებით, რომ ჩვენ, ადამიანები, ვარსებობთ და ვმოძრაობთ ღმერთში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მივწვდებით ამ ჭეშმარიტებას, შეგვეძლება შევიცნოთ სიდიდემლო ღვთის განკაცებისა და ადამიანის ერთობისა ქრისტესთან.

ქრისტეს ეკლესია დარაზმულია და ცხოვრობს ამ ჭეშმარიტებით და იღვწის ადამიანთა დაახლოებისა და დამეგობრებისათვის, ლოცულობს მშვიდობისა და ღვთის სათნოებისათვის ქვეყანასა ზედა. დღეს, ამ დაძაბულ დროში, ეკლესია ახორციელებს თავის მისიას. მიუხედავად პოლიტიკური და

ეკონომიური რეორგანიზაციისა, მიუძღვის ღვთის ხალხს ღმერთთან შერიგებისა და ერთობისაკენ. ეს დინება არის ნება ღვთისა, „წარვედით და ჰქადაგებდით სახარებასა სუფევისა ღვთისასა“ (მარკ. 16, 15), ბრძანა უფალმა ჩვენმა.

ჩვენ, ეკლესიის მამამთავარნი და მეთაურნი ამა ქვეყნისანი, დღეს მოხმობილნი ვართ, რათა ვიკისროთ პასუხისმგებლობა მთელი სამყაროს წინაშე და საერთოდ, ღვთის შვილების წინაშე; ჩვენი მოვალეობის მთელი შეგნებით წინ წარვუძღვეთ მეოცე საუკუნის გაწამებულ და ტკივილებით სავსე ადამიანს; ჩვენი ცხოვრების დღეები სავსეა ტრაგიზმით. ტკივილი, ცრემლი და სისხლი უხვად ედინება ქვეყანასა ზედა. ადამიანები, გნებავთ, ღვთის მორწმუნენი, გნებავთ, ურწმუნონი, იმყოფებიან კრიტიკულ წუთებში. არავის ძალუძს კატასტროფული ძალის შეჩერება. ამ კატასტროფისა და უბედურების წინაშე დგვაყენა სულის უარყოფამ. ფაქტია კონფლიქტი ადამიანისა საკუთარ თავთან და ღმერთთან. რა დაეხმარება ადამიანს, რომ შეიცნოს თავი თვისი, მოყვასი თვისი და უფალი? მხოლოდ და მხოლოდ ეკლესია იესო ქრისტესი იხსნის სამყაროს.

უნეტარესო, ღვთის ნებით, ჩვენ ქრისტესმიერი ძმები ვართ. განგებამ ღვთისამ დაგვაკისრა საქართველოსა და ალექსანდრიის წმიდა ეკლესიების მამამთავრობა; ვართ წევრები ერთი წმიდა და განუყოფელი მართლმადიდებელი ეკლესიისა; ამ რწმენით ვხედავით ერთმანეთს მაზიარებელ ბარძიმთან წმიდა ტრაპეზისა. ვალად გვდევს, ერთად ვიღაწოთ, დავიცვათ მართლმადიდებლობის ერთობა და შევარიგოთ ადამიანები. აი, ჩვენი მისია, აი, ჩვენი უმთავრესი საქმე.

მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ყველა ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, მეორე მსოფლიო კრების 1600 წლისთავის საზეიმო აღნიშვნა, უფრო მეტად უსვამს ხაზს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობასა და მის მისიას თანამედროვე მსოფლიოში.

ჩვენს ეპოქას შეიძლება ვუწოდოთ დიალოგების ეპოქა. თათბირობენ სახელმწიფოები, ეროვნებები, ცდილობენ მშვიდობიანად გადაწყვიტონ უთანხმოებანი, რათა მშვიდობიანად და შეთანხმებულად იცხოვროს ხალხმა, ქრისტეს ეკლესიაც მიმართავს დიალოგებს. მიმდინარეობს დიალოგები პროტესტანტებთან, ანგლიკანურ ეკლესიასთან, ანტიქალკედონისტებთან; ბოლოს, წმიდა კუნძულ პატმოსზე და შემდგომ როდოსზეც დაიწყო დიალოგი რომის კათოლიკურ ეკლესიასთან.

ვითხოვთ ქრისტეს ეკლესიების ერთიანობას; იმასვე, რასაც ითხოვს თვით შემქმნელი ეკლესიისა, რამეთუ „ყოველნი ერთ ვიყოთ“.

ამ დიალოგებში მონაწილეობას ღებულობს ჩვენი ორი სამოციქულო საპატრიარქოც — საქართველოსი და ალექსანდრიისა. ჩვენი თანამონაწილეობა არის ერთგვარი წვლილი ჩვენი წმიდა ეკლესიების გაერთიანებაში. გავაკეთებთ ყველაფერს, რათა აღსრულდეს ნება ქრისტესი, ჩვენ არ შევურიგდებით მართლმადიდებელი ეკლესიის დოგმათა უარყოფას. უცვლელად და შეუბღალავად შევინარჩუნებთ სარწმუნოებას. არ შეგვფერის ჩვენ, მართლმადიდებლებს, დავივიწყოთ „ნაღვაწი“, რომელიც მივიღეთ ჩვენი დიდი მამებისა და შვიდი წმიდა საეკლესიო კრებისაგან. დავრჩებით ურყევნი იმის მიმართ, რაც მოძღვრებმა დაადგინეს, რამეთუ „ეს არის რწმენა მოციქულთა, ეს არის რწმენა მამათა, ეს არის რწმენა მართლმადიდებელთა, ამ რწმენამ სამყარო განამტკიცა“. მოვუწოდებთ ყველა ეკლესიას, რომლებთანაც ვატარებთ დიალოგებს, გამოამჟღავნონ სიყვარულისა და ურთიერთგაგების სული, რათა აღსრულდეს ნება ღვთისა, „რამეთუ ყოველნი ერთ ვიყოთ“.

უნეტარესო,

გულითადად გმადლობთ მოწვევისათვის, რათა მოგვენახულებინა თქვენი ეკლესია. ისტორიული და მოწამებრივი ეკლესიაა იგი. მიწა ამ ქვეყნისა განათლებული და განბანილია წმიდანებისა და მოწამეების სისხლით. მადლობა ზეციურ მამას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელმაც ღირს მყო, ჩამოვსულიყავი ამ კურთხეულ მიწაზე და მუხლი მომეყარა მისი წმიდა სალოცავებისათვის. კურთხეულ იყოს სახელი უფლისა.

გადმოგცემთ კურთხევას წმიდისა და დიდებულისა მოციქულისა მარკოზისა, რომელმაც დააარსა ალექსანდრიის მოწამებრივი ეკლესია. სიყვარულით მივესალმები ყოვლადუსამღვდელოეს მღვდელმთავრებს და წმიდა სამღვდელოებას. მამობრივად ვლოცავ ღირსეულ ღვთის შვილებს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სამწყსოს.

„მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისაჲ და მამისაჲ და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქვენ ყოველთა თანა“ (2 კორ., 13, 13).

დასასრულს, მისმა უნეტარესობამ პატრიარქმა ჩვენმა ბატონმა ნიკოლოზმა დაჯილდოვა საქართველოს უნეტარესი პატრიარქი, ბატონი ილია წმიდა მოციქულისა და მახარებლის მარკოზის I ხარისხის ორდენით.

ოფიციალური ვახშამი

იმავე დღეს, საღამოს, უნეტარესმა პატრიარქმა, ბატონმა ილიამ მოაწყო ოფიციალური ვახშამი მისი უნეტარესობის, პატრიარქ ნიკოლოზისა და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად დიდ რესტორან „არაგვში“. გარდა ორი პატრიარქისა იყვნენ, მღვდელმთავრები, მთავრობის წარმომადგენელი ბატონი ილია რურუა, სამღვდელოება, სომხური ეკლესიის წარმომადგენელი, მეცნიერები, ხელოვნების, ლიტერატურის, ასევე, საზოგადო მოღვაწენი. ვახშმის დროს ითქვა მეგობრული სადღეგრძელოები პატრიარქების, ასევე მთავრობის წარმომადგენლის მიერ და სხვა.

ორშაბათს, 27 ივლისს, მისი ღვთაებრივი უნეტარესობა პაპი და პატრიარქი, ჩვენი, ბატონი ნიკოლოზი თავისი თანმხლები პირებით, უნეტარესი პატრიარქის ილიასა და მღვდელმთავართა თანხლებით დასასვენებლად გაემგზავრა საკურორტო ქალაქ ბორჯომში. სამშაბათს, 28 ივლისს მოინახულა ღვთისმშობლის მიძინების წმ. მონასტერი (XIII ს-ისა). ოთხშაბათს, დაბრუნდა თბილისში.

განშორება

30 ივლისს, დილის 8 საათზე მისი ღვთაებრივი უნეტარესობა, პაპი და პატრიარქი ჩვენი, ბატონი ნიკოლოზი თავის ამალასთან ერთად ოდესისაკენ გაემართა თვითმფრინავით. დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გაცილეს მისმა უნეტარესობამ, პატრიარქმა ილიამ და მღვდელმთავრებმა, სამღვდელოებამ, ოფიციალურმა პირებმა.

თვითმფრინავში ვსხედვართ. ზეციდან დაეყურებთ საქართველოს მშვენიერ მიწას, კავკასიონს, რომელიც მთელი თავისი დიდებულებით, ამ მიწის მორწმუნე ხალხის ვაჟკაცური და მდიდარი სულის სიმბოლოს წარმოადგენს. ვფიქრობ... კვლავ თვალწინ მიდგანან ისინი, ვისაც ესაა გამოვემშვიდობეთ. შემიყვარდნენ კეთილი და ბრძენი პატრიარქი საქართველოჲსა, მღვდელმთავრები, სამღვდელოება, ღვთის ხალხი. ვფიქრობ და ვლოცულობ: „უფალო, უფალო, მომაქციენ ჩუენ, გარდამოიხილე ზეცით და იხილე და მოხედე ვენაჯსა ამასა; და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯუენემან შენმან“ (ფსალ., 79, 15—16).

ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა, ბატონმა ნიკოლოზმა მიიწვია უნეტარესი პატრიარქი საქართველოჲსა, ბატონი ილია ალექსანდრიის საპატრიარქოს მოსანახულებლად. მოწვევა სიამოვნებით იქნა მიღებული.

ნიკოპოლის ეპისკოპოსი
ქრიზოსტომოსი

ბერძნულიდან თარგმნა
თ. მესხმა

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ფილიპ პოტერი, უწმიდესი ილია II და კანადის მთავარეპისკოპოსი ედვარდ სკოტი

უწმიდესი ილია II და კენტერბერიის ტაძრის (ინგლისი) წინამძღვარი ვიქტორ დე ვალე სიონის საპატრიარქო ტაძარში

კიპროსის მიტროპოლიტი ბარნაბა (საბერძნეთი) და მისი თანმხლები პირნი საქართველოში

კონსტანტინეპოლისა და რუსეთის ეკლესიების წარმომადგენლები საქართველოს საპატრიარქოში კინორეუოსორ გურამ პატარაიას თანხლებით

სტუმრები საზღვარგარეთიდან



* * *

30 აპრილი (13 მაისი).

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიიღო სტუმრები ამერიკის შეერთებული შტატებიდან — მშვიდობისათვის მოღვაწე ორი ბაპტისტი. ამერიკელ ბაპტისტებს აინტერესებდათ მისი უწმიდესობის აზრი მშვიდობის საკითხზე. ბოლოს, მისი უწმიდესობა მათ ამერიკის შეერთებულ შტატებში მიიწვიეს, რადგანაც ყოველივე ის, რაც მან აქ თქვა, საჭიროა ითქვას, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. მისი უწმიდესობის სიტყვა დაახლოებით ამგვარი შინაარსისა იყო:

„თქვენ ემსახურებით დიდ საქმეს, რომელიც მთელ კაცობრიობას აწუხებს. მე ვფიქრობ, დადგა ისეთი კრიტიკული დრო, როდესაც ეკლესიის მოღვაწეებმა გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან. ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია ასეთი მძლავრი მოძრაობა მშვიდობის დაცვისა, როდესაც ვლაპარაკობთ ბირთვული იარაღის საშიშროებაზე, რაკეტების შემცირებაზე და ა. შ. არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენი აზროვნება ომის შესახებ. იგი ჩამორჩება იმ წარმატებებს, რომელიც დღეს კაცობრიობას გააჩნია თუნდაც იარაღის წარმოებაში. ეკლესიების რელიგიურმა მოღვაწეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ შეიცვალოს ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე. ერთადერთი გამოსავალი მშვიდობიანი მოლაპარაკებაა.

მე დარწმუნებული ვარ, დედამიწაზე ყველას უნდა მშვიდობა. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ არ მოხდეს ომის საშინელება. მსოფლიოში უნდა გაძლიერდეს რწმენა და სიყვარული, ნამდვილი ქრისტიანული სიყვარული, რომელსაც საზღვრები არ გააჩნია. ამ უსაზღვროებას გულისხმობს იოანე ღვთისმეტყველი თავის სიტყვებში: „ღმერთი სიყვარული არს“... მე ვფიქრობ, რომ ამერიკელები და ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ერთ რამეში უნდა ვეჯიბრებოდეთ — ქრისტიანულ ცხოვრებაში“.

ამერიკელი სტუმრების საპასუხო სიტყვა დაახლოებით ასეთი იყო:

„რა თქმა უნდა, ჩვენ საშიშ დროს ვცხოვრობთ, მაგრამ საშიშროებას ყოველთვის ახალი გამოცდილება მოაქვს. გამოცდილებიდან ვხედავთ, რომ შიში გვაიძულებს, მივმართოთ ძალას. შიში, რომელიც არ ვიცით რა შიშია... ამერიკაში ჩვენ გვირჩევდნენ არ წამოვსულიყავით, მაგრამ აქ გავიგეთ, რომ სიყვარული უფრო დიდი ძალაა, ვიდრე ძალადობა“.

* * *

15 (28) აგვისტო.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II მიიღო სტუმარი ამერიკის შეერთებული შტატებიდან და ესაუბრა მას. საუბარს ესწრებოდა მთავარეპისკოპოსი თადეოზი.

პრესპოტერიანული ეკლესიის წინამძღვარი კარლ გორდონ ჰოვი სასიამოვნო სტუმარი აღმოჩნდა. მას შთამბეჭდაობა და გულთბილობა არ აკლდა.

დიალოგი, რომელიც მის უწმიდესობასა და წინამძღვარ კარლ გორდონ ჰოვს შორის გაიმართა, დაახლოებით ასეთი იყო:

ბ-ნი კ. გ. ჰოვი — მე ამერიკელი ქრისტიანების ჯგუფთან ერთად ჩამოვედი. მაინტერესებს ქართული, აგრეთვე, რუსული ეკლესიის ცხოვრება, დიდად მადლობელი ვარ, რომ მომიღეთ.

მისი უწმიდესობა — საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესია. **საქართველოში მრავალი ეროვნება ცხოვრობს და** მათთან კეთილი ურთიერთობა **ჩვენი** ეკლესიის ტრადიციაა.

მე ორჯერ ვარ ნამყოფი **შეერთებულ** შტატებში. ასე რომ, ცოტათი **ვიცნობ ამ**ერიკელებს, ვიცნობ, როგორც რელიგიურ ხალხს; მიწვეული ვიყავით ეკლესიათა ეროვნული საბჭოს მიერ. შესაძლებელია, მომავალ წელს ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას ვეწვიო...

კ. გ. ჰოვი — გეპატიჟებით მიჩიგანის შტატში!

მისი უწმიდესობა — სიამოვნებით! ჩვენი ეკლესია მოხარულია ამ კონტაქტებისა. ეკლესიებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რათა გაანეიტრალონ ის დაძაბულობა, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებს შორისაა. ჩვენი სახელმწიფოები ძირითადად ქრისტიანულია. ამიტომაც ურთიერთობა ჩვენს შორის სიყვარულის პრინციპზე უნდა აიგოს; ქართული ეკლესია ცდილობს ყველაფერი გააკეთოს მშვიდობისათვის...

კ. გ. ჰოვი — მაქვს ორი შეკითხვა: პირველი ეხება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. **რას აკეთებს ეკლესია, როგორია მისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან და რაიმე აღორძინებას თუ აქვს ადგილი მის ცხოვრებაში?**

მისი უწმიდესობა — ეკლესია კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფოსაგან გამოყოფილია, მაგრამ არის მრავალი ისეთი საკითხი, თანამონაწილეობით რომ უნდა იქნეს გადაწყვეტილი; ამიტომ არსებობს **რელიგიის საქმეთა საბჭო.**

კ. გ. ჰოვი — მე რამდენჯერმე ვიმოგზაურე საბჭოთა კავშირში, ვნახე მორწმუნეები ლენინგრადში, მოსკოვში, უკრაინაში, სომხეთში და რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება გამიჩნდა, თითქოს ეკლესია არაფერს არ აკეთებს საიმისოდ, **ხალხი** რომ მოიზიდოს. თვითონ ხალხშია მისწრაფება. მე ვიგრძენი, რომ ეკლესიისადმი შინაგანი რწმენა განსაკუთრებით ძლიერია.

მისი უწმიდესობა — ამ პროცესში თავად უზენაესია ჩარეული. მე ხშირად არც შემიძლია ავხსნა რა ხდება.

კ. გ. ჰოვი — მე თვითონაც მიგრძვნია მისტიკური ძალა რწმენისა, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენზე. ახლა ასეთი შეკითხვა: რანაირია თქვენი დამოკიდებულება მშვიდობისადმი? მე შევხვდები პრეზიდენტ როლანდ რეიგანს და მეკნება საუბარი ამის თაობაზედ.

მისი უწმიდესობა — პრობლემები, რომელნიც დგას სახელმწიფოთა წინაშე, მშვიდობიანი მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს. მშვიდობას შეიარაღებით ვერ მივაღწევთ. ვფიქრობ, დამთავრდა დრო, როდესაც მართლდებოდა თეორია: თუ გინდა მშვიდობა, შეიარაღდი! წარმოუდგენელია იმ შედეგების გააზრება, რომელიც შეიძლება ომს მოჰყვეს. ამიტომ მე გთხოვთ, პრეზი-

დენტს გადასცეთ, რომ ერთადერთი გზა მშვიდობიანი მოლაპარაკებაა. გამონახვა უნდა ახალ გზებს...

სულაც არა მგონია, თითქოს მშვიდობა მარტო ჩვენ გვინდა. ნეტარი ავგუსტინე ამბობს: მშვიდობა ყველას უნდა, მაგრამ იგი ყველას თავისებურად ესმის... ჩვენი მიზანია, ერთი გაგება გვქონდეს ამ საკითხში. გადაეცით პრეზიდენტს, რომ ჩვენ ვლოცულობთ მშვიდობისათვის. ჩვენს ერსა და ქვეყანას სურს მშვიდობა, ჩვენ გვინდა ყველასთან მეგობრული თანამშრომლობა ვიქონიოთ...

შემდეგ საუბარი მართლმადიდებლური და სხვა ეკლესიების ტრადიციებს შეეხო.

მ ი ს ი უ წ მ ი დ ე ს ო ბ ა — მართლმადიდებლობაზე ამბობენ, იგი თითქოს ტრადიციული და გაყინულია. არაა მართალი. უბრალოდ, ჩვენ გვიყვარს ტრადიციები და ახლასაც ვდებულობთ, ვსწავლობთ. მე დიდი ინტერესით ვეცნობი პროტესტანტული, ანგლიკანური ეკლესიების ტრადიციებს. მათ ხალხთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვთ. ჩვენ დოგმები გვაძლევს იმას, რომ არ ხდება ახალი დაყოფა, შენარჩუნებულია ერთიანობა.

კ. გ. ჰ ო ვ ი — მე ვფიქრობ, მართლმადიდებლური ლიტურგია არ საჭიროებს ახსნას, იგი მეტ გაგებას საჭიროებს.

მ ი ს ი უ წ მ ი დ ე ს ო ბ ა — ჯერ წმიდა მამები რომ შეისწავლონ, ამას ათეული წლები სჭირდება. ძალიან ხშირად, ჩვენც, თავად მართლმადიდებელნი არ ვიცნობთ საკუთარ სიღრმეს...

კ. გ. ჰ ო ვ ი — რეფორმატორული ეკლესიის პრინციპი კი ასეთია: იგი მუდამ რეფორმაში უნდა იყოს.

მ ი ს ი უ წ მ ი დ ე ს ო ბ ა — ალბათ ყველა ეკლესია ყოველთვის ორ ნაწილს შეიცავს. ცვალებადს და უცვლელს. თვით პროტესტანტულშიც რაღაც ნაწილი ტრადიციებისა, რომელიც უცვლელია, უკვე არსებობს.

ჩვენმა ეკლესიამ ბოლო 10—15 წლის მანძილზე წარმავალი პერიოდი განიცადა. ახლა ახალგაზრდობის ინტერესი გაზრდილია... ჩვენთანაც და თქვენთანაც ეკლესიამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს ხალხის აზრის განვითარებაში. ხალხთან ურთიერთობა სხვადასხვა დონეზე უნდა მიმდინარეობდეს. და არა მარტო წირვა-ლოცვის საშუალებით...

* * *

12 (25) სექტემბერი.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II მიიღო დასავლეთგერმანელი ხუთი სტუმარი, მოძღვარ ვერნერ ჰაფერბერკის ხელმძღვანელობით.

საუბრის დროს ვერნერ ჰაფერბერკმა წამოჭრა მარქსიზმისა და რელიგიის შერიგების იდეა. მას, როგორც ეკლესიის ინსტიტუტის თანამშრომელს, აინტერესებდა ეკოლოგიური პრობლემებიც. „ევროპაში ნადგურდება ტყეები. ქვეყნიერება ომის საშიშროების წინაშე დგას. ამიტომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა პოლიტიკის ხელმძღვანელებთან საერთო ენა გამოვნახოთო“ სთქვა მან.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი მართლაც ფრიად მნიშვნელოვანია. მე ჯერ კიდევ პატრიარქის ტახტზე აღსვლამდე — აღნიშნა მან — ვმოღვაწეობდი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს დეპარტამენტში „ეკლესია და საზოგადოება“, რომელიც ძალიან ხშირად განიხილავს ეკოლოგიურ, გენეტიკურ და სხვა საკითხებს. ჩვენ არაერთხელ მოგვისმენია მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტებისათვის იმის შესახებ, რა მოხდება, თუ ადამიანსა და ბუნებას შორის ამგვარი დამოკიდებულება გაგრძელდა. ღვთისაგან ბუნებას ბოძებული აქვს დიდი მადლი. სიახლოვე ბუნებასა და ადამიანს შორის აუცილებელია.

თქვენი მოსაზრება, რომ მოხერხდეს დიალოგი ათეისტებსა და მორწმუნეებს შორის, ვფიქრობთ, სასურველია. მე მექმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ კაცობრიობა ჩავარდნილია სასოწარკვეთილებაში. იგი იმ მდგომარეობამდეა მისული, საიდანაც გამოსვლა უკვე ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი.

გერმანელი სტუმრები მყის დაეთანხმნენ ამ აზრს. მათ აღნიშნეს, რომ სასოწარკვეთილებაში დასავლეთის ქვეყნებში უფრო მეტად ახალგაზრდობაა.

— ეს სავსებით გასაგებია, რადგან ახალგაზრდობა, შეიძლება ითქვას, ბარომეტრია, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მდგომარეობა სხვადასხვა საკითხებისა: მატერიალური, სულიერი და ასე შემდეგ... — შენიშნა მისმა უწმიდესობამ.

მან აღნიშნა: ჩვენი, ქრისტიანების მისიაა გამოვიყვანოთ ხალხი ამ მდგომარეობიდან... არსებობს სხვადასხვა იდეოლოგიები, მაგრამ მთავარია, რომ ამ იდეოლოგიების წარმომადგენლებმა მოლაპარაკებით გამონახონ საერთო ენა.

სტუმართაგან ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელიც თურმე სკოლამდელ ბავშვებს ასწავლის, სინანულით აღნიშნა, რომ შიში ატომური იარაღით მსოფლიოს მოსპობისა, ბავშვებსაც აღარ ასვენებთ.

შემდეგ საუბარი შეეხო თეოსოფიის საკითხებს... ასევე, სხვადასხვა რელიგიების დაახლოების შესაძლებლობებს. გერმანელებმა აღნიშნეს, რომ ბოლო წლებში დაწყებულია ცდები, შედგეს დიალოგი ისლამის წარმომადგენლებთან.

— საქართველო თითქოს კუნძულია, რომელსაც გარშემო მუსულმანური სამყარო არტყია. საქართველოს მუდამ ბრძოლა ჰქონდა. იგი თავს იცავდა. ჩვენ გვყავს მტერთაგან წამებული ასიათასობით მოწამე. მარტო ერთი შემოსევის დროს ჯალალედინმა თბილისში 100 000 კაცი აწამა. ასე რომ, ჩვენ მათ უფრო მეტად ვიცნობთ, ვიდრე თქვენ... და მაინც, მიეესალმებით ამ დიალოგის დაწყებას. ამას უსათუოდ დადებითი შედეგი მოჰყვებაო — ბრძანა უწმიდესმა ილია II.

სტუმრები დაინტერესდნენ, საქართველოში არსებობს თუ არა ისეთი დიდი რელიგიური მიმდინარეობა, როგორიცაა ანთროპოსოფია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველებასთან დაახლოებასო, — აღნიშნეს მათ.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II უპასუხა, რომ ბუნება უდიდესი წიგნია და თუ ჩვენ სწორად ვისწავლით მის კითხვას— ბიბლია და ბუნება შეავსებენ ერთმანეთს.

გერმანელმა სტუმრებმა სურვილი გამოთქვეს სტუდენტების გაცვლისა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მომავალში.

* * *

21 სექტემბერი (4 ოქტომბერი).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II მიიღო კენტერბერიის ტაძრის წინამძღვარი ვიქტორ დე ვალე.

— დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ კიდევ ერთხელ შეგხვდით. იმედს გამოვთქვამთ, ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება და ეს ურთიერთობა იქნება საქმიანი, ნაყოფიერი — ასე დაიწყო საუბარი ბრიტანელ სტუმართან მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ... მან თქვა:

— ჩვენს ეკლესიას, ისევე როგორც თქვენსას, გააჩნია უმდიდრესი ტრადიციები. უნდა ვეცადოთ, ეს ტრადიციები გავაცნოთ ერთმანეთს; მე ვფიქრობ, უკვე დამთავრდა ის პერიოდი, როდესაც სხვადასხვა ეკლესიებს შორის ანტაგონიზმი არსებობდა, დღეს გადასაწყვეტია მთელი რიგი გლობალური პრობლემები და ამიტომაც ერთად დგომა გვმართებს. ჩვენ ვფიქრობთ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ანგლიკანურ და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის არ-

სებულ დიალოგს. მაგრამ ჩვენ, როდესაც მონაწილეობას ვიღებთ დიალოგში, ძირითადად ერთმანეთს ვუსაბუთებთ ჩვენ — ჩვენს სიმართლეს და ურთიერთდაახლოებისათვის კი ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა.

მეორე ძალიან დიდი საყოველთაო საკითხი, მშვიდობის საკითხია. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ კაცობრიობა დღეს დგას უფსკრულის წინაშე და ჩვენ, ქრისტიანები ვეძებთ აქედან გზას, გამოსავალს, დარწმუნებულნი ვართ რა იმაში, რომ იგი უსათუოდ არსებობს. ჩვენ ერთადერთი კანონი გვაქვს — სიყვარული და უნდა გვახსოვდეს, რომ სიცოცხლე არის ღვთითმნიჭებული დიდი განძი. ადამიანს არა აქვს უფლება წაართვას იგი სხვას. ჩვენმა ეკლესიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ არ დაიწყოს ომი. დარწმუნებული ვარ, ღმერთი არ დაუშვებს სიცოცხლის მოსპობას. ჩვენ კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ დიდ კმაყოფილებას თქვენი ჩამობრძანებით და ძმური სიყვარულით მივესალმებით თქვენს მთავარეპისკოპოსს".

ვ ი ქ ტ ო რ დ ე ვ ა ლ ე:

— მოგესალმებით ქრისტესმიერი სიყვარულით, ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს ეკლესიის საქმიანობას. ამ ბოლო წლებში ქართული ეკლესია ფართოდ გავიდა მსოფლიო არენაზე. ნება მიბოძეთ გადმოგცეთ საუკეთესო სურვილები ჩვენი მთავარეპისკოპოსისაგან, ჩვენი ეკლესიისაგან, საერთოდ ჩვენი ხალხისაგან.

ანგლიკანურმა ეკლესიამ ურთიერთობა დაამყარა აღმოსავლეთის ეკლესიებთან და ვფიქრობთ, ეს ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდება... მე სიამოვნებით გადავცემ ჩვენი ეკლესიის ხელმძღვანელობას თქვენს სურვილს, რომ ჩვენს შორის უფრო გაღრმავდეს ურთიერთობა. ვფიქრობ, ამით კიდევ უფრო გავამდიდრებთ მრწამსს ქრისტეს მიმართ. ნება მიბოძეთ, დაგარწმუნოთ ჩემს საუკეთესო სურვილებში თქვენდამი, თქვენი ეკლესიისადმი და ყოველთვის, თუ კი საჭირო იქნება ჩვენი დახმარება, სიამოვნებით და უანგაროდ გამოგიწვდით ხელს, მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ პირადად თქვენ გულთბილი შეხვედრისა და ყურადღებისათვის.

ი ლ ი ა II:

— ჩვენ დიდი ბრიტანეთის ევანგელისტურმა საზოგადოებამ გამოგვიგზავნა ქაღალდი, რომელზედაც დაიბეჭდება ახალი აღთქმა. გთხოვთ, როდესაც დაბრუნდებით ინგლისში, ჩემი სახელით კიდევ ერთხელ გადაუხადოთ მათ მადლობა. ასევე, არ შემიძლია მადლობა არ მოგახსენოთ იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელიც თქვენმა ეკლესიამ გამოიჩინა ჩვენი ეკლესიის წარგზავნილის — მიტროპოლიტ კონსტანტინეს მიმართ.

მისმა უწმიდესობამ სტუმარს გადასცა წმიდა გიორგის ხატი — ჭედური ნამუშევარი, რომელზეც ამოკვეთილია 1500 წლისთავი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა; აგრეთვე სხვა საჩუქრები.

სტუმარმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ხატი საქართველოდან მათთვის უდიდესი საჩუქარია... მან მისი უწმიდესობა და უნეტარესობა მიიწვია ინგლისში.

ᲘᲚᲘᲐᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲛᲘᲓᲐ

ᲡᲐᲐᲦᲓᲒᲝᲛᲝ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ

ᲣᲬᲛᲘᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ, ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ

ᲘᲚᲘᲐ II

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲘᲜᲝᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ — ᲧᲝᲕᲚᲐᲓᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲑᲡ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲡ, ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲦᲕᲗᲘᲕᲙᲣᲠᲗᲮᲔᲣᲚ ᲡᲣᲚᲘᲔᲠ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ, ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗ

„ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲐ ᲔᲡᲔ ᲓᲘᲓ ᲐᲠᲡ; ᲮᲝᲚᲝ ᲛᲔ ᲕᲘᲢᲧᲕ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡᲗᲕᲡ ᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ“ (ᲔᲤᲔᲡᲔᲚᲗᲐ 5,32)

ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲓ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲐᲦᲓᲒᲝᲛᲝ ᲖᲐᲠᲔᲑᲘ... ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲓᲘᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ — ᲫᲚᲔᲕᲐᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡᲐᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲖᲔ, ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐᲡ.

ᲐᲛ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲡ ᲒᲐᲣᲬᲧᲔᲑᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲪ ᲦᲕᲗᲘᲕᲒᲐᲜᲑᲠᲫᲜᲝᲑᲘᲚᲝ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲛᲗᲐᲕᲐᲠᲜᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲜᲝ, ᲓᲘᲐᲙᲝᲜᲜᲝ, ᲑᲔᲠ-ᲛᲝᲜᲝᲖᲝᲜᲜᲝ, ᲛᲝᲜᲝᲖᲝᲜᲜᲝ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲝ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲜᲝ ᲨᲕᲘᲚᲜᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡᲐ:

ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲐᲦᲡᲓᲒᲐ!

ᲔᲡ ᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲕᲧᲐᲕᲠᲗ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲨᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲦᲠᲛᲐ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲔᲪᲐ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲚᲡᲐᲪᲮᲔᲑᲚᲔ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ. ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲔᲭᲕᲡᲐᲪ ᲓᲐᲔᲡᲐᲓᲒᲣᲠᲐ: ᲘᲧᲝ ᲙᲘ ᲘᲔᲡᲝ ᲘᲡ ᲛᲔᲡᲘᲐ, ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲔᲚᲝᲓᲐ ᲢᲐᲜᲯᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ; ᲓᲐ ᲗᲣ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐ ᲨᲔᲡᲫᲚᲔᲡ ᲯᲕᲐᲠᲡ ᲔᲪᲕᲐᲗ ᲘᲒᲘ?

ᲒᲐᲜᲕᲚᲝ ᲨᲐᲑᲐᲗᲛᲐ... ᲘᲬᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ. ᲦᲠᲛᲐ ᲫᲘᲚᲘᲗ ᲫᲘᲜᲐᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ; ᲛᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲚᲡᲐᲪᲮᲔᲑᲚᲔ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ ᲤᲮᲘᲖᲚᲝᲑᲔᲜ, ᲒᲚᲝᲕᲝᲑᲔᲜ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲡ. ᲘᲜᲐᲗᲐ �თᲣ ᲐᲠᲐ, ᲛᲔᲜᲔᲚᲡᲐᲪᲮᲔᲑᲚᲔᲗ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲡ ᲛᲘᲐᲨᲣᲠᲔᲡ; ᲡᲘᲩᲣᲛᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲮᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲓᲐ. ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲘᲒᲠᲫᲜᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ, ᲒᲐᲛᲝᲔᲪᲮᲐᲓᲐᲗ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲡᲘ, ᲡᲐᲮᲔ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲔᲚᲕᲐᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲢᲐᲙᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲗᲝᲕᲚᲘ; „ᲜᲣ ᲒᲔᲨᲘᲜᲘᲜ, — ᲗᲥᲕᲐ ᲛᲐᲜ, — ᲕᲘᲪᲘ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲘᲔᲡᲝᲡ ᲜᲐᲖᲐᲠᲔᲕᲔᲚᲡᲐ ᲯᲣᲐᲠ-ᲪᲛᲣᲚᲡᲐ ᲔᲫᲘᲔᲑᲗ. ᲐᲠᲐ ᲐᲠᲡ ᲐᲥᲐ, ᲠᲐᲛᲔᲗᲣ ᲐᲦᲓᲒᲐ...“ (ᲛᲐᲗᲔ 28, 3, 5—6).

ᲒᲝᲚᲒᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲐ...

ᲔᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲓᲐᲔᲢᲐᲜᲐᲗ ᲬᲛ. ᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲚᲡᲐᲪᲮᲔᲑᲚᲔ ᲓᲔᲓᲐᲗ. ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲒᲐᲣᲫᲚᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐᲡ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ...

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲔᲠᲘᲡᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲓᲔᲚᲘᲗᲐᲐ ᲡᲐᲕᲡᲔ. ᲣᲤᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲡᲐᲭᲘᲠᲘ, ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲐᲗᲐᲡᲒᲕᲐᲠ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲐᲜ ᲑᲝᲚᲝᲡᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ ᲨᲔᲘᲪᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲗᲕᲘᲡᲘ. ᲒᲐᲜᲒᲘᲪᲓᲘᲐ ᲨᲔᲜ ᲔᲡᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ? — ᲔᲡ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲐ, — ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲐ, ᲐᲜ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲝ; ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲒᲖᲐ

არ არსებობს. როდესაც განცხრომით ცხოვრობ, გავიწყდება ყველაფერი: თვით შენი უკვდავი სულიც; გავიწყდება, რომ მდგმური ხარ წუთისოფლისა და ზესთასოფელს დაემკვიდრები. როდესაც არ იცი, რა არის გაჭირვება, ფიქრობ, რომ ბედნიერი ცხოვრება შენით მოიპოვე და ეს მუდამ ასე იქნება; ამ დროს მოდის შენთან უფალი და ცდილობს, გაგაღვიძოს, გაგათავისუფლოს ბურანისაგან. საწოლ ოთახში განგაცალკევებს, ავადმყოფის სარეცელს დაგიგებს... რატომ, თუ იცი? შენთან საუბარი სურს, სურს უწამლოს იმ სენს, შენს სატკივარზე უფრო საშიში რომაა, სურს მიეახლოს შენს სულს, რათა განკურნოს იგი. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდები, რომ მთელი გავლილი ცხოვრება შეცდომებითაა სავსე; და თუ, ღვთის მადლით, ამას შეიგნებ, უკვე სწორ გზაზე დგახარ.

ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს, რამდენი წლისა ხარ? ეს ულმობელი კითხვა თითოეული ჩვენთაგანის წინაშე დგას. სულ ცოტა ხნის წინ ბავშვი იყავი და თანატოლებთან თამაშობდი, ახლა კი ოცი წლისას ცხოვრების გზა გაქვს ასარჩევი. ყრმობის ასაკმა ადრეული გაზაფხულივით სწრაფად გაიფრინა. თუ უკვე ორმოცისა ხარ, მაშ შენი მზე დასავლეთისკენ მიდრეკილა; ამის დამადასტურებელია ჭაღარა, თოვლივით ნელ-ნელა რომ ფარავს შენს თავს; რამდენი წლისა ხარ? თუ სამოცს გადასცდი და მალე სამოცდაათისაც გახდები, გახსოვდეს, მარადიულობის კარიბჭესთან დგახარ. „დღენი წელიწადთა ჩუენთანი მათ თანა სამეოცდაათ წელ, ხოლო უკუეთუ ძლიერებასა შინა, ოთხმეოც წელ...“ (ფს. 89, 10) — ამბობს დავით წინასწარმეტყველი.

გზა შენი მომქანცველი, ურვითა და ჭმუნვით სავსე იყო. ამქვეყნიური ქოხი გენგრევა და იცი, ვერაფრით უშველი. დათვლილია წლები, იქნებ თვეებიც... ამ დროს მაინც უნდა ჰკითხო საკუთარ თავს: ვარ კი მზად, წარვსდგე წინაშე უფლისა, აღვასრულე მე ჩემი ვალი?

ცხოვრება მგზავრობაა, მიახლოებაა მარადიულობასთან. ჩვენ კი ძალიან ცოტას ვფიქრობთ ამაზე.

როგორია ღვთის კანონი, როგორ მიჰყავს შემოქმედს ადამიანი თავისკენ? თავდაპირველად ქვევით, შემდეგ კი ზევით, ჯვარცმიდან აღდგომისა და ამაღლებისაკენ, ბნელიდან ნათლისაკენ. ხშირად ვერ ვხსნით, რატომაა აუცილებელი ჩვენთვის მძიმე განსაცდელი, ხშირად ვერ ვუგებთ, არ გვესმის უფლისა; მხოლოდ მაშინ, როდესაც მიზანს მივაღწევთ, მივხვდებით, რომ განვლილი სიმწარე და შეჭირვება საჭირო იყო, აუცილებელი იყო სულის წრთობისათვის.

როგორც მთელი კაცობრიობის, ისე საქართველოს ისტორიაში წარმართობა ხანგრძლივი

და მძიმე პერიოდია, ქრისტიანული დილის წინარე ბნელი ღამეა.

„ტკბილ არს ნათელი, — ამბობს ეკლესიასტე, — კეთილ თუალთა ხედვად მზისა“ (ეკლესიასტე 11,7).

ხალხი ესწრაფვოდა სინათლეს, ეძიებდა ნათელს, ელტვოდა სიმართლეს, ჭეშმარიტებას, სიკეთეს, მაგრამ ვერ გებულობდა საით გაეგნო გზა.

გზა ჭეშმარიტი, გზა ცხოველი თავად მოაბიჯებდა კაცობრიობისაკენ. და დადგა ჟამი აღმოსვლისა მზისა ქრისტიანეთასა.

ქრისტეს ნათელმა განაბრწყინვა მსოფლიო; იგი გვაცისკროვნებს ჩვენც; თუმცა გამოცდა კვლავაც გრძელდება.

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა“ (პირველშეწირულის ლიტურღია).

ეს სიტყვები მრავალ კითხვას აღგვიძრავენ: რას წარმოადგენს ქრისტეს ნათელი და სად ვეძიოთ იგი? თუ თავადი იგი განანათლებს ყოველთა, მაშინ რატომღა არიან წარწყმედულნი, მავალნი გზასა ფართოსა?

„მე ვარ ნათელი სოფლისაჲ, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისაჲ“ (იოანე, 8, 12) — ბრძანებს მაცხოვარი.

საოცარი სიტყვებია. ისინი მიუთითებენ იესო ქრისტეს მხოლოობასა და განუმეორებლობაზე; მის ძალაუფლებაზე ქვეყანასა ზედა. ამგვარად თქმა არ შეეძლო და არც შეუძლია წინასწარმეტყველს, მოციქულს, ფილოსოფოსს, მეცნიერს, არც სხვა ვინმეს კაცთაგანს; ასე მხოლოდ ღმერთკაცი ზრახავს. „ქრისტე, ნათელო ჭეშმარიტო, რომელი განანათლებ ყოველსა კაც-

სა მომავალსა სოფლად“. იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „ღმერთი ნათელ არს“ (I იოანე, 1,5).

იესო ქრისტე არა მსგავს არს ნათლისა, რომელი ჟამად არს და ჟამად განქარვდების; იგი ნათელია დაუსრულებელი, ყოვლისმპყრობელი, ყოვლისმძლეველი, ნათელი, რომელი „ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (იოანე 1,5).

ეკლესიის გარეშე მდგომთ, მათ, ვისაც ქრისტიანობა მხოლოდ თეორიულად ესმით, მაცხოვარი ზოგჯერ მორალისტად მიაჩნიათ, ადარებენ მას დიად ადამიანებს: „ბუდას, მუჰამედს, ფილოსოფოსებს და ა. შ. ნაწილი კი საერთოდ უარყოფს მის მოძღვრებას და იმის მტკიცებასაც ცდილობს, ქრისტე, როგორც პიროვნება, არ არსებობდაო.

იესო ქრისტე და მისი მოძღვრება არ საჭიროებს დაცვას; მსოფლიოს თითქმის 1000 ენასა და კილოზე თარგმნილი სახარება თვითაა საუკეთესო მოწმობა და ღაღადება ნათელზე, მსხვერპლზე გოლგოთისა — იესო ქრისტეზე, თავისი ნებით სოფლის ცოდვათა მტვირთველზე.

კრავი უფლისა ჯვარს აცვეს, ის კი მაინც ცოცხალია; მას უარყოფენ, ის კი კვლავ ჩვენთანაა; ჭიშკარს უკეტავენ, ის დგას და ირეკს კარზე შენი გულისა, იცდის, როდის შეუშვებ.

ერთნი მაცხოვრის მოწოდებისთანავე აღებენ კარებს, მეორენი მხოლოდ მას შემდეგ, როცა მიწიერი ფუფუნება აზრს დაკარგავს მათთვის, როცა ბრძენთაბრძენ სოლომონივით დარწმუნდებიან, რომ ყოველივე ამსოფლიური „ამაოა და სულსა შეაჭირვებს“. სხვანი ოდენ სასიკვდილო სარეცელზე მარადიულობის კარიბჭესთან მდგარნი უხსნიან გულს უფალს. მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე ელოდებოდა მაცხოვარი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს აღებენ კარებს, კაკუნის გაგონებაზე კიდევ უფრო იკეტებიან და ცდილობენ დაირწმუნონ თავი, რომ მათ არ უხმობენ. ისინი ისე განლევენ საწუთროს, მარადიულ ნათელს ვერ დაინახავენ, ვერ განიცდიან სიხარულს ჭეშმარიტს; მიემგზავრებიან „საუფლოსა ბნელეთისასა... სადა არა არს ნათელი, არცა ხედვად ცხოვრებისა კაცთასა“ (იობი, 10, 22).

ვის მიმართავს უფალი? ყოველდღიური საქმიანობით დაღლილ, დღევანდელი დღის საზრუნავით მცხოვრებ, ჩვეულებრივ ადამიანებს: გლეხებსა და მუშებს, მწერლებსა და მეცნიერებს, ფილოსოფოსებს, სახელმწიფო მოღვაწეთ, ბავშვებსა და მოზრდილებს,... პირადი, საოჯახო ამ საზოგადოებრივი ინტერესებით მოცულ ხალხს; უზრუნველთა და დამწუხრებულთ, უნუგეშოთა და შეჭირვებულთ, მდიდართა და ღატაკთ, ჩვენ—ჩვენი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით. ნათელი ქრისტესი სულიერი ძალაა, საფუძველია ქვეყნიერებისა. თუ მზის სინათლის გარეშე სიცოცხლე შეწყვეტდა არსებობას, თვინიერ ღვთაებრივი ენერგიისა სიცოცხლე საერთოდ არ წარმოიშობოდა. მიზიდულობისა თუ სხვა კანონები, რომლებიც მოქმედებენ სამყაროში, გამომსახველია უმაღლესი ჰარმონიისა, შედეგია ღვთაებრივი გონებისა და ძალისა.

ნათელი ბრწყინავდა და იბრწყინვებს ნიადაგ, განურჩევლად ჩვენი დამოკიდებულებისა მისდამი. საკითხავი ისაა, გავხდებით კი ჩვენ თანაზიარნი ამ ნათლისა, შევიცნობთ მას? შევძლებთ, გავიგოთ, რომ „... ძე ღმრთისაჲ მოვიდა და მომცა ჩუენ გონებაჲ, რაჲთა ვიცოდით ჩუენ ჭეშმარიტი ღმერთი და ვართ ჩუენ ჭეშმარიტისა თანა ძისა მისისა იესო ქრისტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი, ცხორებაჲ საუკუნოჲ“ (I იოანე, 5,20). მხოლოდ ქრისტეს ნათელს ძალუძს ფერისცვალება სამყაროსი და ჩვენი. გიხაროდეთ ყოველთა, რომელთა მოგიპოვებიეს მცირედი ნაწილიც კი ზეციური ნათლისა, რომელნიც შემოსილნი ხართ მისი შარავანდედით. ქრისტეს ნათლითმოსილი პიროვნება თითონაც ანათებს. მათ ასე მიმართავს მაცხოვარი: „თქუენ ხართ ნათელი სოფლისაჲ... ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათე, 5, 14—16). გარნა სად ვეძიოთ ნათელი ესე, რათა განვიბანოთ მის სხივებში—ცოდნაში, მეცნიერებაში, სიმდიდრესა თუ განცხრომაში? მაგრამ ყოველივე ეს ხომ არამტკიცე, წარმავალი და უიმედოა. პასუხი ერთადერთია: ქრისტეს ნათელი თვით მის სხეულშია, ღვთაებრივი ლოგოსის სხეულში — ეკლესიაში. ეს ის ეკლესიაა, რომელიც კლდესა ზედა არს დაშენებული და რომელსაც ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ სძლევენ.

მაცხოვარმა ეკლესიას მიმადლა ძალა სულისა წმიდისა. ყოველგვარი არსებობა განსაზღვრულ ფორმას მოითხოვს. ფორმა საჭიროა ქრისტიანის რელიგიური ცხოვრებისათვისაც და იგი ჰპოვებს კიდეც მას ეკლესიაში მრავალგვარი სახით გამოვლენილს. ჩვენს ტაძრებში აღესრულება საიდუმლოებანი: ნათლობისა, მირონცხებისა, აღსარებისა, ზიარებისა, ქორწინებისა, ავადმყოფზე სრულდება საიდუმლო ზეთის კურთხევისა, საიდუმლოა ასევე მღვდლობა, ანუ ხელდასხმა სამღვდელო ხარისხში. ამ შვიდი საიდუმლოს გარდა ტაძარში სრულდება სხვადასხვა ლოცვები: პარაკლისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის, პანაშვიდი და წესის აგება განსვენებულთათვის, წყლის, მარილის კურთხევა და სხვა. ყოველივე ეს იმიტომ შეგახსენეთ, რომ ქრისტიანმა გაიგოს, არ არის საკმარისი იყო მორწმუნე, აუცილებელია ეკლესიურობა, რომ ეკლესია საიმედო გემია აბობოქრებულ ზღვაში.

აი, უკვე თითქმის 2000 წელია საქართველოს ეკლესია ასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

ყველა ჩვენი სახელოვანი წინაპარი იყო და კვლავაც დარჩება წევრად ჩვენი ეკლესიისა; ეკლესია მარტო ჩვენ, მიწაზე მცხოვრებნი კი არა ვართ, ეკლესიაა, უპირველეს ყოვლისა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამი — საქართველოს დედა და დიასახლისი, მოციქულები, წინასწარმეტყველები, ჩვენი მეფეები და პატრიარქები, ყველა ადამიანი, ვინც კი რწმენითა და სიყვარულით წავიდა ამ ქვეყნიდან. ეკლესიაა ათასობით მოწამე და წმიდანი, დიდნი მოღვაწენი. ყველა ეს ჩვენთან ერთად ქმნის ერთიან ეკლესიას, რომლის თავიც ბრძანდება მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. ამ ეკლესიის დიადი მისიაა თითოეული პიროვნების განახლება, სულიერი ფერისცვალება და ამაღლება.

ტაძარი ადგილია ადამიანის ეკლესიური კურთხევისა, კარიბჭეა მარადიულობისა, სავანეა ღვთისა. აქაური მადლმოსილი გარემო აღაზევებს, აკეთილშობილებს სულს, განსწმედს და განათავისუფლებს ცოდვებისაგან.

გავიხსენოთ თუნდაც ისტორიული ფაქტი: მძიმე განსაცდელის დროს, მტერთა შემოსევების ჟამს წმ. თამარ მეფეს ბრძოლის წინ ლაშქარი ტაძარში მიჰყავდა. აქ ისინი მეფესთან ერთად ლოცულობდნენ, ამბობდნენ აღსარებას, ეზიარებოდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ ეკვეთებოდნენ მომხდურს. ბრძოლის დამთავრების მერე ჯარი კვლავ ეკლესიაში ბრუნდებოდა და აღავლენდა სამადლობელო ლოცვებს უფლისადმი.

ტაძარი ოაზისია, სადაც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალით, ღელვითა და ამაოებით დაღლილი სული შინაგან მშვიდობასა და სიწყნარეს ჰპოვებს. იმათაც კი, ვინც აქ 10—15 წუთით შემთხვევით შემოდის, რომელთაც არაფერი იციან ღვთის, მარადიული ცხოვრებისა და უკვდავი სულის შესახებ, იზიდავს უჩვეულო გარემო ღვთისმსახურებისა, მშვენიერება, საეკლესიო გალობა. ხოლო ის, ვინც დიდი რწმენითა და ღვთაებრივი სიყვარულითაა გამთბარი, შეიგრძნობს გაცილებით სიღრმისეულსა და არსებითს, ვიდრე უბრალო ესთეტიკური სიამოვნებაა. ამ სიღრმისეულსა და არსებითს განსაკუთრებით ვეზიარებით დღეს, ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე.

ჩვენი მრწამსი, ჩვენი სარწმუნოების ყველა საყრდენი დაფუძნებულია ქრისტეს აღდგომის, სიცოცხლისმიერი ძლევის ფაქტზე. „და უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო არს სარწმუნოებაჲ ეგე თქუენი“ (I კორინ. 15, 17) — წერს მოციქული პავლე. მაცხოვრის მაცხოვნებელი ტანჯვისა და სიკვდილის აზრი აღდგომამ საცნაურ ჰყო. მხოლოდ აღდგომის შემდეგ დაიწყო კაცობრიობამ ქრისტეს სხეულში — ეკლესიაში გაერთიანება. ეს მძიმე და ხანგრძლივი პროცესია და იგი დღესაც გრძელდება. ო, როგორ ნელა აღწევს ადამიანებში მთელი სამყაროსა და ცხოვრების განახლების მომწოდებელი სული სიყვარულისა და ურთიერთნდობისა.

„მშვიდობა თქვენთანა!“ — ეს იყო აღდგომილი მაცხოვრის პირველი სიტყვები. რომ შეიცნო არსი და სიღრმე ქრისტეს აღდგომისა და გახდე თანამოზიარე ამ დიადი ზეიმისა, საჭიროა ყოვლისმომცველი მშვიდობა: მშვიდობა ღმერთთან, მოყვასთან, თვით შენს თავთან. უფლის მიერ ბოძებული მშვიდობა კი არ უნდა განვაგდოთ, უნდა მივიღოთ იგი და გავხდეთ მონაწილე ამ ღვთაებრივი ნიჭის ჩვენში განხორციელებისა. რა გასაკვირია, რომ თაობათა მანძილზე მოწინავე ადამიანები უსაზღვრო ენერგიას ხარჯავდნენ, რათა მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმეში ჩაერთოთ ზნეობრივი ძალა მთელი კაცობრიობისა, მშვიდობა ყველასათვის უძვირფასესი განძია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ბოროტი ნებაც. როდესაც იგი ზეიმობს, ხალხს თავს ატყდება ომის საშინელება და ინთქმება სისხლისა და ცრემლის მორევში. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ასე აღარ იქნება მომავალში. თანამედროვე იარაღის პირობებში შეიქმნება გაცილებით უფრო საშინელი და გამოუსწორებელი მდგომარეობა. ამიტომაც თითოეულმა ადამიანმა უნდა შეიგნოს, რომ უკვე განვლილია ის პერიოდი, როცა ესა თუ ის საკითხი ძალის პოზიციიდან წყდებოდა, რომ დღეს კაცობრიობა დიდი განსაცდელის წინაშე დგას, ტყვეა ატომური ენერგიისა, რისგანაც აუცილებლად უნდა გათავისუფლდეს. და გვწამს, უფალი დაგვეხმარება.

აღდგომილი ქრისტე გვაძლევს ყოველივეს, რაც აუცილებელია ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის. უპირველესად იგი გვანიჭებს სულსა სიყვარულისასა, რათა შევუმსუბუქოთ ტვირთმძიმე და მაშვრალ კაცობრიობას გზა მომავალი „ახალთა ცათა და ახალსა, ქუეყანასა... რომელსა შინა სიმართლე დამკჳდრებულ არს“ (2 პეტრე, 3, 13).

საყვარელნო სულიერნო შვილნო ჩემნო!

გულითადად გილოცავთ ქრისტეს აღდგომას, გისურვებთ, რომ პასექის ბრწყინვალე სხივებმა შემოანათონ თითოეული თქვენგანის ბინაში, გაათბონ თქვენი სულები, დაივანონ გულში და აღავსონ იგი რწმენით, სასოებითა და სიყვარულით. სადაც ბრძანდება უფალი, მუნ სიხარული და ნათელი ჰგიეს; სადა არს სიყვარული, — მუნ ერთობა და მიტევება.

ყველას გისურვებთ მარადიულ სიხარულს.

ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!



მიბაძვა ქრისტესი

თავი III

ჭეშმარიტების მოძღვრებაზედ

ნეტავი იმას, რომელსაც თვით ჭეშმარიტებამ ასწავოს, არა გამოხატულებისა და წარმავალი სიტყვების საშუალებით, არამედ პირდაპირ თავით თვისით.

ჩვენი შეხედულება და გრძნობა ხშირად გვაცდუნებენ და მცირესა ჰხედვენ.

1. რას გამოგვადგება ჩვენ დიდის გულსმოდგინებით გამოკვლევა ღრმათა და დაფარულთა რაჲმეთა, რომელთა უცოდინარობა არ დაგვეყვედრება დღესა მას განკითხვისასა?

დიდი უგუნურებაა, როდესაც არ ვზრუნავთ საჭირო და სასარგებლო საგანთა ცოდნისათვის და გულს-ვმოდგინეობთ იმ რაიმეთათვის, რომელნიც აღძვრენ ჩვენში ამაო ცნობის მოყვარეობას და მავნებელნი არიან ჩვენთვის, თვალნი გვაქვს და ვერ ვხედავთ.

2. და რას გამოგვადგება ჩვენ მსჯელობა ზოგადსა და კერძოობაზედ?

რომელსაც დაუსაბამო სიტყვა ელაპარაკება, იგი თავისუფალია მრავალგვარ უსაფუძვლო აზრებისაგან.

მხოლოდ სიტყვისაგან წარმოსდგება ყოველივე და ყოველივე მას მხოლოზედ ლაპარაკობს, და ეს არის დასაბამი, რომელიც გველაპარაკება ჩვენ. (იოან. 8. 25).

უამისოდ არავის შეუძლიან გულისხმაჰყოს, ანუ სიმართლით განსაჯოს რაიმე.

ვისთვისაც ყოველივე მხოლოდია, ვინც ყოველსავე მიაწერს მხოლოდსა, და ყოველსავე ხედავს მხოლოისა მასში, მას შეუძლია მოიპოვოს სიმტკიცე გულისა, და მშვიდობით დაემკვიდროს ღვთისთანა.

ჰოი ღმერთო-ჭეშმარიტებავ! ჰყავ, რათა ვიქმნე მე შეერთებული შენთანა სამარადისო სიყვარულითა.

ხშირად ვბეზრდები ბევრის კითხვისა და სმენისაგან. შენში არის ყოველივე, რაიცა მსურს და მენატრება.

დასდუმდნენ ყოველნი მოძღვარნი და ყოველნი გაჩენილნი წინაშე შენსა; არამედ მხოლოდ შენ უბნობდე ჩემთან.

3. რავდენათაც უფრო შემოკრებილი აქვს კაცს თვისი აზრები და უზაკველია გულითა, იმდენად უფრო ადვილად შთახვდება მაღალთა რაჲმეთა, ვინაიდგან ზეციდგან მიიღებს იგი გულის-ხმიერების ნათელსა.

სული უბიწო, უზაკველი და მტკიცე არასოდეს არ გაიბნევა მრავალ საქმეებისა-გამო, ვინაჲდგან ყოველსა იქმს იგი დიდებისათვის ღვთისა, და ცდილობს გაინთავისუფლოს თვისი თავი ყოველნაირ საპირადო ძიებისაგან.

იმისთანა რა გაბრკოლებს და გაწუხებს შენ, როგორათაც დაუმორჩილებელი გულისთქმა შენი?

კეთილის-მყოფელი და ღვთის მოშიში კაცი პირველად თავის თავში განაგებს ყოველსავე მას, რისაც საქმით გაკეთება სურს. ეს საქმეები ვერ მიაქცევენ მას ბოროტ წადიერებათაკენ. არამედ იგი აწარმოებს მათ კეთილ-გონიერების თანახმად.

ვინ იბრძვის იმ კაცზედ ფიცხელად, რომელიც ცდილობს თვისი თავის ძლევასა?

პირველი ჩვენი მეცადინეობა უნდა მიქცეული იყვეს მასზედ, რათა ვსძლიოთ თავსა ჩვენსა და ყოველ დღე უმეტეს განვმტკიცდებოდეთ და წარვემატებოდეთ კეთილში.

4. ამა ქვეყნიურს ყოველნაირს სისრულეს თანა სდევს რაიმე ნაკლულევანება და თვით ნათელიც ჩვენის სიბრძნისა, ცოტად თუ ბევრად მოცულია წყვდიადითა.

სიმდაბლით ცნობა ჩვენის თავისა უფრო შეუცთომელი, ღვთისაკენ მიმავალი გზა არის, ვიდრე ღრმა ცოდნათა გამოკვლევანი.

არ არის გასაკიცხავი მეცნიერება, არცა უბრალო ცოდნა რაიმეთა; ცოდნა ვითარცა ცოდნა კეთილია და დაწესებული არის ღვთისაგან; მაგრამ მაინც უმეტეს ამისა უნდა გვერჩივნოს კეთილი სინდისი და სათნოებიანი ცხოვრება.

მაგრამ, რადგან მრავალნი უფრო ცოდნის შეძენასა ცდილობენ, ვიდრე სათნოიან ცხოვრებასა, ამის გამო ხშირად სცდებიან და არავითარი, ანუ ფრიად მცირე ნაყოფი მოაქვთ.

5. ახ! უკეთუ ეგოდენი ეშრომათ ბიწიერების ამოსაფხვრელად თავიანთ გულიდამ, და მის ნაცვლად შთაენერგათ მასში სათნოებანი, რაოდენ გულს — მოდგინეობენ საჯიბრო კამათობაში; ჭეშმარიტად, აღარ იქნებოდა ამოდენი სიბოროტე და საცთურება ხალხში, და არცაღა ეგოდენი ზნეობითი მოუძლურება მონასტრებში.

ჭეშმარიტად, განკითხვის დღეს იმას კი არავინ მოგვთხოვს, თუ რა წაგვიკითხავს; არამედ თუ რა გვიმოქმედია; არცა იმას — თუ ვითარი მჭევრმეტყველებით გვილაპარაკნია, არამედ — თუ ვითარი სიწმიდით გვიცხოვრია.

ახლა მიპასუხე: სად არიან ის მასწავლებელნი და მოძღვარნი, რომელთაც შენ იცნობდი, ვიდრე ცოცხალნი იყვნენ და მეცნიერებით ჰყვავოდნენ?

დღეს სხვებს დაუპყრიათ მათი ადგილი, მაგრამ არ ვიცი — კი ახსოვთ მათ იგინი, თუ არა.

თავიანთი სიცოცხლის დროს იგინიცა რამედ ითვლებოდნენ, მაგრამ დღეს-კი ხსენებაც აღარ არის მათი!

6. ახ, რა უეცრად ჰქრება ამა სოფლიური დიდება! ნეტავი ცხოვრება მათი შესაფერი ყოფილიყო მათის ცოდნისა! მაშინ ყოველი სწავლა და

წაკითხული ნაყოფიერი იქნებოდა მათთვის.

ვინ მოსთვლის, რავდენნი იღუპებიან ამ სოფლად ამაო მეცნიერებით, რომელიც აუძლურებს მათში სურვილს ღვთის მსახურებისას! რადგან დიდი სახელის შეძენას უფრო რჩეულობენ, ვიდრე თავმდაბლობას, ამის გამო განქარდებიან იგინი გულისთქმათა შინა თვისთა.

იგი არის ჭეშმარიტად დიდი, რომელსაც აქვს დიდი სიყვარული.

იგი არის ჭეშმარიტად დიდი, რომელიც სცნობს თვის თავსა უმცირესად და არა რად მიაჩნია დიდება და პატივი.

იგი არის ჭეშმარიტად ბრძენი, რომელიც შერაცხს ნაგვად ამ ქვეყნიურ დიდებათა, მისთვის, რათა ქრისტე შეიძინოს (ფილიპ. 3. 8).

იგი არის ჭეშმარიტად განსწავლული, რომელიც ჰყოფს ნებასა ღვთისასა და უარ ჰყოფს ნებასა თვისსა.

მასზედ, თუ ვითარის მოფიქრებით უნდა იქცეოდეს ადამიანი

არ უნდა ვერწმუნებოდეთ ყოველსავე, რასაც გავიგონებთ, ანუ რაც ფიქრად მოგვივა, არამედ ყველაფერი უნდა განვსაჯოთ სიფრთხილით და მოთმინებით ღვთის სურვილისდაგვარად.

საუბედურო, ხშირად უფრო გვეადვილდება ბოროტის რწმენა და თქმა სხვების შესახებ, ვიდრე სიკეთისა; ესრედ უძლურ ვართ ჩვენ!

არამედ ყოვლისფრით სრული ადამიანები ადვილად როდი ირწმუნებენ ყოველს გაგონილს ამბებს: ვინაიდგან იციან სისუსტე კაცისა, რომელიც მარად მიდრეკილია ბოროტებისკენ, და ადვილად შემცოდე სიტყვითა.

2. დიდი სიბრძნეა, როდესაც კაცი არ არის აჩქარებული თავის მოქმედებაში, არცა დაჟინებული თავის აზრებში.

ამგვარივე სიბრძნეა კვალად, როდესაც კაცი არ ერწმუნება ყოველს გაგონილს სიტყვებს და არცა ჩქარობს გარდასცეს სხვათა ყოველივე ეგი, რაც გაუგონია და დაუჯერებია.

ბრძენსა და კეთილ სინდისიან კაცსა რჩევა შეჰკითხე და უფრო მისდიე შენზედ უკეთესის დარიგებასა, ვიდრე საკუთარი ჭკუის ზრახვასა.

კეთილის ცხოვრებით კაცი შეიქმნება ბრძენი ღვთისდაგვარად და გამოცდილი მრავალნაირად.

რავდენათაც კაცი უფრო თავმდაბალი და მორჩილი იქნება წინაშე ღვთისა, იმდენად უფრო მეტი სიბრძნე და მშვიდობა ექმნება მას ყოველ საქმეში.

საღმრთო წერილის კითხვაზედ

საღმრთო წერილში უნდა ვეძიებდეთ ჭეშმარიტებას და არა მჭევრმეტყველებას.

ის აზრი უნდა აღმოვიკითხოთ საღმრთო წერილში, რომლითაც იგი არის დაწერილი.

უფრო სარგებლობა უნდა ვეძიოთ მასში, ვიდრე სინარნარე ლესთა. (!)

მდაბიოდ დაწერილი სასულიერო წიგნებიც იმგვარის კმაყოფილებით უნდა ამოვიკითხოთ, როგორათაც მაღალის ხელოვნებით შედგენილნი და ღრმა აზრებით სავსე თხზულებანი.

ნუ მიხედავ შენ დამწერის სახელის ღირსებას, ნურცა მის დიდსა ანუ მცირესა სწავლასა; არამედ მხოლოდ სიყვარულმან ჭეშმარიტებისამან მიგიზიდოს შენ მის საკითხავად.

ნუ ეძიებ ვისგან არის თქმული; არამედ შეისმინე რაიცა არის თქმული.

2. ადამიანებს ბოლო ელებათ, ხოლო „ჭეშმარიტებაჲ უფლისაჲ ჰგიეს უკუნისამდე" (ფსალმ. 116.2.).

მრავალ გვარად და პირ უთნეულად ლაპარაკობს ღმერთი ჩვენთან.

საღმრთო წერილის კითხვის დროს ხშირად ვნებას გვაძლევს ჩვენ ცნობის მოყვარეობა: ჩვენ გვსურს დაწვრილებით გამოვიკვლიოთ და შევიტყოთ, ის რასაც მხოლოდ თვალი უნდა გადავავლოთ.

უკეთუ გსურს ჰპოვო სარგებლობა, აღმოიკითხე სიმდაბლით, გულწრფელობით, სარწმუნოებით და ნურასოდეს ნუ ეძიებ მოიპოვო სახელი მეცნიერისა.

გამოიკითხე წმიდათა კაცთაგან გულს-მოდგინებით და ისმინე მათგან პასუხი დუმილით.

ნუ გაჰკიცხავ თქმულთა იგავთა მოხუცებულთაგან, რამეთუ იგინი უმიზეზოდ არ არიან — თქმულნი.

თომა კემპელი



გ რ ი გ ო ლ ფ ე რ ა ძ ე

დ ა ბ ა დ ე ბ ი ს 85 წ ე ლ ი

ვარშავის უნივერსიტეტის შესასვლელში ყურადღებას იქცევს მემორიალური დაფა. მასზე ამოკვეთილია უნივერსიტეტის იმ პროფესორთა გვარები, რომლებიც გერმანელ ფაშისტთა მხეცობას შეეწირნენ. ამ სიაში მეთხუთმეტეა ჩვენი თანამემამულე გრიგოლ ფერაძე.

სამწუხაროდ, მის შესახებ ფართო საზოგადოებამ დღემდე თითქმის არაფერი იცის.

გრიგოლ ფერაძემ დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, რომლის რექტორი კორნელი კეკელიძე იყო. 1921 წლის დეკემბერში ენებისა და რელიგიის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული ნიჭიერი ახალგაზრდა გერმანიაში გაემგზავრა. დაამთავრა ბონის უნივერსიტეტი.

იცოდა ქართული, რუსული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური და პოლონური ენები; თავისუფლად სარგებლობდა ძველ ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სირიულ და არაბულ ენებზე არსებული წყაროებით, მან ძველი ებრაულიდან თარგმნა „ქებათა ქება“.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გრიგოლი მღვდლად კურთხეულა, შემდეგ კი ბერად შემდგარა. ბონში, 1918 წელს ორიენტალისტთა ერთ-ერთ პაექრობაზე, თეოლოგიის ცოდნითა და მჭევრმეტყველებით მოუხიბლავს დამსწრენი. ამავე წელს მსოფლიოში სახელგანთქმული პატრიარქების თანდასწრებით, კენტენბერიის მთავარეპისკოპოსის მიერ არქიმანდრიტად ხელდებულა. ეს მთავარეპისკოპოსი, თურმე, ქართული ეკლესიის მფარველადაც ითვლებოდა.

არქიმანდრიტად ხელდების შემდეგ გრიგოლმა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა და პატროლოგიის პროფესორის წოდებაც მიიღო.

1929 წელს იგი ბერლინში დაუპატიმრებიათ. გათავისუფლების შემდეგ, ნაცისტების ბატონობის დროს, გერმანიაში აღარ დაედგომებოდა და ინგლისში გადასვლა სცადა, მაგრამ ვიზა ვერ მიიღო. ბოლოს საფრანგეთში გადასახლდა, სადაც კვლევა-ძიებასა და საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა. ზოგჯერ წირავდა და ქადაგებდა იქაურ ქართულ ეკლესიაში. 1932 წელს ქართულ სასულიერო მწერლობასა და ბიბლიის ძველ თარგმანებზე ლექციების წასაკითხად ოქსფორდში მიიწვიეს. შემდეგ პოლონეთის უნივერსიტეტში პატროლოგიის პროფესორობა შესთავაზეს და კათედრაც ჩაუბარეს.

როგორც მაშინ ევროპაში მცხოვრები ბეჟან გიორგაძე აღნიშნავს, ხსენებული მთავარეპისკოპოსის დახმარებით ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიას 1935 წლის იერიქონის (პალესტინა) მიდამოებში მკვდარი ზღვის სანაპიროზე სამონასტრო მშენებლობისათვის ერთი ჰექტარი მიწა გამოუყვეს. ამასთან დაკავშირებით, პალესტინაში ჩასულა გრიგოლ ფერაძე, მოლაპარაკებია დამასკოს, ანტიოქიისა და პალესტინის პატრიარქებს და ნაკვეთი მიუღია.

საყურადღებოა გრიგოლ ფერაძის სადოქტორო დისერტაცია. მასში გაშუქებულია მონოზნობის დასაწყისი საქართველოში, სირიელ მამათა მოღვაწეობა. უაღრესად საინტერესოდ არის გადაწყვეტილი შიო მღვიმელის, აბიბოს ნეკრესელისა და სხვათა ცხოვრების ისტორია. ცნობილ საერთაშორისო ჟურნალებში, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნდა შრომები — „ეპისტოლე წმიდისა დიონისიოსი, ბრძენ მთავრისაჲ და ათენელთა ეპისკოპოსისაჲ“, „ბესარიონ გაბაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსები“, „წმიდა გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში (ქართული წარმართობის შესახებ)“, „ძველი ქართული ლიტერატურა და მისი პრობლემა“, „ძველი ქრისტიანული ლიტერატურა ქართულ თარგმანებში“, „ბიბლიის ქართული თარგმანის საკითხისათვის“, „ძველი საეკლესიო მწერლობის პრობლემები“, „ბიზანტიამდელი ქართული ლიტერატურის საკითხისათვის“, „ქართველი ბერები და მონასტრები პალესტინაში“ და მრავალი სხვა. გრიგოლ ფერაძეს ჰქონდა საკუთარი ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. აქ გამოქვეყნებული ლექსებიც მასვე ეკუთვნის. იგი უშვებდა, აგრეთვე, ჟურნალ „პატროლოგიას“ პოლონურ ენაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევა ქართული პალესტინური ხელნაწერების შესახებ. ავტორი მის გამოქვეყნებამდე კორნელი კეკელიძეს სწერდა, რომ გერმანიაში აღმოაჩინა ქართული ხელნაწერი, რომელიც პროფესორ ცაგარელის სინას მთაზე ყოფნამდე არის იქიდან წაღებული; იგი სინური წარმოშობისაა და შეიცავს ნიკო მარის მიერ გამოცემული პალესტინური ქართული აღაპების მსგავს აღაპებს, მაგრამ უფრო ძველიაო. ჩანს, ჯვრის აღაპები სინას მთაზეც აუტანიათო.

გრიგოლ ფერაძე ქართული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიღწევებს აცნობდა ევროპელებს და მათ პოპულარიზაციას ეწეოდა. მაგალითად, მან პროფესორ ბაუმშტარკს უთარგმნა კორნელი კეკელიძის მიერ გამოცემული შობის „განჩინების“ ქართული ტექსტი, გერჰარდს გააცნო კეკელიძისავე ნაშრომი „უცხოელი ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, და იგი გერმანულ ენაზე თარგმნა. მანვე ქართულიდან გადმოიღო ზოგიერთი პატროლოგიური და სხვა ხასიათის ტექსტებიც. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

გრიგოლ ფერაძეს საყურადღებო შემოქმედებითი მემკვიდრეობა დარჩა. მართალია, მის შემოქმედებით თემატიკას ახლაც იკვლევენ — ბელგიაში პროფესორი გარიტი, გერმანიაში — პროფესორი ასფალგი, პოლონეთში — ერთ-ერთი მუზეუმის თანამშრომელი მიხეილ კვალიაშვილი და სხვები, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. კარგი იქნება თუ სხვებიც დაინტერესდებიან გრიგოლ ფერაძის მოღვაწეობით. იგი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა, იყო საეკლესიო პირი და მთელი სიცოცხლე ქართული მეცნიერების სამსახურს შეალია.

და, როგორც დასაწყისში ითქვა, იგი ძალადობის მსხვერპლი გახდა. გესტაპოელებმა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში აწამეს.

მოძღვარი, პროფესორი, დოქტორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე

მკვლევარი ვასილ ჩაჩანიძე, რომელიც აგროვებს ცნობებს მეცნიერების დოქტორზე, არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეზე. შეეკითხა მის შესახებ პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანცელარიას და მიიღო დეკანოზ ნიკოლოზ ლენჩევსკის მიერ პოლონურ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი. ვაქვეყნებთ ამ წერილის თარგმანს, რომელიც ეკუთვნის მ. ვარაზაშვილს.

ვარშავის უნივერსიტეტის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ფაკულტეტის თანამშრომელთა შორის, საპატიო ადგილი ეკავა ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს, დოქტორს, მამა გრიგოლ ფერაძეს.

1932—33 სასწავლო წელს, სარწმუნოებისა და განათლების სამინისტროსთან კონსულტაციის შემდეგ, და აგრეთვე, ფაკულტეტის საორგანიზაციო კომიტეტის ნებართვით, გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს ფაკულტეტის დეკანად და მას გადაეცა მართლმადიდებლური თეოლოგიის ფაკულტეტის პატროლოგიის კათედრა. მამა ფერაძეს, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, უკვე ჰქონდა მნიშვნელოვანი მიღწევები. მან თავისი პირველი ლექცია წაიკითხა 1932 წლის 7 დეკემბერს, უნივერსიტეტის მთავარ დარბაზში.

ამ დღიდან მოყოლებული ფაკულტეტის არსებობის ბოლომდე მამა ფერაძე მუშაობდა თავდაუზოგავად, კითხულობდა ლექციებს, ამასთან აღრმავებდა თავის მეცნიერულ მიღწევებს. იგი ბევრს მოგზაურობდა ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლების გაცნობის მიზნით. მოიარა წმიდა მიწა და სირია. მოინახულა აღმოსავლეთის საპატრიარქოთა ძეგლები. შეისწავლა ათონისა და სინას მთაზე დაცული ხელნაწერები. იყო, აგრეთვე, პოლონეთის მართლმადიდებლურ ძველ მონასტრებში (პოჩაევსკის ლავრა და სხვა), სადაც აღმოაჩინა მრავალი საინტერესო, მეცნიერების მიერ ჯერ შეუსწავლელი ისტორიული, პალეოგრაფიული, არქეოლოგიური და სხვა მასალები. იგი მზრუნველობას იჩენდა ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტების წრის მიმართ და მატერიალურად ეხმარებოდა ღარიბ და გაჭირვებაში მყოფ სტუდენტებს.

მისი ცხოვრების ზოგიერთი ფაქტის გაცნობაც კი დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რა დიდი იყო მასში სწრაფვა სამეცნიერო მოღვაწეობისაკენ; დაგვეხმარება, აგრეთვე გავიგოთ, თუ ღვთისმეტყველების რომელი მიმართულებით იყო იგი უფრო დაინტერესებული.

მამა გრიგოლ ფერაძე დაიბადა თბილისში 1899 წლის 13 სექტემბერს. მისი მამა რომან ფერაძე იყო ქართული მრევლის წინამძღვარი სოფელ ბაკურციხეში, თბილისის მახლობლად. მან დაამთავრა დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი და სასულიერო სემინარია თბილისში 1918 წელს. იქვე ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო ვერ დაასრულა. 1921 წლიდან მუშაობდა მასწავლებლად. მალე, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გადაწყვეტილებით, გაემგზავრა გერმანიაში, სადაც შემდგომში სწავლობდა ღვთისმეტყველებას. 1922 წლის მაისიდან 1925 წლის აპრილამდე იყო ბერლინის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი და სწავლობდა თეოლოგიასა და აღმოსავლურ ენებს. 1925 წელს გადადის ბონის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს რელიგიის საკითხებს და, აგრეთვე, იღრმავებს აღმოსავლური ენების ცოდნას. 1925 წლის თებერვალში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, ნაშრომისათვის „სამონასტრო საწყისების საკითხები საქართველოში“. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე 1927 წლამდე, იგი სწავლობს ღვთისმეტყველებას. ლექციებს ისმენს ლიოვაიანეს უნივერსიტეტში.

1927 წლიდან ეწევა სამეცნიერო მუშაობას ინგლისში, სადაც ეცნობა ბრიტანეთის მუზეუმსა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში დაცულ ეკლესიების მამების უძველესი დროის ხელნაწერებს.

თავდაბალი და შრომისმოყვარე მამა გრიგოლ ფერაძე მთელ თავის სიცოცხლეს ატარებდა შრომასა და ლოცვებში. 1927 წლის ივლისში იგი დაინიშნა ბონის უნივერსიტეტის პრივატდოცენტის თანამდებობაზე, სადაც დაევალა ლექციების კითხვა ძველ ქართულ და სომხურ ლიტერატურაზე. ლექციებს კითხულობდა 1932 წლამდე. ამავე წელს მან მიიღო მიწვევა ოქსფორდში ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებზე ლექციების წასაკითხად. 1931 წელს ღებულობს სასულიერო კურთხევას და იკვეცება ბერად. ამის შემდეგ პარიზის ქართულ ეკლესიაში ასრულებს მოძღვრის მოვალეობას.

1932 წლიდან იწყება მის ცხოვრებაში ახალი პერიოდი: მას ირჩევენ მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის პროფესორად. როგორც შემდეგში თვითონ ხშირად აღნიშნავდა,

ღმერთს ის ცხოვრების გრძელი გზებით მიჰყავდა ვარშავისაკენ. მამა გრიგოლ ფერაძე ცხოვრების ძნელ წუთებში ხშირად იმეორებდა წმიდა იოანე ოქროპირის (ქრიზოსტომის) სიტყვებს: „გმადლობ უფალო ყველაფრისათვის!“ ხშირად სტუდენტებთან ლაპარაკში იმეორებდა ეკლესიის მამების სიტყვებს. მამა ფერაძე ისწრაფვოდა იმისაკენ, რომ ვარშავის საღვთისმეტყველო ფაკულტეტზე შეექმნა ახალი მიმართულებები პატრისტიკული ლიტერატურის კვლევაში. ურთიერთობა ჰქონდა ყველაზე ცნობილ ღვთისმეტყველებთან, დასავლეთის მრავალ საღვთისმეტყველო სკოლებიდან. ყველაფერმა ამან თავისი ანარეკლი ჰპოვა მის მოხსენებებსა და პუბლიკაციებში. მან თავის სამეცნიერო ნამუშევარში პატროლოგიის დარგში შეიტანა დასავლეთის მეცნიერების უახლესი მიღწევები: სარგებლობდა რა რუსი თეოლოგებისა და ღვთისმეტყველების მიღწევებით, იყენებდა მათ თავის გამოკვლევებში, ნაშრომებსა და სამეცნიერო მოხსენებებში. უეჭველია, ეს სამეცნიერო სამუშაოები რომ არ შეეწყვიტა, რომ მას ცხოვრება ტრაგიკულად არ დაესრულებია, მისი ნამუშევრები მრავალ სიახლეს შეჰმატებდნენ სხვადასხვა ეკლესიების ღვთისმეტყველების სინთეზურ ცოდნას. ერთ-ერთ თავის სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო მიტროპოლიის ჟურნალში „სლოვო“, მამა გრიგოლ ფერაძე, მაშინ უკვე არქიმანდრიტის ხარისხში აღყვანილი, იხსენებს ახალგაზრდობის წლებს. „ჩემი წინაპრები — წერს იგი—მწყემსები იყვნენ, ერთხელ, ქრისტეშობის ღამეს მწყემსავდნენ თავიანთ ფარას საქართველოს ულამაზესი და მდიდარი ბუნების წიაღში. იყვნენ შორს სოფლებისა და თვით წმიდა ადგილებისაგან. მოულოდნელად, მიუხედავად იმისა, რომ უახლოესი მონასტერი ათეული კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა, გაისმა ზარების რეკვა. მწყემსების გული აავსო ზეციურმა ნეტარებამ. ცხვრების მწყემსებიდან ისინი სულიერ მწყემსებად გადაიქცნენ. დიდ ზამთრის ღამეებში ჩვენ, ბავშვებს, ხშირად გვიყვებოდნენ ამ ბედნიერ მწყემსებზე — ჩვენს წინაპრებზე“.

ფერაძის უდიდესი ცოდნა შერწყმული იყო ღრმა რწმენასთან. მისი ლექციები გამსჭვალული იყო ეკლესიის მამების შემოქმედებითი სულით. თავის ფიქრებში იგი ხშირად გადადიოდა იქ, სადაც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ეკლესიის მამები. ხშირად ფიქრობდა პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიერი სიცოცხლის აღდგენაზე.

წარმოშობით იგი იყო პატრიარქალური, ღვთისმოყვარე ოჯახიდან, სადაც ცოცხლობდნენ ძველი ტრადიციები და დიდ პატივს სცემდნენ სარწმუნოების ჩვევებს. მშობლიური სახლიდან მან დიდი პატივისცემა გაიყოლია ძველი ძეგლების მიმართ. ყველაფერმა ამან ანარეკლი ჰპოვა მის ლექციებში. ისტორიის ქარტეხილებმა გამოგლიჯეს იგი საყვარელ საქართველოს, მის ძველ ეკლესიებს, რომელთაგან ზოგი ათას ხუთას წელზე მეტისაა; იმ ადგილებს, სადაც ცხოვრობდნენ და ქადაგებდნენ ქართული ეკლესიის მამები.

იქნებ ღვთის განგებამ მიიყვანა ეს ღვთის მოყვარე შვილი მორწმუნე საქართველოდან დასავლეთში და კერძოდ ვარშავაში, რათა თავისი ფაკულტეტის მსმენელებისათვის ეცნობებინა ქართული ეკლესიის მამების ღვთისმოშიშობა. ფიქრებში იგი ხშირად უბრუნდებოდა მშობლიურ სოფელს, მის მშვენიერ ეკლესიასა და პატარა სახლს ზევის პირას. თავის სტატიებში, რომლებსაც აქვეყნებდა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და შემდეგ პოლონურ ჟურნალებში, იგი აღწერდა ძველებურ ქართულ ეკლესიებსა და ფრესკებს, ხატებს; დაწვრილებით მოგვითხრობდა ძველი საეკლესიო წიგნების სილამაზეზე, გვაცნობდა ძველ საეკლესიო ნივთებს, ლაპარაკობდა, აგრეთვე, ქართული ეკლესიის მამების ღვაწლზე, მათ შემოქმედებაზე.

1936 წელს მამა ფერაძე წმიდა მიწას ეწვია. იგი ასე წერდა ამ მოგზაურობაზე: „არდადეგების დროს მე მომეცა შესაძლებლობა 1936 წელს ვწვეოდი წმიდა მიწას. წავედი არა მარტო როგორც ბერი, არამედ როგორც მეცნიერი, რომელიც მუშაობდა ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაზე. წმიდა მიწა ხომ პატროლოგიის სამშობლოცაა“.

არქიმანდრიტი გრიგოლი იყო ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესანიშნავი მცოდნე. წმიდა მიწაზე მოგზაურობის დროს სხვადასხვა მონასტერსა და, ასევე ბერძენთა საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში მიაკვლია 162 ქართულ ხელნაწერ წიგნს. მამა გრიგოლმა კარგად იცოდა, რომ წარსულში წმიდა მიწაზე ბევრი ქართველი ჩადიოდა. აქ მათ მრავალი მონასტერი და ტაძარი აუგიათ. იგი წერდა, მაცხოვრის ამჟამინდელი კათოლიკური მონასტერი ოდესღაც ქართველებისა იყო. იგი უძველესი ქართველთა მონასტერია წმიდა მიწაზეო; ასევე, გზაზე, რომელიც უფლის ტაძრისაკენ მიემართება; . მარცხენა მხარეს მდებარეობს წმიდა ბასილის სახელობის დედათა მონასტერი, მარჯვენა მხარეს კი წმიდა თეოდორეს სახელობისა. ორივე ქართველების ნაგებიაო.

„იერუსალიმის პატრიარქთან სტუმრად ყოფნის დროს, მე ძალიან გამახარა უწმიდესი პატრიარქის ტიმოთეს სიტყვებმა: „ჩვენს საპატრიარქოს თქვენ ეკლესიასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებსო“, რომ თქვა.

მამა გრიგოლი წმიდა მიწის ისტორიული ძეგლების თვალიერების დროს, მუდამ ქართველი წმიდა მამებისა და მისიონერების მოღვაწეობის კვალს ეძებდა. „მაცხოვრის საფლავის ტაძართან მდებარეობს წმიდა კონსტანტინესა და ელენეს სახელობის ყველაზე დიდი ბერძნული მონასტერი, რომელსაც ყოფილი წმიდა დიმიტრისა და თეკლეს სახელობის ქართული მონასტრების ტერიტორია უკავია. წარსულში ქართველები ფლობდნენ თვით გოლგოთას და უშუალოდ იმ ადგილს, სადაც ჯვარცმული იყო იესო ქრისტე.

მამა არქიმანდრიტი უდიდესი მოწიწებით აღწერს თავის შთაბეჭდილებებს წმიდა მიწაზე ყოფნის შესახებ. არქეოლოგიურ ძიებებსა და მოძღვრულ საქმიანობას იგი უერთებდა მხურვალე ლოცვებს. სწორედ ეს ორი თვისება — შრომისმოყვარეობა და თავმდაბლობა — ამ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ახასიათებდა.

მისი ლექციები იყო არაჩვეულებრივად ცოცხალი, გამსჭვალული ეკლესიის მამების სულით, ხშირად

მათ საფუძვლად ედოთ უცნობი წყაროები, რის გამოც სხვადასხვა კურსის მრავალრიცხოვან სტუდენტთა ჯგუფებს და, აგრეთვე, სხვა დარგების მოსწავლეებს იზიდავდა. თავისი პირადი მაგალითით. სტუდენტებს აჩვევდა სისტემატურ მუშაობას ეკლესიის მამების შემოქმედებაზე. იგი თავად მუშაობდა სისტემატურად და თავს არ ზოგავდა, რათა ახალგაზრდობისათვის თავისი უდიდესი ცოდნა და შრომის გამოცდილება გადაეცა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მამა გ. ფერაძის უღრმესი პატივისცემა თავისი ახალი უფროსის — მიტროპოლიტ დიონისეს მიმართ. მან შეიყვარა იგი და ეს სიყვარული სტუდენტებსაც ჩაუნერგა. ეჭვს გარეშეა, მისი ბედი რომ სხვანაირად აწყობილიყო, არქიმანდრიტი გ. ფერაძე ალბათ ჩვენი ეკლესიის იერარქიაში დაიკავებდა პატივსაცემ ადგილს; ისეთს, რომელზედაც ოცნებობდა მიტროპოლიტი დიონისე. მაგრამ უფალმა ასე არ ინება. მისი განგებით, ეპისკოპოსის მიტრის მაგიერ მამა გ. ფერაძემ წამებულის გვირგვინი მიიღო.

ომის შუა პერიოდში პოლონეთის ფარგლებში ცხოვრობდა დაახლოებით ხუთი მილიონი მართლმადიდებელი. მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა ძალზედ გართულებული იყო იმის გამო, რომ არ არსებობდა უფლებრივი სტატუსი. ამ მძიმე წლებში მამა ფერაძე მიტროპოლიტ დიონისეს საიმედო მრჩეველი იყო. იგი მასთან დარჩა ომის მძიმე წლებში.

მამა გრიგოლი დააპატიმრეს ჰიტლერელებმა და დაიღუპა ოსვენციმის ბანაკის გაზის კამერაში. გაზის კამერაში იგი შევიდა თავისი ნებით იმ პატიმრის მაგიერ, რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰყავდა.(!) მისი სიკვდილის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ერთ-ერთმა მისმა ამხანაგმა, რომელმაც თავი დააღწია დაჭერას. ამავე პატიმარმა გადასცა მიტროპოლიტ დიონისეს არქიმანდრიტ ფერაძის კუთვნილი ჯვარი.

ვარშავის უნივერსიტეტის ალაყაფის კარების მარჯვენა მხარეს არის მემორიალური დაფა, მიძღვნილი უნივერსიტეტის პროფესორებისადმი, რომლებიც ომის დროს დაიღუპნენ. ამ დაფაზე გამოკვეთილია გრიგოლ ფერაძის სახელი და გვარიც.

დეკანოზი ნ. ლენჩევსკი

წირვის შემდეგ. უწმიდესი ი ლ ი ა II. მის მარჯვნივ— ეპისკოპოსი ვახტანგი, მარცხნივ მთავარეპისკოპოსი— თადეოზი

პურის კურთხევა. აკურთხებს მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე)

სიონი. ზეთისცხება. ზეთს ცხებს მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა)

წირვა სიონის ტაძარში

თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა) და დეკანოზი გიორგი (პილგუევი)
მორწმუნეთა შორის სიონის საპატრიარქო ტაძარში

პავლე ინგოროყვა

ნუ შეურაცხ-ჰყოფ
ერსა შენსა გლახაკსა და დაწუნებულსა,
არამედ შემწე იყავნ
მარჯვენა შენი ძლიერი და მაღალი,
შობილო ქალწულისაგან,
და მიჯსენ ჩუენ მონებისაგან მტერთა ჩუენთასა
აგარის ნათესავთა,
და ძლევაჲ მოჰმადლე მეფესა ჩუენსა

გრიგოლ ხანძთელი. „საკვეყნო სათხოვარი“
ძლისპირი

ბევრი დრო გავა, რომ ჯერ ბევრი
ვერ ვსცნათ ჩვენ მისი

ნ. ბარათაშვილი

1959 წელს, მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის დროს რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოში ერთი კაცი მისულა... პორთფელი გაუხსნია და მაგიდაზე რვეულები დაულაგებია. რვეულებში გასაოცარი ზუსტი ცხრილები და აღწერის მონაცემების შესანიშნავი ანალიზები ყოფილა ჩაწერილი... უცნობ კაცს ზოგი რამის დასაზუსტებლად დამატებითი ცნობები მოუთხოვია. უთქვამს: მინისტრთა საბჭოში ვიყავი და იქიდან თქვენთან გამომასწავლესო... სამმართველოს მუშაკებს გაჰკვირვებიათ, ვინ უნდა იყოს, ყველაფერი რომ ასე ზუსტად იცის, ან სახელმწიფოს საქმეებში რატომ ერევაო. უკითხავთ „ვინ ბრძანდებითო“.

„მე ის კაცი ვარ, ვისაც ყველაფერი ეკითხება, რაც საქართველოს შეეხებაო“, ყოფილა პასუხი. სამმართველოს მუშაკები ჩაფიქრებულან... ბოლოს ერთ მათგანს შეუბედავს:

— ბატონო, თქვენ პავლე ინგოროყვა ხომ არ ბრძანდებითო...

— დიახ, სწორედ ის გახლავარ. — უპასუხნია მოსულს.

• • •

იგი თითქოს ორ დროში ცხოვრობდა... უხსოვარი საუკუნეებიდანაც მოდიოდა და ჩვენი თანამედროვეც იყო. თითქმის ას წლამდე იცოცხლა.

შემთხვევით ქვეყნად იშვიათად ხდება რაიმე და არც ისაა შემთხვევითი, რომ მისი პირველი ნაშრომი, რომელიც 1913 წელს წიგნად გამოიცა, „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ იყო. ესაა VII—X საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა საუფლო და წმიდა მოწამეთა საგალობელნი... რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ეს სავსებით უნიკალური ანთოლოგიის ორტომეული, მან ოცი წლის ასაკში გამოსცა, პავლე ინგოროყვა მთელი თავისი სიცოცხლით იყო დაკავშირებული ძველ ქართულ მწიგნობრობასა და საერთოდ, საქართველოს ისტორიასთან, მის დიდ სულიერ საწყისებთან... ხელნაწერები, წიგნები, ძეგლები მისი დაუსრულებელი კვლევის საგანი იყო. მეუდაბნოე ბერის გულმოდგინებით ჩაჰყურებდა საქართველოს მუზეუმის სიძველეებში ფერგადასულ პერგამენტებს და მათი ქარა-

გმებიდან ჩვენი წინაპრების მდუღარე სულის უძვირფასესი ნაზრევი ამოჰქონდა... წმენდდა, კითხულობდა, უვლიდა...

სწავლობდა და იკვლევდა როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ მწერლობას. ერთნაირი შთაგონებით წერდა როგორც ანტიკური მწერლობის, ისე ფეოდალური საქართველოს პერიოდის წერილობითი წყაროებისა თუ მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსთა — ილიას, აკაკის, ბარათაშვილის შემოქმედების საკითხებზე.

ბრწყინვალედ იცნობდა ძველ ქართულ ღვთისმეტყველებას, ჰიმნოგრაფიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ჰაგიოგრაფიას...

ჯერ არ შედგენილა მისი შრომების ბიბლიოგრაფია, მაგრამ რაც მოუძიებლად ჩვენს თვალწინაა, მხოლოდ გაოცებასა და მოკრძალებას იწვევს: „ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა (ანტიკური ხანა. საშუალო საუკუნეები რუსთაველის ეპოქამდე)", „ძველი ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა (I ს. ახალი წელთაღრიცხვის)", „ლეონტი მროველი—ქართველი ისტორიკოსი VIII საუკუნისა" ...შეუძლებელია საქართველოს ისტორიის, საერთოდ, საქართველოს წარსულის მატერიალური თუ სულიერი კულტურის მკვლევარმა გვერდი აუაროს მის ნაშრომს, „ძველი ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია". „პირველად სწორედ პავლე ინგოროყვამ აქცია ეს ძეგლი ღრმა ისტორიული და ფილოლოგიური ანალიზის საგნად, მოხსნა მის გარშემო არსებული ყალბი ლეგენდები და იგი მეცნიერული აზრის ინტერესების ყურადღების ცენტრში მოაქცია; ცხადყო, რომ მისი პირველი წყარო შედგენილია არმაზში, რომელიც ანტიკურ ხანაში იბერიის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი იყო, ხოლო შემდეგ ქართლის მთავარ საკულტო ადგილს წარმოადგენდა" (ი. ლოლაშვილი). მსოფლიო ისტორიოგრაფიის ცნობების, მცხეთა — არმაზის გათხრების მონაცემებდან შეფარდებით და აქვე ძველი ქართული წარმართული პანთეონის გადმოცემების გათვალისწინებით, მან ახსნა ამ ძეგლთან დაკავშირებული მთელი რიგი სადაო საკითხები. ასევე შორეული წარსულის სიღრმეში გადავყავართ ზემოთდასახელებულ მის შესანიშნავ გამოკვლევას „ძველი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა". საგულისხმოა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიას იგი ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნიდან იწყებს და იმ დროისათვის მაინც ამ ძალზე გაბედულ აზრს, ფრიად საინტერესოდ ასაბუთებს. შეუცვლელია მისი „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი V—VIII საუკუნების ძეგლებში", რომელსაც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა უწოდა: „გზის გამკვლევი ნაშრომი ქართულ მეტყველებაში".

ახალგაზრდობის წლებში დაწერა მან (1924 წ.) შესანიშნავი ფილოლოგიური ნარკვევი „ჩახრუხაძე — პოეტი, მოგზაური", რომელშიც განხილულია კლასიკური ხანის სახოტბო პოეზიის რთული პრობლემები... „თამარიანის" შინაარსი, ავტორის ვინაობა, დაწერის თარიღი.

ამ შრომას მოჰყვა მისი საქვეყნოდ გახმაურებული მონოგრაფია — „რუსთაველიანა, „ვეფხისტყაოსნის" თარიღი, შოთა რუსთაველის ვინაობა" (ნაშრომი დაიწერა 1922 წ. გამოქვეყნდა 1926 წ.). ამ წიგნმა მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობასა და კერძოდ, რუსთველოლოგიაში... ეს ის წიგნია, რომელმაც მის ნაშრომთა შორის ყველაზე მეტი დავა და კამათი გამოიწვია, რომელმაც (დღეს ეს უკვე სავსებით გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას), საბოლოოდ გამოაცოცხლა რუსთველოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული აზროვნება... საოცარი ინტუიციით, შთაგონებით, შემოქმედებითი ფანატიზმითა და ყოვლის აღმშენებელი სიყვარულით წიგნში განხილულია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტოლოგიური საკითხები (ხელნაწერები, თვით ტექსტი, ვახტანგისეული დედანი, ჩანართი, დანართი და სხვ.), დადგენილია თარიღი და მოცემულია ცდა შოთა რუსთაველის ვინაობის გამორკვევისა და ასევე, მაშინდელი ლიტერატურული გარემოს აღდგენისა. (საგულისხმოა, რომ იმ მწვავე პოლემიკის მიუხედავად, რომელიც ამ წიგნის გარშემო დიდხანს მიმდინარეობდა, დრომ ბევრი რამ „რუსთაველიანას" ავტორის სასარგებლოდ გადაწყვიტა).

პავლე ინგოროყვა მთელი თავისი ვრცელი ცხოვრების მანძილზე არ განშორებია რუსთაველის თემას... ყველა რუსთველოლოგისათვის სამაგიდო წიგნებია მისი: „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა (1928 წ.), „რუსთაველიანას ეპილოგი" (1963), რომელიც იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე დაიწერა; ასევე, 1970 წელს გამოქვეყნებული მისი „შოთა რუსთაველი (1166—1250)"... ი გ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ, ე რ თ-ე რ თ ი დ ი დ ი რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა.

პავლე ინგოროყვა იყო ბრწყინვალე რედაქტორი, მწერალი, მკვლევარი... საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის, ხელოვნების დიდი მცოდნე, მწერალთა კავშირისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ერთ-ერთი დამაარსებელი... ძნელია ყველა დამსახურების ჩამოთვლა, რომელიც ბატონ პავლეს ქართველი ერის წინაშე მიუძღვის... მაგრამ აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ ერთი: 1921 წელს, იგი, როგორც ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტი, მონაწილეობდა კო-

მისიაში, რომელსაც უნდა დაეზუსტებინა საქართველოს საზღვრები; კერძოდ, საზღვრები საქართველოსა და უცხოეთს შორის. აქ ბევრი რამ იყო სადაო. კომისიას ხელთ ჰქონდა ორი წინასწარ შედგენილი საორიენტაციო დოკუმენტი. პირველი იყო რუკა, რომელზედაც საზღვრები შემოხაზული იყო მსხვილად გავლებული ხაზით, ხოლო მეორე—ნარატიული ხასიათის განმარტება. ზოგჯერ ეს ორი დოკუმენტი არ ემთხვეოდა ერთმანეთს. და აი, აქ იწყებოდა დავა. პავლე ინგოროყვამ ამ დავის დროს მოიტანა ისეთი ურყევი და უმტკიცესი იურიდიულ-ისტორიულ-გეოგრაფიული საბუთები, საერთაშორისო სამართლის ისეთი მუხლები, რომ უცხოელმა რწმუნებულებმა გაჩუმება არჩიეს. ჭეშმარიტება პავლე ინგოროყვას მხარეზე იყო და ამ გზით მან ადრე დაკარგული მიწებიდან საქართველოს საკმაოდ დიდი ტერიტორია დაუბრუნა*. ამ ამბის მოსმენის შემდეგ გიორგი ლეონიძეს უთქვამს: სულაც რომ არაფერი არ დაეწერა პავლე ინგოროყვას, მარტო ეს ამბავი ღირს იმად, რომ ქართველმა ერმა მას სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგასო...

დიახ! პავლე ინგოროყვა იყო ის პიროვნება, რომელსაც უფლება ჰქონდა ეთქვა: „მე ის კაცი ვარ, ვისაც ყველაფერი ეხება და ეკითხება საქართველოს შესახებო". ქართველმა ერმა ისევე შეიყვარა მისი სახელი, როგორც უყვარს თავისი სათაყვანო პოეტები... ასეთი რამ კი მხოლოდ ერთეულებს ხვდომიათ...

აუწერელი და აუწონავია მისი ამაგი... ძვირფასი და ხელშეუხებელია ყოველივე, რაც მან თავისი ქვეყნის უკვდავებისთვის გააკეთა. და მაინც... ყველა ამ საგანძურიდან ჩვენ ისევ ერთ მთავარს გამოვყოფთ — მის ღვაწლს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის წინაშე: „გალობანი ვარძიისანი" (თამარ მეფის სამადლობელი საგალობელნი), „თხზულება იოანე შავთელის, 1206 წლისა", „თამარ მეფის იამბიკონი", ისევ „ლეონტი მროველი", „სვანეთის საისტორიო ძეგლები", „ეფრემ მცირე", ისევ „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა"... ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა... მზესავით გაბნია მან თავისი სული ამ ნაშრომებში. პავლე ინგოროყვა იყო პირველი, ვინც შეეცადა ამოეცნო ფარული აზრი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲდან".

ხოლო „გიორგი მერჩულე"... ეს ხომ საოცარი ფანატიზმითა და სიყვარულით შექმნილი, V—XI საუკუნეების საქართველოს პოეტური, და არა მარტო პოეტური ნაზრევის, არამედ მთლიანად, მთელი ამ პერიოდის მხატვრულ-ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ენციკლოპედიური ნაწარმოებია. ბერული თმენით, ასკეტის სულით, დიდი შინაგანი სინათლით, ასევე დიდი სიყვარულით შექმნილია ეს საოცარი, ფასეულობითაც და მოცულობითაც უზარმაზარი წიგნი. ათას ნაბეჭდ გვერდზე მეტს შეიცავს იგი. წიგნი გამოქვეყნდა 1957 წელს... იგი ორ ნაწილიანია, პირველი ნაწილი ისტორიულია და ეძღვნება გიორგი მერჩულეს ვინაობასა და მის აგიოგრაფიულ თხზულებას — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". მასში ვრცლადაა განხილული VIII—IX საუკუნეების საქართველოს ისტორია, გეოგრაფია... აღწერილია სამხრეთ საქართველოსა და კერძოდ, ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცენტრების მშენებლობა და ამ ცენტრების ლიტერატურული საქმიანობა, წარმოჩენილია მანამდე უცნობი არაერთი საეკლესიო პირის ვინაობა და ღვაწლი.

მეორე ნაწილი ეთმობა გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულეს ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას, განხილულია საერთოდ VII—XI საუკუნეების მთელი სასულიერო პოეზია... ამ თხზულებათა სალექსო საზომები, ჰიმნების შემცველი ხელნაწერების აღწერილობა, დახასიათებულია მათი რედაქციული შედგენილობა... აქაც ბევრი ისეთი ნაწარმოებია გამოქვეყნებული, რომელიც მანამდე ცნობილი არ იყო... და ყოველივე ამას თან ერთვის ავტორ-რედაქტორის სათანადო ფილოლოგიური ანალიზი. პავლე ინგოროყვას მორწმუნებრივი, ნამდვილი ქრისტიანული ბუნების კიდევ ერთი მაგალითი ისიცაა, რომ ამ გიგანტური მოცულობის წიგნის ჰონორარზე მან, იმხანად თითონ უსახსროდ მყოფმა, უარი განაცხადა. ესეც ფრიად საინტერესოა მისი ბიოგრაფიის მკვლევართათვის.

„... გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიღე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ მე" — ბრძანებს უფალი (მარკოზი. 10. 21).

ბევრი დავა და კამათი გაიმართა „გიორგი მერჩულეს" გარშემოც. ხშირად იზიარებდნენ, ან არ იზიარებდნენ მის ზოგიერთ შეხედულებას. მაგრამ გავიდა დრო... ახლა კი, თუნდაც კვლავ რომ გაგრძელდეს ეს კამათი, დაეთანხმებიან, თუ არ დაეთანხმებიან მის დებულებებს, ერთი ცხადია — „მ ე რ ჩ უ ლ ე" შ ე უ ც ვ ლ ე ლ ი ა.

* * *

თითქოს იგი მთელი სიცოცხლე ბერის სენაკში ცხოვრობდა... მისი სამუშაო ოთახი მართლაც ჰგავდა სენაკს რაღაცით... წიგნები, წიგნები... წიგნები... წიგნებში ჩადგმული მაგიდა... მასზეც წიგნები... და, მშვენიერი, ძველი კალიგრაფების მსგავსი ხელით ნაწერი ფურცლები, რვეულები...

---

* ცნობა ამოღებულია მწერალ გ. ნატროშვილის წერილიდან. ლიტ. საქართველო. 1983 წ. 11 ნოემბერი.

ამ ოთახში მასთან ხშირად შემოდიოდნენ წარსულის დიდი აჩრდილები — მეუდაბნოენი, მწიგნობარნი, ხუროთმოძღვარნი, ქტიტორნი, ფრესკების მწერალნი, მეფეთმეფენი... თვით დიდი დავითი, თვით დიდი თამარი...

იფურცლებოდნენ და შრიალებდნენ ეტრატები, პალიმფსესტები, სიგელ-გურჯები... ინთებოდნენ და იღვენთებოდნენ, იღვენთებოდნენ და კვლავ ინთებოდნენ სანთლები...

ამ „სენაკში“ იგი ღამეს უთევდა საქართველოს და როგორც მწერალი გურამ ასათიანი მისდამი მიძღვნილ ბრწყინვალე წერილში წერს: „მას სხვა არაფერი უნდოდა და არც მოუთხოვია... ისიც გრიგოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული, მასაც მეუდაბნოე ბერის შინაგანი რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისაკენ. მან ისიც კი არ იცოდა, რომ მაგალითად იქცა დაუნჯებული, ცხოვრების ყაყანს განრიდებული, მეუდაბნოე მეცნიერის მაგალითით...“ საუკუნის აღმართზე ჯვრის ზიდვა ასე ხანგრძლივად და ქედშეუხრელად მხოლოდ ერთეულებმა შესძლეს.

და ვინ იცის, ადრე თუ გვიან, ისევ მოვა ახალი მერჩულე... მოვა, რომ ტაოელი წმიდა მოხუცის დიად საქმეთა მსგავსად მისი ნაღვაწიც სრული ზედმიწევნილობით აღნუსხოს, ღირსეულად შეაჯეროს, ბოლომდე ჩაწვდეს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის დედააზრს, რათა შთამომავლობას მათი გასაოცარი „ჭეშმარიტად თხრობილი“ ამბავი ამცნოს.

* * *

მთავარანგელოზთა და ანგელოზთა ხსენების დიდ დღეს აღესრულეთ თქვენ, ბატონო პავლე... ეკლიანი, მაგრამ ნათელი იყო თქვენი გზა ამ ქვეყნად. ვალმოხდილი მიბრძანდებით და... თანამედროვეთა გულისტკივილთან ერთად იმ უძველესი ქართული გალობის ხმებიც მიგაცილებენ, რომლის წვდომისა და ახსნის ურთულეს ხვეულებში მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდით გზას... დავიწყებას რომ სტაცებდით ყოველივე ქართულს, ჩვენი წარსულის ისტორიიდან.

დრო ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს... და თანდათან უფრო მაღლდებით თქვენ, ერთი იმ დიდ ქართველთაგანი... უკანასკნელი წარმომადგენელი თქვენი თაობის დიდ მამულიშვილთა, მამულის მოამაგეთა...



ერთ ადამიანს ძნელად ძალუძს იმდენის შექმნა, რამდენიც თქვენ შექმენით. ძველი ქართული ტაძრების კედლებიდან გადმოსულ უსახელო ოსტატთა მსგავსი ბრძანდებით... მოდიოდით უხსოვარი საუკუნეებიდან და ჩვენი თანამედროვეც იყავით. კრძალვას ვგრძნობდით თქვენს დანახვაზე... წიგნებსა და პერგამენტებში ჩაძირულმა იცხოვრეთ და, საქართველოს მზესაც ხედავდით, საქართველოს მომავალიც გწამდათ...

სამარადისოდ ხსოვნაში ჩაგვრჩა ის უკანასკნელი დღეც მწერალთა კავშირში... თქვენი ფერმკრთალი, ზეცისკენ ზეაწეული სახე... თითქოს რაღაც, ჩვენთვის მიუწვდომელს, ამაღლებულსა და არამიწიერს უსმენდით... დაუტევეთ ყოველივე ამქვეყნიური... მსუბუქი იყო თქვენი კუბოც, როცა იგი ერთმანეთის მონაცვლეობით მამაკაცებთან ერთად ქალების ხელში გადადიოდა... მანქანას არ დაანებეს... დიდუბის პანთეონამდე ხელით მიიტანეს და ღვთისმშობლის შობის ტაძრის ზარების გუგუნში წმიდა მიწას მიაბარეს.

და ახლა ისტორიას ეკუთვნით... და ახლა იმ სამარადისო ტაძრის ნაწილად გვეგულვით, რომლის კედელთან თქვენი მყარი აგურიც დევს.

ნათელი გადგათ ბატონო პავლე! ნათელი ჰფარავს თქვენს სათაყვანო სამშობლოს, თქვენს ერს, თქვენს ახალგაზრდობას. ნათელი აცისკროვნებს იმ მაღალ რწმენას, რომლითაც ამ ქვეყნად იცხოვრეთ და იღვაწეთ.

თ. კოგალაძე



გურამ პატარაიას ხსოვნას

„საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა დიდი, რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად, დაღუპვისათვის. პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, — მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს“... დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ამ მღელვარე სიტყვებით იწყება გურამ პატარაიას ბოლო ფილმი, რომელიც სამშობლოს მიღმა დარჩენილი სამხრეთ საქართველოს ძეგლებისადმია მიძღვნილი. შემთხვევითი არაა არც ის, რომ ამ ფილმს ავტორი ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას უძღვნის; ტექსტსაც თითონ კითხულობს. სწორედ ამ ფილმში დარჩა გურამ პატარაიას დაღლილი, სევდით შეფერილი ხმა, რომელიც ძველი ტაო-კლარჯეთის, ოდესღაც დიდებული, აწ კი იავარქმნილი ეკლესია-მონასტრების ბედზე მოგვითხრობს. ამ ფილმში, ისევ ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის მიერ 1917 წელს ჩამოტანილი უნიკალური ფოტო-სურათების, ფრესკათა ასლებისა და ესტამპების შემდეგ, ჩვენ მთელი თავისი სიმშვენიერით პირველად დავინახეთ ოშკი, ბანა, ხახული... სწორედ ამ ფილმით შევიგრძენით მათი დიდებულება; ვნახეთ ხალხი, რომელიც ისევ ინახავს თავის დედა-ენას, რომელიც საოცარი სინაზით შეჰყურებს „დიდი საქართველოდან“ ჩასულ საპატიო სტუმარს.

ეს მისი ბოლო ფილმია.

პირველი კი (არ ვეხებით მის მხატვრულ შემოქმედებას) ჩვენი სული რომ აამღელვარა და დამუხტა, ფერეიდნელი ქართველების ბედზე გვიამბობდა... „შორია გურჯისტანამდე—“ ასე ერქვა იმ ფილმს... სულის შემხუთველი, გულის შემხუთველი ტკივილი რომ გვაგრძნობინა... და მარტო ტკივილი? ეს იყო მოუშუშარი იარა.

გულის ფიზიკური ტკივილი აწუხებდა გურამ პატარაიას... გასაკვირი კი ის იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო. დიდი, კეთილი გული ჰქონდა მას. ბედნიერიც იყო, იცოდა რისთვის იღვწოდა... მუდამ მოუთმენლად მოველოდით მისგან ახალ და ახალ კინომოთხრობებს საზღვარგარეთ მიტოვებული ქართული კერებისა და სიძველეთა შესახებ... და ისიც დინჯი, დარბაისლური ქართულით გვიამბობდა... ეკრანიდან გვიჩვენებდა რუსთაველის ფრესკას, — ქტიტორთა სახეებს, — პალესტინის გადარუჯულ ბორცვებს, სადაც არაერთი დიდებული ქართული ტაძარი იდგა ოდესღაც... გვიჩვენებდა ჯვარის მონასტერს. გვიამბობდა პალესტინის სიძველეთა საიდუმლოებებზე, რომელიც უამრავ ქართულ ნაზრევსა და ნაფიქრს ინახავს...

შემდეგ იყო ათონი... „ათონის მატიანე“, ათონის სიძველენი. ეკრანიდან გვიმზერდნენ წარსულის დიდთა საქმეთა მოწმედ ჯერ კიდევ შემორჩენილი ივერონის მონასტრის ფრესკები და ფრესკათა ფრაგმენტები, დიდი მთაწმიდელების ღვაწლით შენახული ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები... იფურცლებოდნენ ეს წიგნები და მღელვარებით გვავსებდნენ. მხოლოდ ჩვენს დროში, რესპუბლიკის მთავრობის ყოველმხრივი დახმარებით და ცხადია, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვაწლით, მოხერხდა ამ წიგნთა თითქმის ყველა ფოტოპირისა და მიკროფირის ჩამოტანა ქართველთა ამ უძვირფასესი სავანიდან... ეს ფოტოპირები და მიკროფირები, ამჟამად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერთა კვლევის საგანია. უაღრესად ბევრი გააკეთა გურამმა ამ ხელნაწერი წიგნების გადასარჩენად. ქართველი კაცის ტკივილით მიდიოდა იგი ამ ხელნაწერებთან და ტაძრებთან და მათ ცივ, მიუსაფრად დარჩენილ სამყაროში, როგორც ლოცვისთვის ანთებული სანთელი, „დიდი საქართველოს“ სითბო და სიყვარული მიჰქონდა.

ნაადრევი იყო მისი ამ ქვეყნიდან წასვლა, 55 წლისა გარდაიცვალა იგი. ბევრი მოასწრო და გააკეთა ამ ხნის მანძილზე... მაგრამ ბევრი განუხორციელებელი ჩანაფიქრი დატოვა... ერთხელ, ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე საუბრის დროს თქვა, ძალიან საინტერესო მასალები დამრჩა. კიდევ ერთი ფილმი გამოვა. ახლა ამაზე ვმუშაობ, — შემდეგ კი სინას მთაზე მინდა წავიდეო... არ ისვენებდა, ჩქარობდა. უნდოდა, რაც შეიძლება, მეტი მოესწრო... მეტი გაეკეთებია. მაგრამ ის, რაც გააკეთა და დატოვა, სინათლით მოსავს მის უდროოდ შეწყვეტილ სიცოცხლეს. ჩვენთვის კი, განსაკუთრებით პატივსაცემია მისი სახელი. ის სიძველენი, ის წიგნები, ის ტაძრები, რომელთა, გადარჩენისა და ამოხსნის საიდუმლოს მან მთელი თავისი შემოქმედებითი ძალა და უნარი შეალია, ქართული ეკლესიის სიმდიდრეა.

მსუბუქი იყოს მისთვის ღვთივ კურთხეული, მისი საყვარელი სამშობლოს მიწა.

ასპინძის რაიონი. შორტი. სამრეკლო



შიო (აპალიშვილი)

ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი

შ ვ ი ლ ი

აანთეთ შუქი მრავალფერადი,
ააელვარეთ მიწა და ზეცა,
ჩვენ ხმალს და სახნისს მისთვის ვფერავდით,
რომ იმედები დახვავდეს ერთად.
შვილი — მიზანი, სიცოცხლე, რწმენა,
უკვდავება და სხვა ბევრი რამე,
ჩვენი უტკბესი აზრი და ენა,
დილის მშვენება, მზეა და მთვარე.
შვილი — ხვალის დღე, უფრო მაღალი,
ვინ სთქვა ეს სიტყვა თავდაპირველად...
სიცოცხლის წყარო და მომავალი,
ამწვანება და აბიბინება.
ივია აზრი, ყველაფრის აზრი,
აღორძინება და მისწრაფება,
მისი სიცოცხლით, სიცოცხლის მადლი
არ კვდება ქვეყნად, არ იკარგება.
რაც გსურს სწავლულო, რასაც შენ ეძებ,
რის აღმოჩენაც შენს სულს წყურია,
შვილის გარეშე — უბრალოდ მენდე,
ყველა ძიება დაკარგულია.
შვილი გიყვარდეს შენი და სხვისი,
ღმერთს ასე უნდა, ერს ეს სწადია,
მე რაღა გითხრა, შენ თავად იცი,
ვინც ქადაგებდა საქმეს მადლიანს;
„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“.
უსაზღვროების ვინ ნახავს საზღვარს,
ვინ გადალახავს უშორეს მიჯნებს,
წარსულ დროებზე ვინ გვეტყვის მართალს,
ან ვინ გაშიფრავს უძველეს წიგნებს...
შვილი რწმენაა და მომავალი
სიხარულია მისთვის წვალება,
მისით ნათდება ყველა წყვდიადი,
ფასდება ლხენა და მღელვარება.



თადეოზი (იორამაშვილი)

მანგლელი მთავარეპისკოპოსი

იყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა უფალო, ვითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა ამინ!

თავნი იტყვიან — **დავით აღმაშენებელის საქართველო**
შეიწყალე უფალო

„**ღ**იდებით დიდებულო უფალო, —
აღამაღლე რქა ერისა და ეკლესიისა შენისა“.
ვითარცა ჟამსა დავითისა და თამარისასა,
იყავნ მოხედვა შენი იბერიასა ზედა.
თმენით დავუთმოთ სახელსა შენსა და ისმინო ვედრებისა ჩვენისა.

არა არს სასოება ჩვენი შენსა გარეშე —
ღმერთო ჭეშმარიტო — მამაო, ძეო და სულო წმიდაო;
მამათა სასოებაო და მფარველო შვილთა,
არა დავდუმდეთ, არცა დაგივიწყოთ, —
შენთა, შენთაგან, შენდა შემწირველთა.
ელვარე მყოფელო მორწმუნე სულთაო,
ნიჭთა და შეწევნათა ზეგარდამომცემელო.
მლი სინანულსა დაცემულთა შვილთა,
ბინდისფერ სოფელში უცისკროდ მავალთა.
ერთია სამზეო მაღალი, მარადი,
ლაჟვარდი უსაზღვრო — ნათელით ფერილი,
იქ ილტვის ყოველი სიმაღლის ძიებით,
სული, უნივთოთა სიკეთის შემკრები,
სიხარულით ფრთონავს ანგელოზთა დარად...
აქ ამა სოფელში არს მოსაგებელი
ქების, ან ძაგების დაუსრულებელის...
აღგავსე უფალო სიბრძნის მოყვარეობით,
რათა გამორჩევა შევიძლოთ კეთილის...
თავი სიცოცხლისა ფიქრია მამულზე,
ვის ეს არ აწამებს — სული დაჰკარგვია.
ენა ანგელოზთა — ამ ენით იგრძნობა;
ლაზარედ, — მაცხოვრის მეგობრად ხმობილი, —
ოხრავს და ხმატკბილობს ციურმეტყველებით.
შორია მამულის ძირი და ფესვები,
ედემს დანერგული უფლის მარჯვენითა...
იყავ მადლობელი ძეო ადამისავ, —
წამით წამისყოფით ყოვლისშემძლებელის,
ყოველთა საზღვართა დამაწესებელის,
ადრე აღმომფხვრელის ძალის მჩემებელთა...
ლომთ მზრდელი მამული განჯღრევს და გაფხიზლებს,
ეყმე ამ სიყვარულს მოდგმავ იბერისავ,
შფროიან იმძლავრე საკუთარ მიწაზე,
ფრთენი არწივისა მოისხ შენის ცის ქვეშ,
არვის ათელვინო სიწმიდე ქართული, —
ლოცვით და მახვილით, ცეცხლოვან ძახილით
ორბებრ განახლდი და იყავ ხარლაღივით.



* * *

გიყვარდეთ თქვენი მოყვასნი
და მტერნიც შეიყვარეთა,
გულზედ მალამოდ დაეგეთ
ქვეყანის არემარეთა.
მტრობით და შურით დანგრეულს,
ალერსით მოუარეთა,
თორემა, პირს იმგლიანებს
ეშმაკი შინ და გარეთა.

მღვდელმონოზონი
გიორგი (ოდიუვილი)

* * *

ნუ დამაძინებ უფალო, ძილშიც მამყოფე მღვიძარე,
სხვათა მაგიერ ტანჯვისა ისევ მე მომეც სიმწარე,
მოყვრისაც, მტრისაც მე ვზიდო ვარამით სავსე გულები,
შენ გულო, ფარად დამიდეგ, სულო, ნუ გამიხუნდები,
ჩემზედ მოღვარე, მოხეთქე ცოდვილთა ცოდვის ღვარები...
ე მაშინ ვიგრძნობ სიცოცხლეს, ტანჯვით რო დავიღალები.

* * *

ვიტყვი გულკვნესით, ჯანმკვდარი —
კარგ ყმანი სად არიანო,
ეგრე უჩქამოდ რადა სჩინს,
რად ყუჩობს სადარიალო...
რაად არ ჰყეფენ მყეფარნი,
დღენო, ვაგლახ, არ ჰყივითა,
სად მიხოლთ მთანო მძინარნო
დაღმა დაშლილის ტივითა,
ნუთუ ჯან გმტყუვნობს, ამირან,
ჯაჭვში არ მავდევს ძალია,
გაკვნიტე, კბილით გაღეჭე,
ერთ კიდავ შაინძარია.

სამშვილდე



ხუთეხუსი ღიაკონებს

კურთხევანი

არქიმანდრიტ ზოსიმეს სიტყვა

ეპისკოპოსი ზოსიმე (ერობაში შოთა გიორგის ძე შიოშვილი) დაიბადა 1951 წლის 21 ივლისს (3 აგვისტოს), თბილისში, მუშის ოჯახში, ეროვნებით ქართველია.

1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1969 წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სატრანსპორტო ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა არმიის რიგებში გაწვევამდე. დემობილიზაციის შემდეგ ინსტიტუტში აღარ დაბრუნებულა და 1974 წელს შევიდა მცხეთის სასულიერო სემინარიაში. ამავე წლის ოქტომბრიდან ასრულებდა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის კანცელარიის მდივნის მოვალეობას.

1975 წლის 6 (13) ივლისს — სულთმოფენობას და 14 (21) ივლისს — სულთმოფენობიდან მეორე კვირიაკეს მოხდა მისი კურთხევა-ხელთდასხმა იპპო-დიაკონად და შემდეგ მთავარ-დიაკონად სიონის საკათედრო ტაძარში.

1977 წლის მაისში დაასრულა მცხეთის სასულიერო სემინარიის სრული კურსი. ამავე წლის 20 ივნისს (3 ივლისს) პეტრე-პავლობას სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დაინიშნა მღვდლად. მიმდინარე წლის 1 (14) ოქტომბერს კი სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე აღყვანილ იქნა ეპისკოპოსის ხარისხში.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდო მამამთავარო! ყოველად სამღვდელო-მღვდელმთავარნო, წმიდა მამანო და ძმანო! ღვთის განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებით დღეს ჩვენ, უძველესი ქართული ეკლესიის შვილნი, კვლავ ვდღესასწაულობთ დიდ ეროვნულ დღესასწაულს — სვეტიცხოვლობას. ხარობს და ილხენს სრულიად საქართველო და მისი უძველესი ეკლესია. ზეციურ სიხარულს დაუსადგურებია სულში. დღეს ჩვენ ვიხსენებთ უფლის ხელთუქმნელი კვართის საქართველოში ჩამობრძანებას და მასთან თვით უფალი ღმერთის — იესო ქრისტეს ცხოველმყოფელი მადლის შემოსვლას, — ჩვეხ სულებსა და გულებში დამკვიდრებას, ჩვენი ერის აღორძინებასა და განახლებას. ამ სიხარულსა და პატივისა განწყობას კიდევ უფრო აძლიერებს ქრისტეს ეკლესიის ახალი მწყემსის, ახალი ეპისკოპოსის დადგინება. მნიშვნელოვანია დღევანდელი დღე საქართველოს ეკლესიის ყოველი წევრისათვის, მაგრამ განსაკუთრებული იგი მაინც ჩემთვისაა. ამ დიდი სიხარულისა და პატივის მიზეზი თქვენმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ და ქართული ეკლესიის წმიდა სინოდმა მე მარგუნა. შიში და ძრწოლა მიპყრობს, როცა კი წარმოვიდგენ, რა დიდი მსახურებისაკენ მომიწოდებს დღეს წმიდა ეკლესია. მღელვარებას მიორკეცებს საკუთარი სისუსტისა და უმწეობის განცდა და იმის ერთხელ კიდევ შეგნება, თუ რა მძიმეა გადარჩენა საკუთარი სულისა და მით უფრო, როგორი მძიმე იქნება ზრუნვა სხვათა გადასარჩენად. მაგრამ ამ შიშს იმედიც ახლავს, იმედი ღვთისა და თქვენი უწმიდესობის შეწევნისა, იმედი ჩვენი სულიერი ძმების თანადგომისა. ამ იმედითა და სასოებით აღვსილმა მინდა გავბედო და ძთელი ქართველი ერის წიხაშე განვაცხადო, რომ მხოლოდ თქვენი დახმარებით, მხოლოდ თქვენი მამობრივი მზრუნველობითა და თანადგომით ვბედავ იმ დიდი უღლის მოდგომას, რომელსაც ქრისტეს ეკლესიის მწყსობა ჰქვია. თქვენ ბევრს დაულოცეთ გზა ეკლესიაში. თქვენ ბევრს განაცდევინეთ სიხარული ენით აუწერელი. თქვენ ბევრს გაუწოდეთ დახმარების ხელი და შეასწავლეთ ცხოვრება ქრისტიანული და აძაღლებული. თქვეხით დავძლიეთ წინააღმდეგობანი და განსაცდელნი. ამიტომ გვწამს მეუფეო წმიდაო, მხოლოდ თქვეხი ლოცვითა და კურთხევით უხდა ვიაროთ ძოძავალიიც.

საყვარელნო ძმანო, ჩემთვის ამ მეტად მნიშვნელოვან წუთებში მინდა ძალზედ თბილი და უსათუოესი რამ გითხრათ, რომ გამოვხატო ულრმესი მადლობა იმ დიდი ნდობისა და პატივისათვის, ჩემი უღირსების ძიმართ რომ გამოიჩინეთ. მაგრამ სამწუხაროდ, როცა ძალზედ ძვირფასის თქმა გინდა კაცს, ეხა ყოველთვის გებმის. დიდ სიხარულს კი ისევე სჭირდება გაზიარება, როგორც მომეტებულ წუხილსა და სევდას. მეც მინდა როგორმე გამოვხატო ეს სიხარული, მინდა გაგათბოთ და გაგახაროთ და ამიტომ ისევ უწმიდეს ანგელოსთა სიტყვებით მოგმართავთ: — გიხაროდეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კალთას ამოფარებულნო! გიხაროდეთ ქრისტეს სარწმუნოები-

სათვის თავდადებულნო მხედარნო! გიხაროდეთ წმიდა ანდრია და სვიმონ მოციქულთა საქმის გამგრძელებელნო! გიხაროდეთ წმიდა ნინოს მიერ ნაქადაგები სჯულის შემყვარებელნო! გიხაროდეთ ქართველთა, ვითარცა ცხოვართა უმეცართა შემკრებნო!

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! გუშინ, როცა თქვენ სამღვდელმთავრო რჩევა-დარიგებებს მაძლევდით, ბრძანეთ: შენი ნამდვილი ეკლესიური მოღვაწეობა ახლა იწყებაო. თქვენმა ნათქვამმა დიდად ჩამაფიქრა და მიმახვედრა, რომ ჭეშმარიტად ეხლა უნდა დაიწყოს ჩემი ნამდვილი ეკლესიური ცხოვრება, — ისეთი მოღვაწეობა, როგორითაც იღვაწეს ქრისტეს მოციქულებმა და მათმა მიმდევრებმა, რითაც განივრცო ქვეყნად სჯული ქრისტიანული და მიენიჭა ცოდვით დამაშვრალ ადამიანებს შვება და ბედნიერება დაუსრულებელი. ამიტომ ჩემი უღირსების მღვდელმთავრის ხარისხში აღყვანებას ვიღებ არა როგორც ჯილდოსა და განდიდებას, არამედ, როგორც ღვთისაგან ნაკურთხ, თუმცა მეტად მძიმე, მაგრამ საპატიო ტვირთს, სამღვდელმთავრო მოღვაწეობას ვიღებ, როგორც უფალი ღმერთისაკენ სამწყსოს მიმყვანებელ გზას.

ერთხელ კიდევ მოვახსენებ უღრმეს მადლობას თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას ჩემდამი გაღებული ნდობისა და პატივისცემისათვის. ასევე, დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ყოვლად სამღვდელო მღვდელმთავრებს იმ დიდი სიყვარულისა და თანადგომისათვის, რომელსაც მუდამ ვგრძნობდი მათგან. მადლობას მოვახსენებ ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი ერთობლივი სიხარული და აღმაფრენა.

დასასრულ, მინდა თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წინაშე, და თქვენი სახით, მთელი ქართველი მორწმუნე საზოგადოების წინაშე მოვიდრიკო მუხლი და გთხოვოთ: ლოცვა ჰყოთ ჩემთვის, ჩემი სულის გადარჩენისათვის, ღვთის მადლით განძლიერებისა და აღორძინებისათვის, მშობლიური ქართული ეკლესიის წინსვლისა და გამარჯვებისათვის. ამინ!

• • •

ეპისკოპოსი კალისტრატე (შოთა ილიას ძე მარგალიტაშვილი) დაიბადა 1938 წლის 20 ოქტომბერს, თელავის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, გლეხის ოჯახში.

1958 წელს დაამთავრა თელავის V საშუალო სკოლა. იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე. ძირითადად სამშენებლო უბნებზე, 1975 წელს შევიდა თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიაფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1980 წელს.

1982 წლიდან ბეთანიის მონასტრის მორჩილია. ამავე წელს აღიკვეცა ბერად, 24 მარტს (7 აპრილს) აკურთხეს დიაკონად, ამავე წლის 3 (15) აპრილიდან დაინიშნა საქართველოს საპატრიარქოს მშენებლობა-მომარაგების უფროსად. 20 ივლისს (2 აგვისტოს) აკურთხეს მღვდელ-მონოზონად. შემდეგ აღიყვანეს იღუმენის ხარისხში, 1983 წლის აპრილიდან დაინიშნა ალავერდის ჯვართამაღლების სახელობის ტაძრის წინამძღვრად. 12 (25) სექტემბრიდან აკურთხეს არქიმანდრიტად. რის შემდგომაც 12 (25) დეკემბერს აკურთხეს ეპისკოპოსად და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II და წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით დაინიშნა ქუთათელ-გენათის ეპარქიის მმართველად.



არქიმანდრიტ კალისტრატეს სიტყვა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო...

წმიდანო მღვდელმთავარნო იბერიის ეკლესიისანო...

წმიდანო მამანო და სამონოზნო წესნო...

მორწმუნენო...

დღეს დიდი ღვთიური სიხარულია ჩემს გულში, რომელიც მთლიანად შეიწირა განგების ძალამ და მომიწოდა მღვდელმთავრად საქართველოს უძველესი — ქუთათელ-გენათელი ეპარქიისა.

მუხლს ვიდრეკ შემოქმედის წინაშე და ხმამაღლა აღმოვსთქვამ: „მწამხარ შენ უფალო და აღგიარებ!"

ადრეც მუდამ ვგრძნობდი, განგების თვალი არ მტოვებდა მე. ჩემი დღევანდელი ეპისკოპოსად გამორჩევაც ამას ადასტურებს. ამით იმის თქმა მსურს, რომ დროისა და სივრცის ბატონ-პატრონი არის შემოქმედი. მისი ყურადღების ცენტრშია ყოველივე, როგორც ხილული, ისე უხილავი.

წმიდა მოციქული პავლე ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში (თავი 5, მუხლი 4) ბრძანებს: „და არავინ თავით თჳსით მოიღოს პატივი, არამედ რომელი წოდებულ არნ ღმრთისა მიერ, ვითარცა-იგი აჰრონ".

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! დიდია ღვთის ძალა, რომელმაც თქვენი წმიდა ლოცვით სამარადისოდ გულში ჩამახუტა საქართველოს სამოციქულო დედა ეკლესიას. ვიცი, ფრიად ძნელია ეს სამსახური, — ვუძღვე უძველეს, მდიდარი ტრადიციების მქონე ჩვენს სამწყსოს, მაგრამ ღვთის მადლი და ძალა, ღვთის შეწევნა და თქვენი წმიდა ლოცვა შემაძლებინებს ამ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს.

დამლოცეთ თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, რათა ღვთის შეწევნითა და მადლით კეთილად ვემსახურო წმიდა ეკლესიას, რომ ჩემმა მსახურებამ კეთილი ნაყოფი გამოიღოს.

დღეს დიდი დღესასწაულია.

დღევანდელ დღეს წმიდა ეკლესია აღასრულებს ღირსთა მამათა — სპირიდონ საკვირველმოქმედისა და იოანე ზედაზნელის ხსენებას...

შევსთხოვ დედას ღვთისას, კვლავაც მოჰხედოს და გადააფაროს თავის წილხვედრ ქვეყანას მოწყალებისა და სათნოების კალთა... მოჰმადლოს ჩვენს მამამთავარს დიდი ხნის ჯანმრთელი და ნაყოფიერი შემოქმედებითი სიცოცხლე.

გმადლობ შენ უფალო, შენდამი არს გალობა ჩემი მარადის, ამინ!

კურთხეულ იყოს

დადგა დრო, როცა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, უძველეს, დამოუკიდებელ, სამოციქულო ეკლესიას საშუალება მიეცა გამოსცეს თავისი ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი.

საინფორმაციო ბიულეტენის მიზანია თანამიმდევრულად გააცნოს უცხოელ მკითხველს საქართველოს ეკლესიის საგარეო და საშინაო საქმიანობა. მასში ფართო ადგილი დაეთმობა ინფორმაციების გაცვლას სხვა ეკლესიების პატრიარქებთან, მამამთავრებთან და რელიგიურ ცენტრებთან, აგრეთვე, ურთიერთვიზიტებსა და პილიგრიმთა მოგზაურობებს.

ბიულეტენში ინფორმირებული იქნება ეკუმენური საკითხები — საქართველოს ეკლესიის კავშირი მართლმადიდებელ და არა მართლმადიდებელ ეკლესიებთან, მისი მონაწილეობა დიალოგებსა და რელიგიურ ფორუმებში.

საინფორმაციო ბიულეტენში განხილული იქნება, აგრეთვე, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის დადგენილებები, კურთხევანი, დაჯილდოებები და საშინაო ცხოვრების სხვა საინტერესო მხარეები.

თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა მშვიდობის საკითხი. განა შეიძლება დღევანდელ პირობებში ეკლესია მხოლოდ მაყურებლის როლში იყოს და არ აღიმაღლოს ხმა მშვიდობის დასაცავად?

ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამჟამ მშვიდობის სადარაჯოზე იდგა, ასე იქნება მომავალშიც და ყოველივე ეს ასახვას ჰპოვებს ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენში.

საინფორმაციო ბიულეტენის რედაქტორია დიაკონი მიხეილ თარხნიშვილი.

13(26) სექტემბერი — ჯვართამაღლება

13 (26) სექტემბერი.

წინადღე პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარის ამაღლებისა. ხსენება დიდმოწამე ქეთევანისა — კახეთის დედოფლისა.

ამ დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II კახეთს გაემგზავრა სადღესასწაულოდ ჯვართამაღლებისა...

საღამოს ალავერდის ტაძარში შედგა ლოცვა.

ლოცვას მის უწმიდესობასთან ერთად უძღვებოდნენ ალავერდელი მიტროპოლიტი გრიგოლი, ურბნელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, მანგლელი მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ბოდბელი მთავარეპისკოპოსი ათანასე...

ამ დღეს ალავერდი მასპინძლობდა მის უწმიდესობას, მასპინძლობდა თბილისიდან და საქართველოს სხვა ადგილებიდან აქ მოსულ მლოცველებს. ალავერდში ამ დღეს უფლის რჩეული ერის ცხელი სუნთქვა იგრძნობოდა.

წესისამებრ წარიმართა დღესასწაული... თავად წირვა მისი უწმიდესობისა, "სასულიეროთა ღაღადისი, მორწმუნეთა ვედრება ღვთისადმი და ტაძარში შემთხვევით შემოსულთა გარინდებაც... შეკრულიყო ერთ მთლიან განცდად. ეს განცდა იყო საჩინო, წარუვალი, მაგრამ მაინც გამოუთქმელი. გულში ჩასამარხი.

შეუდარებელი იყო ქართული ეკლესიის მამამთავარი — ჯვართამაღლებელი.

არა თუ თვალით, გონების თვალითაც, სულისა და გულის სიღრმიდანაც ვერ სწვდება ადამიანი ალავერდის ჯვართამაღლებას.

უწმიდესმა კმაყოფილებით აღნიშნა, ტაძარში დღეს ქართული გალობა ისმისო. მგალობელთა გუნდს დღეიდან წმ. მოწამე დედოფლის სახელი — ქეთევანი ეწოდოსო.

საღამოს უწმიდესმა და უნეტარესმა ილიამ ალავერდელის სარკოფაგთან შეასრულა პარაკლისი. გულმხურვალედ შეევედრა მას საქართველო, ქართველი ერი.

●

ბათუმში დასრულდა ახალი ეკლესიის მშენებლობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა მთავარეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა)... მოწესრიგდა ინტერიერი... მალე დაიწყება მოხატვა... ეკლესია აკურთხა ბათუმ-შემოქმედელმა მიტროპოლიტმა შიომ (ავალიშვილი), რის შემდგომ უკვე რამდენიმე თვეა იქ მიმდინარეობს წირვა-ლოცვა... ეკლესია წმ. სამების სახელობისაა.

●

მთავრდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის დიდუბის ეკლესიის მოხატვა. ფრესკების ავტორია ა. ბანძელაძე.

●

უკვე სამი წელია სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობს სიონის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში. აშენებულია სამხრეთი და დასავლეთი პორტალები. იხვეწება ტაძრის ექსტერიერი (მოგეხსენებათ, VI საუკუნიდან მოყოლებული, იგი გარეშე მტერთა შემოსევების გამო მრავალჯერ იყო დანგრეული, კვლავ აღდგენილი და შეკეთებული). რაც შეეხება ინტერიერს, მხატვარმა ლ. ცუცქირიძემ უკვე დაიწყო მისი სამხრეთი კედლის მოხატვა. მიმდინარეობს სამუშაოები ტაძრის გათბობა-ვენტილაციისა და ელექტრო-რადიოფიცირებისათვის.

●

ოდითგანვე ქართველი კაცის წელმაგრობის ერთ-ერთი საფუძველი ფუტკარი იყო. ეს მართლაც ღვთაებრივი მწერი, უკეთუ ზრუნვას არ მოაკლებ, უხვად იძლევა საზრდელს ჩვენი სულისა და სხეულისათვის — სანთელს, თაფლს.

და აი, აპრილის დასაწყისში მარტყოფში საპატრიარქოს ნაკვეთში საფუძველი ჩაეყარა მეფუტკრეობას.

„...ფუტკარიცა საყოფელსა მას წმიდასა და ფართოებასა, ეძიებს, რაჲთამცა ქმნა მას შინა სიტკბოებაჲ ნაყოფთაჲ მათ მისთაჲ და გან-მცა-ავხო იგი თაფლითა და რაჟამს არა პოვის სადგური იგი, ვითარცა მას ჰნებავნ, მოიძულვის ადგილი იგი და მოიძაგის ნაშრომიცა იგი, მერმე კუალად გამოვიდის და ივლტინ იგი და ეძიებნ სხუასა ადგილსა“. (იოანე ბოლნელი).



იყალთოს აკადემია რესტავრაციის შემდეგ XI—XII სს.

პეტრიწონი. დედა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ქართული ხატი

ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ

პეტრიწონის მონასტრის 900 წელი

„საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი აქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე“.

ივანე ჯავახიშვილი

საზღვარგარეთ არსებულ ქართულ მონასტრებს შორის, რომელთაც ღრმა კვალი დააჩნიეს გასული საუკუნეების ქართულ აზროვნებასა და საერთოდ, საეკლესიო ცხოვრებას, თვისი ღირსეული ადგილი უჭირავს ბულგარეთის მიწაზე აშენებულ პეტრიწონ-ბაჩკოვოს ქართველთა მონასტერს.

ქართულმა ეკლესიამ, ქართველმა საზოგადოებამ, ისევე როგორც მოძმე ბულგარელმა ხალხმა, მიმდინარე წელს ზეიმით აღნიშნა ამ მონასტრის 900 წლის იუბილე. იგი 1083 წელს ააშენა ტაოელმა ქართველმა დიდებულმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, რომელსაც დიდი და საპატიო თანამდებობა ეპყრა ბიზანტიის იმპერიაში. გრიგოლ ბაკურიანის ძე იყო საკეისროს დასავლეთ ნაწილის დომესტიკოსი, ანუ მთავარსარდალი, ამირსპასალარი. იგი ერთგულად ემსახურებოდა საბერძნეთს, რომლის ფარგლებშიც შედიოდა მაშინ, როგორც ტაო, საქართველოდან მოწყვეტილი მე-11 საუკუნის დასაწყისში ვასილი II მიერ (976—1025), ისე ბულგარეთი, რომელიც იმავე ვასილი II დაიპყრო, დამოუკიდებლობა წაართვა და თავის საბრძანებელს შეუერთა. გრიგოლი აღნიშნავს, რომ ბევრჯერ დაუღვრია სისხლი მას და მასთან ერთად მისიანებს (ე. ი. ტაოელ ქართველებს) საბერძნეთის „სარგებლისა და მსახურებისათვის“. არ იქნება ტყუილიო, ამბობს გრიგოლი, თუ ვიტყვით, რომ ძალიან ცოტა ჩვენგანი მომკვდარა თავის სარეცელზე მშვიდობით, უმეტესობა კი საბერძნეთის მტერთან არის დახოცილი ბრძოლებშიო. საქმე იქამდისაც მისულა, რომ თვითონ მე და ჩემთან ერთად არა მცირედი ჩემი ერი ტყვედ ჩავცვივნულვართ საბერძნეთის მტრების ხელში. ამასთანავე, გრიგოლი დიდის თავმოწონებით მოგვითხრობს თავის ბრწყინვალე გამარჯვებას პაჭანიკებზე. ეს გამარჯვება დიდხანს დარჩება სასიხარულო მოგონებად ჩემი სიკვდილის შემდეგაც ხალხშიო (2, 18).

იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც გრიგოლსა და მის თანამემამულეთ მიუძღოდათ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრების თავგანწირულ დაცვაში, იმპერატორებმა მას დაუმტკიცეს ოქრობეჭდულით სოფელი პეტრიწი, სადაც გრიგოლმა როგორც მიღებული იყო ბიზანტიის დიდმოხელეთა და დიდებულთა შორის, მოხუცებულობაში, 1083 წელს, ააშენა მონასტერი, თავისი და თავისი საყვარელი ძმის აბაზის ძვლების განსასვენებლად და უზრუნველყო იგი უძრავ-მოძრავი ქონებითა და ყოველივე სახმარით. მთავარი ტაძარი მონასტრისა აშენებული იყო ღვთისმშობლის მიძინების, ხოლო სხვა ორი პატარა — იოანე ნათლისმცემლისა და წმიდა მთავარმოწამე გიორგის სახელზე.

გრიგოლ ბაკურიანის-ძემ შესანიშნავად მოაწყო თავისი დაარსებული მონასტერი. აუგო ერთი სასნეულო, და სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას, შესწირა სოფლები გლეხებითურთ, ციხე-ქალაქები, საძოვრები, ზვრები, სათევზაო ტბა, წისქვილი და ბევრი სხვა რამ და ეკონომიურად სავსებით უზრუნველყო. ასევე, გრიგოლმა მონასტერს შესწირა საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, სამოსელი და დაუწერა ტიპიკონი, ანუ წესდება, რომელიც თვისი ხელისმოწერით დაუმტკიცა. წესდებაზე ხელი მოაწერინა, აგრეთვე, იერუსალიმის პატრიარქს ეფთვიმეს, რომელიც საზავო საქმეებზე იყო მიწვეული ალექსი მეფის მიერ თესალონიკში ომიანობის გამო. იგი იერუსალიმს გაბრუნებისას გრიგოლ ბაკურიანის-ძეს სტუმრად მიუწვევია თავის ფილიპოპოლის სასახლეში.

გრიგოლმა მონასტერს დაუარსა სკოლაც, რომლის შესახებ, წესდების 31-ე მუხლში ნათქვამია: „დაგვიდგენია, რათა უწვერულვაშო ბავშვები მოთავსებულ იქმნენ წმიდა ნიკოლოზის მონასტერში, მახლობლად ციხისა, სადაც მთ აჭმევენ, ასმევენ და ერთი ვინმე მოხუცებული მღვდელთაგანი, სავსე სათნოებითა და ცოდნითა, უხელმძღვანელებს და ასწავლის საღმრთო წერილს... ამ მოხუცებულ მღვდელს უნდა ჰყავდეს არა ნაკლებ ექვსი ბავშვისა, რომელთაც დიდი მონასტერი მისცემს საზრდოსა და ტანსაცმელს. ისინი უნდა დარჩნენ იქ, სანამ სრულიად არ გაიწვრთნებიან და სამღვდელო ხარისხისათვის არ მოემზადებიან. როდესაც წამოიზრდებიან და წვერს მოუშვებენ, ღირსი მღვდლობისა უნდა განწესებულ იქნეს მღვდელმოქმედად მონასტერში, ხოლო რომელნიც მღვდლობის ღირსად არ აღმოჩნდებიან, ისინი სრულიად გაძევებულ უნდა იქნენ (სკოლიდან), თუმცა ექვსზე ნაკლები მოწაფე აქ არასოდეს არ უნდა იყოს“. ვინაიდან ეს სკოლა ამზადებდა მღვდლებს

წმიდა გიორგი
მხატვ. ლევან ცუცქირიძე

მისი უნეტარესობა პაპი და პატრიარქი ალექსანდრიისა და სრულიად აფრი-
კისა ნ ი კ ო ლ ო ზ VI საქართველოს ეკლესიის სტუმარი

მონასტრისათვის, რომელშიც შესვლა და სწავლა მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვინც ქართული ენა და ქართული წერა-კითხვა იცოდა, ცხადია, სწავლაც ქართულ ენაზე იყო. ხოლო როგორი დონისა იყო ეს სწავლა, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ თუნდაც იმითაც, რომ აქ მოღვაწეობდა ისეთი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ფილოსოფოსი, როგორიცაა იოანე პეტრიწი. იგი იყო ამ სკოლისა თუ სემინარიის პირველი რექტორი. მონასტერი სხვათაგან შეუვალი, თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო. აღსანიშნავია, რომ წესდების 24-ე თავის თანახმად, გრიგოლმა აუკრძალა ბერძნებს მონასტერში დამკვიდრება, გარდა ერთი მწერლისა, რომელსაც მიწერ-მოწერა უნდა ეწარმოებინა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. მას ეშინოდა, ვაითუ მათ ხელთ იგდონ ქართველთა სავანეო. როგორც დროთა ვითარებამ დაადასტურა, ეს შიში უსაფუძვლო არ იყო.

მონასტერში მოღვაწე მამები მხოლოდ ქართველები ყოფილან, ამიტომ წესდება დაიწერა ორ ენაზე — ქართულად და ბერძნულად. ბერძნული ტექსტი დაწერეს ორ ცალად, რომელთაგან ერთი ყოველი შემთხვევისათვის, შეინახეს კონსტანტინოპოლში წმ. პანაღიის მონასტრის წიგნთსაცავში, მაგრამ ამ მეორე ცალს ჩვენამდე არ მოუღწევია. წესდების ქართულ-ბერძნული ხელნაწერი ინახებოდა თვით პეტრიწონში, მაგრამ წარსულ საუკუნეებში, როცა ბულგარეთი გათავისუფლდა თურქთა ბატონობისაგან და დაისვა საკითხი, თუ ვის ხელში უნდა გადასულიყო პეტრიწონის მონასტერი, სადაც ქართველების ნაცვლად, წინააღმდეგ მისი დამაარსებლის სურვილისა, კაი ხანია მოკალათებულნი იყვნენ ბერძნები, ეს ხელნაწერი მონასტრიდან გაქრა. გაქრა იმიტომ, რომ ტიპიკონი სადაო საკითხს ერთბაშად ბულგარელების სასარგებლოდ გადაწყვეტდა და არ გამოაჩინეს. იგი გადაუციათ კორაისის სახელობის ბიბლიოთეკისათვის კუნძულ ხიოსზე. ამ ფაქტმა კი ბევრი გაუგებრობა გამოიწვია. პეტრიწონის მონასტერი ზოგიერთმა მეცნიერმა სომხების აშენებულად მიიჩნია და ის, რაც ასე თვალნათელი უნდა ყოფილიყო, კარგა ხანს, ვიდრე საბოლოოდ ხიოსის ქართული ხელნაწერი არ აღმოჩნდებოდა, სადაო იყო.

ქართული ხელნაწერი, მაშინაც, როცა იგი ჯერ კიდევ პეტრიწონში იყო, დაუმალავთ გ. მუსეოსისთვის, რომელსაც აინტერესებდა გრიგოლ ბაკურიანის ძის ცხოვრება და მოღვაწეობა. არ გამოუჩენიათ ძველი ტექსტი. მას ხელთ ჰქონია ახალ ბერძნულ ენაზე მე-18 საუკუნეში ნათარგმნი და მკვლევარი იძულებული გამხდარა ტექსტი ამ ახალი თარგმანის მიხედვით გამოეცა.

შემდეგ ბუქარესტის ხელნაწერთა ერთ კოლექციაში აღმოჩნდა ძველი ტექსტიდან მე-18 საუკუნეში გაკეთებული პირი, რომელიც 1904 წელს ფრანგმა ლუი პეტიტმა რუსეთის ბიზანტისტთა ორგანოში დამატებად გამოსცა. ამის შემდეგ ეს ბერძნული ტექსტი ყოველმხრივი შესწავლის საგანი გახდა.

რაკი გრიგოლ ბაკურიანის-ძე დიდი თანამდებობის პირი იყო საბერძნეთში, მის შესახებ ცნობები ბერძნულ წერილობით წყაროებშიც მოიპოვება, მოიპოვება ანა კომნინის „ალექსიადაშიც“, სადაც მას უბრალოდ ბაკურიანი ეწოდება. ანა იყო მეფის ალექსი კომნინოსის (კომნიანოსის) ასული, რომელიც სწორედ იმ წელს დაიბადა, როცა გრიგოლმა დააარსა თავისი მონასტერი. ამ ალექსი კომნენოსის ტახტზე ასვლას და გამეფებას ხელი შეუწყო გრიგოლ ბაკურიანის-ძემაც. ანამ თავისი მამის მოღვაწეობა ვრცლად აღწერა. წიგნში ბევრ პირს შეეხო და სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ბაკურიანი დაბალი ტანის კაცი იყო, მაგრამ გულადი მეომარი და წარმოშობით იყო სომეხთა ბრწყინვალე გვარიდანო. არავინ დაეჭვებულა, რომ ანას შეიძლება შეცდომა მოსვლოდა. ამიტომ მისი ცნობა სხვადასხვა გამოკვლევაში გადავიდა, მათ შორის, აკადემიკოს თ. უსპენსკის ნაშრომში. მუსეოსი რომ შესდგომია პეტრიწონის ტიპიკონის გამოცემას ახალ ბერძნულ ენაზე, გაოცებულა, როცა შიგ ამოუკითხავს, რომ დიდი დომესტიკოსი გრიგოლი თავის თავს ქართველს ეძახის. გაოცებულა მით უმეტეს, რომ ტიპიკონის ბერძნული ტექსტის თანახმად, წესდება სომხურადაც დაიწერა და ხელიც სომხურად მოაწერა მას მონასტრის დამფუძნებელმა. ბერძენი მკვლევარი ვეღარ გარკვეულა, ქართველი იყო გრიგოლი თუ სომეხი. სამაგიეროდ 1904 წ. პეტიტმა დაბეჭდა ძველი ბერძნული ტექსტი (ბუქარესტი) გვიანდელი გადანაწერის მიხედვით. მან აღნიშნა: ანა კომნინი რასაც ამბობს გრიგოლის შესახებ, ყველაფერი მართალია, გარდა იმისა, თითქო იგი სომეხი იყო წარმოშობითო. ბაკურიანის სამშობლო, გვამცნობს ტიპიკონის დასაწყისში, იყო არა სომხეთი, არამედ საქართველო, იგი იყო ქართველთა უბრწყინვალესი გვარიდან. მისი მამა ბაკურიანი იყო ერისთავთერისთავიო. ცოტა ქვემოთ. პეტიტი ამბობს: გრიგოლს თავი მოაქვს, რომ არ დაუზოგავს შრომა, თავისი სისხლიც კი, სახელმწიფოს სამსახურში. მაგრამ ის დარჩა გულით ქართველი, მხურვალე პატრიოტი, თითქმის ფანატიკოსიო.

ამის შემდეგ გავიდა ერთი წელი და, ნიკო მარმა ბიზანტიონისტთა ორგანოში გამოაქვეყნა გამოკვლევა, სადაც ის აზრი გაატარა, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძე სომეხი იყო, მაგრამ მართლმადიდებელი ქალკედონიტი, მიმდევარი იმ მსოფლიო კრების დადგენილებათა, რომელიც 451 წელს შედგა ქალკედონში, კონსტანტინეპოლის ახლოს. ამ მსოფლიო კრებაზე, როგორც ცნობილია, ქრისტოლოგიური საკითხები ირჩეოდა და გაიმარჯვეს დიოფიზიტებმა, ე. ი. იმ მიმართულებამ, რომელიც ქრისტეში ორ ბუნებას სცნობდა — ღვთაებრივსა და კაცებრივს. სომეხთა ეკლესიის წარმომადგენლები ამ კრებაზე არც ყოფილან. მაგრამ ხომხებში მაინც ერივნენ დიოფიზიტები და აი, ნიკო მარი ამბობდა, ასეთი იყო გრიგოლ ბაკურიანის ძეცო.

გრიგოლ ბაკურიანის ძე რომ ნამდვილად ქართველი იყო, ამის შესახებ ცნობას გრიგოლის უმცროსი თანამედროვე სომეხი ისტორიკოსი მათეოზ ურჰაელიც (ანუ მათე ედესელი) გვაწვდის. იგი წერს: იგია „ვრაცი აზგავ“ ე. ი. ტომით ქართველიო.

ყოველივე ამის გამო ბუნებრივია, განსაკუთრებით გაიზარდა ქართველ მეცნიერთა ინტერესი პეტრიწონ-ბაჩკოვის მონასტრის მიმართ. 1949 წელს კი მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიცია ბულგარეთში. ექსპედიციაში შედიოდნენ აკადემიკოსები აკაკი შანიძე, ნიკო ბერძენიშვილი და დოცენტი ოთარ გოგინეიშვილი.

ექსპედიციის ძირითადი მიზანი იყო პეტრიწონის ქართულ სიძველეთა გამოძიება, გამორკვევა და შესწავლა.

სამწუხაროდ, გრიგოლის დროინდელი თითქმის არაფერი უნახავს ამ ექსპედიციას, გარდა ერთი შენობისა, რომლის ზემო სართული ეკლესიაა, ქვემოთ კი — საძვალე, სადაც გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეებია გამოხატული კედელზე. სამაგიეროდ, მთავარ ეკლესიაში აღმოჩნდა ქართული ხატი, გაჭედილი 1311 წ. ორი ტაოელი ძმის მიერ, ხოლო, სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ნახეს ორი პატარა ტანის ხელნაწერი, რომელიც დაბეჭდილ კატალოგში უცნობი შინაარსის სომხურ ხელნაწერად იხსენიებოდა. იგი პეტრიწონის მონასტრის წესდების ქართული ტექსტი აღმოჩნდა, რომელიც ძველი დედნიდან ასო-ასოდ და სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია ქართული ენისა და წერის უცოდინარ პირს. მასში ბევრი შეცდომაა, მაგრამ ეს მაინც დიდად გასახარელი ფაქტი იყო მაშინ. ეს ხელნაწერი ერთადერთი საბუთი იყო იმისა, რომ ტიპიკონის ქართულ ტექსტსაც მოუღწევია ჩვენამდე. ყურადღებას იქცევდა ცნობა, რომ ტიპიკონი დაიწერა ქართულად და ბერძნულად. ხელნაწერის მიკროფილმი, რომელიც სოფიის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დირექციამ ექსპედიციის წევრებს დაუთმო, თბილისში ჩამოტანეს. საჭიროა აღინიშნოს, რომ 1936 წელს სოფიაში ყოფნის დროს აქაური ქართული ხელნაწერი უნახავს არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძეს. მისთვის ძნელი არ იყო დადგენა, რომ ეს არის პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი, რომელიც შემდეგ (1954 წ.) მიხეილ თარხნიშვილმა გამოსცა და თან ლათინური თარგმანი დაურთო.

1951 წელს კი კუნძულ ხიოსზე აღმოჩნდა ხელნაწერი ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტი. ეს ცნობა გამოაქვეყნა სოფიის უნივერსიტეტის პროფესორმა ვსევოლოდ ნიკოლაევმა. ხელნაწერის ფოტოპირმა რამდენიმე წლის შემდეგ ჩამოაღწია საქართველოში. ხელნაწერში ჯერ ქართული ტექსტი ყოფილა მოთავსებული, შემდეგ ბერძნული და ორივე ერთ წიგნად შეკრული. იგი, როგორც აკადემიკოსი ა. შანიძე აღნიშნავს, დედანი არაა და მე-13 საუკუნის ძეგლია. სრულყოფილი სახით არც მას მოუღწევია. თუმცა, ცხადია მისი მნიშვნელობა გაცილებით დიდია, ვიდრე სოფიის ბიბლიოთეკაში არსებული ხელნაწერისა, რომელიც ამ ტექსტიდანაა გადაწერილი. იგი შედგენილია XI საუკუნეში და უსაზღვ-

როდ საინტერესოა, როგორც ქართველთა იმდროინდელი სამონასტრო ცხოვრების, ასევე ლიტერატურული ენისა თუ პოლიტიკურ-ეკონომიური ყოფის გასაცნობად.

აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ ღრმად შეისწავლა ტიპიკონის ჩვენამდე მოღწეული ყველა ქართულ-ბერძნული ტექსტი, ყველა გამოცემა და ერთმანეთთან შეაჯერა ისინი, შეისწავლა გრიგოლ ბაკურიანის ძის ხელის მოწერა, დაუთრთო ორთოგრაფიულ-გრამატიკული მიმოხილვა, ლექსიკონი, საკუთარ სახელთა საძიებელი... და 1971 წელს სათაურით: „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში", გამოსცა წიგნად. ესაა უაღრესად შრომატევადი, უძვირფასესი ნაშრომი, რომელსაც ვერასოდეს ვერავინ, ვინც პეტრიწონის მონასტრისა და მისი ტიპიკონის საკითხებითაა დაინტერესებული, გვერდს ვერ აუვლის.

პეტრიწონის მონასტერი დიდხანს ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი იყო, განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებში. ქართული სული აქ მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგამდისაც ტრიალებდა. „აქ ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ლიტერატურული სკოლა, რომელსაც „პეტრიწონულ სკოლას" უწოდებდნენ და რომელმაც ჩვენში შემოიტანა ელინოფილური მიმართულება. განსაკუთრებული ყურადღება ამ სკოლაში მიქცეული ჰქონდა განყენებული დოგმატიკური და ფილოსოფიური ხასიათის თხზულებების დამუშავებას, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის შექმნას. ამ სკოლამ შექმნა მთელი ეპოქა ჩვენს მწერლობაში, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო.

ხოლო, რაც შეეხება მის ყველაზე დიდ წარმომადგენელს, იოანე პეტრიწს, იგი იმდენად ღრმა, რთული და საინტერესო პიროვნებაა, ისე მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანია მისი აზროვნების არე, რომ თვით მისსავე სიცოცხლეში ლეგენდების მთელი ციკლი შექმნილა მისი პიროვნების შესახებ. ბიოგრაფიული ცნობები კი თითქმის არაფერი მოგვეპოვება; ვიცით, რომ იმ დროის საბერძნეთში, სადაც, როგორც ჩანს, მას სწავლა-განათლება მიუღია, მიქაელ ფსელოსსა და იოანე იტალთან ერთად (რომლებიც მისი მასწავლებლები იყვნენ), იგი იყო ნეოპლატონური ფილოსოფიური მოძრაობისა და ბიზანტიური რენესანსის ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, რის გამოც ოფიციალური წრეების მხრიდან დევნა-შევიწროება განუცდია... და სამშობლოში დაბრუნებულა... მაგრამ სამწერლო საქმიანობისთვის იმჟამად აქ არსებული აუტანელი პირობების გამო (1080 წ. დიდმა თურქობამ და მისმა მომდევნო მიწისძვრამ დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს, დანგრა და მოოხრდა ეკლესია-მონასტრები და ქალაქ-დაბა-სოფლები). იგი ისევ საბერძნეთს დაუბრუნდა. იქიდან კი ბულგარეთში გადავიდა და პეტრიწონის მონასტერში დამკვიდრდა, სადაც ოციოდე წელი დაჰყო. ესაა იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი და უკეთესი ხანა. ამიტომ საკვირველი არაა, რომ სწორედ ამ მონასტრისგან მიიღო მან პეტრიწის სახელწოდება. ღრმა, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი, ასევე უხვი და ფრიად მნიშვნელოვანია იოანე პეტრიწის მემკვიდრეობა. ფილოსოფია, ისტორია, ასკეტიზმი, ლიტურგიკა, აგიოგრაფია, გრამატიკა, ბიბლიოგრაფია, ჰიმნოგრაფია... მედიცინა... აი მის მიერ დანატოვარი, ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურის ძალზე არაზუსტი სია... მისი ნაზარევი ჯერ კიდევ თითქმის შეუსწავლელია... იგი თავის მკვლევარს ელის*.

• • •

როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ ბაკურიანის დროინდელი პეტრიწონის მონასტრის ტერიტორიაზე დღეისათვის ძალზე ცოტა რამაა შემორჩენილი... მაგრამ ეს ცოტა რამაც მიგვანიშნებს იმ შთაგონებულ სულზე, რომლითაც ჩვენს წინაპრებს ეს მონასტერი უშენებიათ.

---

* რედაქცია სავსებით ეთანხმება ამ აზრს. ამჯერად კი ჩვენს მიზანს არ შეადგენს იოანე პეტრიწის ღრმად ორიგინალური შემოქმედების ანალიზი. ჩვენ მომავალში არაერთხელ დავუბრუნდებით იოანე პეტრიწის საკითხს... მის ნაწარმოებებს, საერთოდ მის პიროვნებას.

ყურადღებას იქცევს ორი ქართული წარწერა: ერთი, რომელიც ღვთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატზეა, მეორე კი მთავარი ტაძრის ერთ-ერთ თაღზე გამოხატული ჯვრის ქვემოთ. არსებობდა მესამე წარწერაც, მიძინების ტაძრის ფრესკაზე, მაგრამ იგი უკვე აღარაა. არსებობს ამ წარწერის მხოლოდ ასლი, რომელიც 1896 წელს დ. ლასკოვს გადმოუღია.

რაც შეეხება ღვთისმშობლის ხატს... მისი წარწერა კარგა ხანია ცნობილია. მის შესახებ ცნობას გვაწვდის ა. ცაგარელი, რომელიც მას უნახავს ჰ. სირკუს მიერ ბულგარეთში მოპოვებულ მასალებში.

ა. ცაგარელი წერს: „ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა წარწერა, რომელიც ქართველი ძმების ათანასესა და ოქროპირის (იოანეს) მიერ 1311 წელს პეტრიწონის ღვთისმშობლის ოქრო-ჭედურ ხატზე არისო."

როდესაც საქართველოს აკადემიის ექსპედიციის წევრები პეტრიწონში ჩავიდნენ, ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ვერცხლის ხატი ახალ ჭედურობაში იყო და მხოლოდ სათანადო ოსტატთა გამოხმობით შესძლეს მისი გახსნა. ხატის ფერწერა თუმცა დიდად დაზიანებული იყო, მაგრამ მისი დიდებულება მაინც ერთბაშად იგრძნობოდა.

წარწერა ვვამცნობს:

„მოიჭედა წმიდაჲ ესე ხატი ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა, ღმრთისმშობლისაჲ პეტრიწონს ორთა ჴორციელად ძმათა მიერ ტაოელთა ეგნატის შვილთა მოძღურისა ათანასის და ოქროპირისა პერპერითა რკე და წინაშე ხატისა საკანდლითა ვერცხლისაჲთა საბერძნეთს მეფობასა კეთილად მსახურთა მეფეთა ანდრონიკე, მიხაელ და ანდრონიკესსა პალეოლოღოს ძეთასა, ხოლო ქართლს კონსტანტინესსა და დიმიტრისსა ბაგრატიონთასა, დასაბამითგანთა წელთა ბერძულად ხყით, ხოლო ქართულად ხშიე.

წმიდაო ღმრთისმშობელო, შეიწირე მცირე ესე ძღუენი მათი და შეუნდევენ და მეოხ ეყავ მათ და მშობელთა მათთა დღესა მას დიდსა სასჯელისასა წინაშე ძისა შენისა და ღმრთისა ჩუენისა. ამინ, ამინ იყავენ, ამინ. ქრონიკონსა ფლა ინდიკტიონსა თ.

ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ სულნი მათნი, კაცთ მოყუარე, ამინ".

ასევე დიდად მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის ტაძრის თაღზე აღმართული ბჭინჯაოს მოოქროვილი ჯვრის წარწერა, რომელიც 1949 წელს ექსპედიციის წევრებმა (კერძოდ ო. გიგინეიშვილმა) ფოტოზე გადაიღეს... წარწერა სამი სიტყვისაგან შედგება. ესაა — ქართული ასომთავრული

„ძლევაჲ ჲესუს ქრისტესი"

აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ წარწერა XIV საუკუნით დაათარიღა.

არსებობდა კიდევ ერთი წარწერა. როგორც აღინიშნა, მისი ასლი ჯერ კიდევ 1896 წელს მიძინების ტაძრის ფრესკასთან ერთად გადმოუღია დ. ლასკოვს, მაგრამ ხელმეორედ ჩასვლის ჟამს, 1912 წელს, არც ფრესკა და არც წარწერა აღარ დახვედრია. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერა ქართულია და წმ. გიორგის სახელს უნდა აღნიშნავდესო. მართლაც, იგი ასე იკითხება:

„წმიდა გიორგი ქაშუეთისაჲ"

ესეც XIII—XIV საუკუნისა უნდა იყოს.

ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე)



გათხრები დონის მონასტერში

უკვე რამდენიმე ხანია, ქართველი საზოგადოების ყურადღებას იქცევს არქეოლოგიური გათხრები მოსკოვის დონის მონასტერში. იქ, სადაც თითქმის ორი საუკუნის წინათ სამშობლოდან იძულებისა და ტკივილის შეგრძნებით შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი ქართველი კაცის პირველი სამარხი გაიჭრა...

ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელია საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი გივი ღამბაშიძე, ოცდაათი კაცისგან შედგება: მუშაობენ არქეოლოგები, ისტორიკოსები, ანთროპოლოგები, მხატვრები, არქიტექტორები, ფოტოგრაფები, უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები.

გივი ღამბაშიძე გვამცნობს: ექსპედიციის შედგენისთანავე, მოსკოვში გამგზავრებამდე წინასწარ შევისწავლეთ დონის მონასტერზე არსებული წყაროთმცოდნეობითი მასალები და შევადგინეთ მოხსენებითი ბარათი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელზე, სადაც წამოვაყენეთ კონკრეტული წინადადებანი, რა უნდა გაკეთებულიყო. 14 აპრილს ექსპედიცია მოსკოვს ჩავიდა და მუშაობა დაიწყო. თან გვქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის, ჩვენი საკვლევი ცენტრის დირექტორის პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის სარეკომენდაციო ბარათები საკავშირო არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ბორის რიბაკოვის სახელზე. ამ ბარათებით ვითხოვდით, და მივიღეთ კიდეც, ე. წ. „ღია ფურცელი“, რამაც მოგვცა არქეოლოგიური გათხრების ჩატარების უფლება.

რთული ამოცანის წინაშე დავდექით. წყაროებით ვიცოდით, ვინ იყო დაკრძალული მონასტერში, მაგრამ მათი უმრავლესობის ზუსტი ადგილ-სამყოფელი მითითებული არსად იყო. ვხელმძღვანელობდით მე-18 საუკუნის I ნახევრის დონის მონასტრის მატიანით, იოსებ ტატიშვილის, გიორგი ლეონიძისა და არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის ჩანაწერებით. გვქონდა ასევე მე-18 საუკუნის ბოლოს შედგენილი მოსკოვის ისტორიულ ადგილთა გზამკვლევი, მე-19 საუკუნის 40-იანი წლების მასალა. გვეხმარებოდა ბორის ესაძის მიერ 1912 წელს შედგენილი ამ სამაროვანის აღწერა, სადაც მოცემულია ფოტოსურათები, რომელზეც ასახულია მირქმის ეკლესიის ინტერიერი და სამარხთა მიწისზედა ძეგლების ფოტოები. მაშინ საფლავებზე ჯერ კიდევ მდგარა ძეგლები თუ წარწერიანი ქვები. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ყველა ეს ცნობა მწირი იყო. რადგან ზუსტად განსაზღვრული არ იყო საფლავთა მდებარეობა, იძულებული გავხდით საფლავები გაგვეთხარა, დაკრძალულთა ვინაობა გაგვერკვია და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვედგა ძეგლები.

სულ 7 თვე ვმუშაობდეთ, 26 სამარხი გავთხარეთ. მოხდა ძირითად სამარხთა იდენტიფიკაცია.

აღმოჩნდა არჩილ II მეუღლის ქეთევანის, შვილების — მამუკას, დავითის, ალექსანდრესა და ქალიშვილის დარეჯანის სამარხები, ვახტანგ მეექვსის მეუღლის რუსუდანის საფლავი და მათი შვილების — ბაქარისა და გიორგის სამარხი — აკლდამები. ისეთი საფლავებიც აღმოვაჩინეთ, რომ არ ველოდით. მაგალითად, ვნახეთ გიორგი ბაგრატიონისა და მისი ქალიშვილის ანას მეუღლის — გენერალ ალექსი ბორისის ძე გოლიცინის საფლავი.

საფლავების იდენტიფიკაციას ვახდენდით სამი პოზიციის — არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი მონაცემების შეჯერება-შერწყმით. დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტი მეცნიერული პასუხები გვაქვს მიღებული. ზოგ საფლავს თვითონვე ჰქონდა წარწერა, მაგალითად, გიორგი ვახტანგის ძისა და გოლიცინისას.

საფლავები სავალალოდ გამოიყურებოდნენ. თვით აკლდამების უმრავლესობაც გაძარცვული იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მოპოვებულია ჩვენი ერისათვის რელიქვიური მნიშვნელობის მატერიალური კულტურის ძეგლები: ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგ-ნაქსოვი კუბოს გადასაფარებლები, ბაქარისა და გიორგის კაბა და მუნდირი, გიორგი ვახტანგის ძის ოქროს ეფესიანი დაშნა, ლითონის დეკორაციული ეპიტაფია, მის კუბოს რომ ამკობდა და აღნიშნავდა მის ვინაობას, გიორგისა და ბაქარის ჯილდოების — ანდრია პირველწოდებულისა და ალექსანდრე ნეველის ორდენის ვარსკვლავები. მნიშვნელოვანია კუბოს დეკორატიული სახელურები და ფირფიტები საინტერესო კომპოზიციური სიუჟეტებით ბიბლიურ თემებზე. აღსანიშნავია ვახტანგ მეექვსის მეუღლის რუსუდანის, ბაქარისა და ალექსანდრე არჩილის ძის მეუღლეების, ბაქარისა და გიორგის შთამომავალთა ოქროს, ბრილიანტისა და ხის გულსაკიდი ჯვრები. ბუნებრივია, ყველანი მოუთმენლად მოველოდით ვახუშტი ბატონიშვილის საფლავის აღმოჩენას...

— ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ვახუშტი ბაგრატიონი მირქმის ეკლესიის ჩრდილოეთის კარებთან უნდა ყოფილიყო დასაფლავებული. დასაწყისშივე მისი საფლავის ძებნას შევუდექით. კიდეც გამოჩნდა ჩრდილოეთის კედელთან რამდენიმე სამარხი, მაგრამ შევჩერდით, გვინდოდა ყოველნაირად შეგვესწავლა ეს ადგილი და დავრწმუნებულიყავით ჩვენს სიზუსტეში. ამ დროს აღმოჩნდა დოკუმენტი, რაც მიუთითებდა, რომ ჩვენს ნავარაუდევ ადგილზე ესვენა არა ვახუშტი, არამედ მისი ვაჟი, გენერალ-მაიორი იოათამი. ჩვენს ხელთ ამჟამად არავითარი წერილობითი საბუთი არაა, მის საფლავს რომ მიუთითებდეს დონის მონასტერში. მაგრამ გვაქვს ვარაუდი: ვიცით რა, რომ მირქმის ეკლესიის გარშემოსასვლელში არის მისი შვილების საფლავები, ეს გარკვეულ საფუძველს გვაძლევს მისი საფლავიც სადღაც აქ ვივარაუდოთ. მომავალი წლის სამუშაოები ან დაგვიდასტურებს, ან გაგვიქარწყლებს ამ ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხს.

— რახან დაიწყო არქეოლოგიური სამუშაოები მირქმის ეკლესიაში, იგი მთელი ძეგლის შესწავლით უნდა დაგვირგვინდეს, აღდგეს მთელი სამაროვანი...

სათანადო შესწავლის შემდეგ ჩვენს მიერ აღდგენილ სამარხ აკლდამებში ჩავასვენეთ მიცვალებულთა ნეშტები. სპეციალურად წავიღეთ ქართული მიწა, რათა ჩვენს წინაპრებს საფლავებში ჩავატანოთ... ქართული ჩუქურთმით შესრულებულ კერამიკულ

ფილებთან ერთად, სადაც აღნიშნულია მათი ვინაობა. ზამთარში კი შევუდგებით არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალების შესწავლას.

გადაწყვეტილი გვაქვს მთლიანი სახით ამ მასალების გამოფენა თბილისში, გზაფხულზე კი ისევ გავაგრძელებთ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას.

მოსკოვის დონის მონასტერი... რამდენ ტკივილს ინახავს იგი... აქ წლების მანძილზე თავს იყრიდნენ საქართველოს გადარჩენისთვის ფიქრით დაღლილი, უმეტესწილად სასოწარკვეთილი ქართველი მეფენი და დიდებულნი. აქ ევროპაში ამაო მოგზაურობით დაქანცული, მოხუცის კვერთხით ჩამოსულა დიდი სულხან-საბა ორბელიანი... აქ ულოცნია კათოლიკოს ანტონს, ათანასე თბილელს, (ქობულაშვილს), იოანე მანგლელს, მიტროპოლიტებს: იოსებ სამებელსა (ქობულაშვილს) და იონა მროველს (გედევანიშვილს), არქიმანდრიტ ლავრენტის და კიდევ მრავალ საეკლესიო მოღვაწეს... რომელთა უმეტესი ნაწილი სწორედ ამ მონასტრის მიწაზეა დაკრძალული. წმიდაა ეს მიწა...

მრავალი სტუმარი ჰყავს დონის მონასტერს საქართველოდან... ადამიანებს საკუთარი თვალით სურთ ნახონ წინაპართა გათხრილი სამარხები და თაყვანი სცენ მათ... ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი, ბუნებრივია, საქართველოს საპატრიარქოს ყურადღებასაც იქცევს. 6 (19) მაისს აღმოჩენილი მასალების გასაცნობად აქ ჩამოვიდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები.

12 (25) მაისს კი ქართველთა ამ სავანეს თვით ჩვენი ეკლესიის მამამთავარი ეწვია. კათოლიკოს-პატრიარქს თან ახლდნენ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დავითი, წილკნელი ეპისკოპოსი ვახტანგი, პრესვიტერი გურამ შალამბერიძე და დეკანოზი ზურაბ სირაძე.

ექსპედიციის მონაწილეებმა საქართველოს ეკლესიის მამამთავარს გააცნეს მოპოვებული მასალები... აჩვენეს თაღმოხდილი საფლავები, რომელთა სიღრმეში საძიებელ პირთა ნაწილები ჩანდა.

წუთით ტაძარში სიჩუმე გამეფდა... — კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი — გაისმა ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის სევდით შეფერილი ხმა.

„მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო,
სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და,
ყოველსავე აღავსებ მადლითა შენითა...“

მშობლიურ ქართულს დანატრულნი უსმენდნენ ღვთის საგალობელს გარდასულ წინაპართა ლანდები...

ქრისტე აღსდგა — მღეროდნენ პატრიარქი და მისი თანმხლები პირნი სიკვდილის ძლევის საგალობლს.

უწმიდესმა ილია II აიაზმის წყალი ასხურა წინაპართა საფლავებს.

ტაძრის საკურთხეველში აენთო საპატრიარქო სანთელი მსხვერპლად და ვედრებად უფლისა მიმართ... რათა დაიცვას მან ერი ჩვენი სვრისა, ძვრისა და უცხო თესლთა დარბევისაგან. რათა წინაპართა სულებმა განისვენონ მართალთა შინა... რომ არასოდეს არ გაწყდეს სულიერი კავშირი ზეციურ და მიწიერ საქართველოს შორის.

მღვდელი როსტომ ლორთქიფანიძე

ფოტომატიანედან

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი და მისი სამღვდელოება



ДЖВАРИ ВАЗИСА

(Крест из виноградной лозы)

Журнал открывается обращением священного Синода Грузинской Церкви и Католикосу-Патриарху всея Грузии Илие II в связи с 50-летием со дня рождения и 6-летием интронизации его Святейшества. В обращении еще раз подчеркивается большая заслуга Илии II перед Грузинской Церковью и народом.

Здесь же печатается текст Указа Президиума Верховного Совета СССР о награждении Орденом дружбы народов главы Грузинской Православной Церкви Католикоса-Патриарха Илии II.

Под рубрикой «Поздравления, телеграммы, послания» читатель знакомится с письмом Патриарха Индии Базилиоса Мар Фомы Матфея I к Католикосу-Патриарху всея Грузии Илии II, в котором он выражает глубокую благодарность Его Святейшеству за участие в праздновании 70-летнего юбилея Индийской (Коптской) Церкви.

Под заглавием «Благочестивым Святым отцам Афонского Иверского монастыря», в журнале публикуется письмо Католикоса-Патриарха Илии II. Здесь же печатается текст ответного письма отцов Святого Иверского монастыря.

Человечество приблизилось к роковому перепутью своей истории. Один неверный шаг и вся планета станет жертвой ядерной катастрофы...

Естественно, Церковь не может относиться равнодушно к этой важнейшей проблеме... Устраиваются международные форумы, ассамблеи, конференции, собрания, где религиозные деятели выступают с громогласными требованиями мира во всем мире.

В связи с этим вопросом в журнале печатаются информационные материалы.

Генеральный Секретарь Всемирного Совета Церквей доктор Филипп Потер — гость Грузинской Православной Церкви (печатаются приветственные речи Ф. Потера и Илии II, с которыми они обратились друг к другу).

«На Ванкуверской Ассамблее» — автором является секретарь отдела международных связей Патриархии Б. Гагуа.

«Мирная конференция женщин-христианок в Киеве» (авт. Т. Торонджадзе).

В подзаголовке «Пути дружбы» объединены письма и информации:

«Делегация Грузинской Церкви в Болгарии» — здесь во главе со Святейшим и Блаженнейшим Католикосом-Патриархом всея Грузии Илией II находились представители Грузинской Церкви, принимавшие участие 14—21 мая (с 27 мая по 3 июня) в праздничных мероприятиях, посвященных 30-летию восстановления Патриархии Болгарской Православной Церкви и 900-летнему юбилею со дня основания Петрицонского (Бачковского) грузинского монастыря.

2—25 августа (5/VIII—7/IX) в гостях у Грузинской Церкви с дружественным визитом находился Его Блаженство Папа и Патриарх Александрии и всея Африки Николай VI. В журнале печатается обширная информация об этом визите. Здесь же приводится текст письма епископа Хризостома о первом визите в Грузии, а в частности,— в Тбилиси, Его Блаженнейшества Николая VI, напечатанного в официальном бюллетене Александрийской Патриархии «Пантенос». Перевод Т. Месхи.

Под этой же рубрикой объединено несколько информаций о визитах в Грузинскую Патриархию зарубежных делегаций.

В рубрике «Богословие» — помещено два материала: «Пасхальное Послание Святейшего и Блаженнейшего Католикоса-Патриарха всея Грузии, Президента Всемирного Совета Церквей Илии II, также продолжается публикация книги Фомы Кемпийского «Подражание Христу».

У входа в Варшавский университет привлекает внимание мемориальная доска. На ней высечены фамилии тех профессоров университета, которые стали жертвами немецкого фашизма. В этом списке пятнадцатым является наш соотечественник архимандрит Григорий Перадзе — доктор Варшавского университета, ученый, духовник, автор многих ценных исследований, замечательный теолог. Он погиб в газовой камере Освенцима, куда вошел по собственной воле вместо заключенного с многодетной семьей и этой мученической и истинной христианской смертью показал пример веры и благородности. В связи с восьмидесятипятилетием со дня рождения Григория Перадзе журнал публикует его биографию и письмо диакона Ленчевского (Польша) «Духовник, профессор, архимандрит Григорий Перадзе».

Трудно перечислить все заслуги Павле Ингороква перед своей Родиной. Он был писателем, ученым, исследователем, редактором, большим

знатоком истории Грузии, географии и искусства. Также особенно дорого его имя для Грузинской Церкви, велика его заслуга перед грузинской духовной литературой. Он был одним из замечательных представителей великих сынов Родины, патриотов своего поколения. Наша Церковь, как и весь грузинский народ, глубоко пережила его кончину. В журнале под заголовком «Павле Ингороква» напечатана статья, автором которой является Т. Кобаладзе.

Здесь же опубликовано прощальное письмо в связи с кончиной кинорежиссера Гурама Патараиа, который является автором таких ценных для Грузинской Церкви кинофильмов, как «Древности Палестины», «Летопись Афона», «По стопам Руставели», «Тао-Кларджети»...

Под рубрикой «Поэзия» в журнале помещены стихотворения духовного характера митрополита Шио (Авалишвили), архиепископа Тадеоза (Иорамашвили) и иеромонаха Гиоргия (Одишвили).

Под рубрикой «Церковная жизнь» печатаются информации и письма, а также фотоматериалы, отражающие жизнь Грузинский Церкви.

В связи с пребыванием в Болгарии представителей Грузинской Церкви и 900-летием Петрицонского монастыря, под рубрикой «Грузинские церковные очаги за рубежом» печатается статья Христофора (Цамалаидзе) «900-летие Петрицонского Грузинского монастыря».

Под этой же рубрикой публикуется письмо священника Ростома Лордкипанидзе «Раскопки в Донском монастыре». Эти раскопки вызывают живой интерес среди грузинской общественности. В письмо включен диалог с руководителем археологической экспедиции Гиви Гамбашидзе, который знакомит читателей с результатом работы... Здесь же говорится о посещении Донского монастыря Католикосом-Патриархом всея Грузии Илией II.

DJVARI VAZISA

(The Cross of Vine)

The journal opens with the address of the Holy Synod of the Georgian Church to Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, delivered at His 50 years jubilee and the 6th anniversary of the inthronement. The great services of His Holiness to the Georgian Church and nation are mentioned in the address.

The decree of the Supreme Council's Presidium of the USSR, conferring the Order of People's Friendship to the Primate of the Georgian Orthodox Church, is also published here.

The section „Greetings and Epistles", acquaints the reader with the letter of His Holiness Baselius Mar Thoma Mathews I, Catholicos-Patriarch of the East, in which He thanks His Holiness Ilia II for taking part in the Septuagesimal Anniversary of the Reestablishment the Catholicate of the East in India.

„To the Reverend Fathers of Iviron Monastery on Holy Mount Athos"—the journal publishes the letters of the Catholicos-Patriarch and the Reverend Fathers of Iviron.

The mankind approached the fatal cross-roads of its history. The only one inacurate step and the whole earth will turn to the sacrifice of the nuclear catastrophe... it's quite natural, that Church can not be indifferent conserning this problem... the verious meetings, assemblies and conferences are held, on which the religious workers rize their voice for pease.

Some articles conserning this question are published in the journal...

„The Results of the Assembly in Prague".

„Dr. Philip Potter, the General Secretary of the World Council of Churches—guest of the Georgian Orthodox Church" (The speaches made by Dr. Philip Potter and His Holiness Ilia II, are printed in this section).

„At the Vancouver Assembly". The article by B. Gagua, Secretary of External Relations Department of Georgian Patriarchate.

„Christian Women's Peace Conference in Kiev" (by T. Torondjadze).

„Fraternal Roads"—During the period of May 14—21 and May 27-June 3, the delegation of the Georgian Church, headed by His Holiness and Beatitude Ilia II, visited Bulgaria to take part in the festal events dedicated to 30 years anniversary of Reestablishment of the Bulgarian Orthodox Church's Patriarchate and 900 years anniversary of Petritsoni (Bochkovo) Monastery, founded by Georgians.

His Beatitude Nicholas VI, Pope and Patriarch of Alexandria and All Africa, was with a fraternal visit to Georgia, during the period of August 2—25. The journal gives an extensive information concerning this visit.

The letter of the Right Reverend Chrysostomos, Bishop of Nikopol, printed in the official bulletin of the Patriarchate of Alexandria „Panthenos", is also publisched here.

This section gives also the information concerning the visits of different foreign delegations to the Georgian Patriarchate. Some interviews are printed.

The Theological section of the journal, presents us the Easter Epistle of His Holiness and Beatitude Ilia II, Catholicos-Patriarch of All Georgia, as well as some chapters of Thomas Camphel's book „Imitation of Christ".

At the entrance of the Warsaw University, there is a memmorial plaque with the names of the University professors, who sacrificed their lives to the atrocities of fascism. The 15th is the name of our compatriot Archimandrite Grigol Peradze, professor of the Warsaw University, the great Theologian and author of many articles and research works. He died in a gaz cell of the concentration camp, leaving us the example of great faithfulness and nobility. On the anniversary of his 85th birthday, the journal publishes his biography and the letter by Archpriest Lenchewski (Poland), „Clergyman, Professor Archimandrite Grigol Peradze".

„Pavle Ingorokva"—the article by T. Kobaladze is dedicated to the memmory of the famous writer, scientist, the great connoiseur of history, geography and arts. His name is most valuable to the Georgian Church, as well as the name of Guram Pataraia, producer and the author of such films, as „Palestine Antiquities", „Cronicle of Athos", „On Traks of Rustaveli", „Taoklardjeti" and many others. The parting letter in his memmory, is also printed in this section.

„Poetry"—Here the journal presents some religious verse by Metropolitan Shio (Avalishvili), Archbishop Thadeus (Ioramashvili) and Hieromonk Giorgi (Odishvili). Under the same heading, Bishop Zosime (Shioshvili) presents his prayer „O, Mother Nino".

„Ecclesistical Life"—The section acquaints us with some information, letters and photographs of the life and history of the Georgian Church.

„The Georgian Ecclesiastical Centres Abroad"—covers the articles: „900 Years of Petritsoni Georgian Monastery", written by Bishop Christephore (Tsamalaidze) and „Excavations in Monastery of Don", by Priest Rostom Lordkipanidze. The last one contains the dialogue with the head of this archeological expedition, Givi Gambashidze, who gives us the information about the result of the excavation work... and the information concerning the visit of His Holiness and Beatitude Ilia II to this Monastery. The list of Georgians, burried in the Church of this Monastery, is added to the article.



შ ი ნ ა ა რ ს ი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ი ლ ი ა II (დაბადების 50 წლისთავის გამო) 5

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურის კათოლიკოს-პატრიარქ ი ლ ი ა II, ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ . 7

მილოცვები, დეპეშები, ეპისტოლენი 8

მშვიდობა ყოველთა

მიტროპოლიტი **კონსტანტინე.** სამშვიდობო კონფერენცია ინგლისში 10

პრაღის მსოფლიო ასამბლეის ექო 13

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს გენერალური მდივანი, დოქტორი ფ ი ლ ი პ პ ო - ტ ე რ ი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტუმარი 14

ბ. გაგუა. ვანკუვერის ასამბლეაზე 16

თ. ტორონჯაძე. ქრისტიან ქალთა სამშვიდობო კონფერენცია კიევში 18

სამეგობრო გზები

ქართული ეკლესიის დელეგაცია **ბულგარეთში** 19

თ. მესხი. ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნ ი კ ო ლ ო ზ VI საქართველოში 23

ნიკოპოლის ეპისკოპოსი **ქრიზოსტომოსი.** მისი ღვთაებრივი უნეტარესობის, ალექსანდრიის პაპისა და პატრიარქის, ბატონ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ვიზიტი საქართველოში 25

სტუმრები საზღვარგარეთიდან

ინფორმაციები 29

ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა

საღდგომო ეპისტოლე უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ი ლ ი ა II . 32

თომა კემფელი. „მიბაძვა ქრისტესი“ — გაგრძელება 36

გრიგოლ ფერაძე — დაბადების 85 წელი 38

დეკანოზი **ნ. ლენჩევსკი.** მოძღვარი, პროფესორი, დოქტორი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე 39

თ. კობალაძე. პავლე ინგოროყვა 44

გურამ პატარაიას ხსოვნას 48

პ ო ე ზ ი ა

მიტროპოლიტი **შიო** (ავალიშვილი) 50

მთავარეპისკოპოსი — **თადეოზი** (იორამაშვილი) 50

მღვდელ-მონოზონი **გიორგი** (ოდიშვილი) 51

საეკლესიო ცხოვრება

კურთხევანი 52

კურთხეულ იყოს 54

ინფორმაციები 54

ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ

ეპისკოპოსი **ქრისტეფორე** (წამალაიძე). პეტრიწონის მონასტრის 900 წელი . . 56

მღვდელი **როსტომ ლორთქიფანიძე.** გათხრები დონის მონასტერში . . . 59

რეზიუმე რუსულ ენაზე 61

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 62

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — მიტროპოლიტი **კონსტანტინე** (მელიქიძე).

ჟურნალის რედაქტორი **თ. გურიელი.**

საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1983 წ.

სიონის ქ. № 4, ტ. 72-24-27.

ტირაჟი 1000, შეკვ. 1026.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. № 19.

Грузинская патриархия

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № 2, 1983 г.

Тираж 1000, зак. 1026

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ქართული ანბანი

Ա	ա	Ա	a	1
Բ	բ	Բ	b	2
Գ	գ	Գ	g	3
Դ	դ	Դ	d	4
Ե	ե	Ե	e	5
Զ	զ	Զ	v	6
Է	է	Է	z	7
Ը	ը	Ը	ē	8
Թ	թ	Թ	t	9
Ժ	ժ	Ժ	i	10
Ի	ի	Ի	ḳ	20
Լ	լ	Լ	l	30
Խ	խ	Խ	m	40
Ծ	ծ	Ծ	n	50
Կ	կ	Կ	j	60
Հ	հ	Հ	o	70
Ձ	ձ	Ձ	ṗ	80
Ղ	ղ	Ղ	ž	90
Ճ	ճ	Ճ	r	100

Մ	մ	Մ	s	200
Յ	յ	Յ	ṭ	300
Ն	ն	Ն	y	
Շ	շ	Շ	u	400
Ո	ո	Ո	p	500
Չ	չ	Չ	k	600
Պ	պ	Պ	ɣ	700
Ջ	ջ	Ջ	ḳ	800
Ռ	ռ	Ռ	š	900
Ս	ս	Ս	č	1000
Վ	վ	Վ	c	2000
Տ	տ	Տ	ʒ	3000
Ր	ր	Ր	ṭ	4000
Ց	ց	Ց	č	5000
Ւ	ւ	Ւ	x	6000
Փ	փ	Փ	q	7000
Ք	ք	Ք	ǯ	8000
Օ	օ	Օ	h	9000
Ֆ	ֆ	Ֆ	ω	10000